

შეგანილია ცვლილებები
ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს
11/02/2005 N 1-1/1107
12/29/2006 N 1-1/1524
ბრძანებებით

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
310.140.000.11.115.005.808

**საქართველოს გრანპორტისა
და კომუნიკაციების მინისტრის
ბრძანება N 26
2003 წლის 16 აპრილი ქ.თბილისი**

რკინიგზით გვირთის გადაზიდვის წესების დამტკიცების შესახებ

“სარკინიგზო გრანპორტის ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 12 ნოემბრის N 485 ბრძანებულების შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული “რკინიგზის გვირთის გადაზიდვის წესები”.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

ბ. დარჯანია

**რკინიგზით გვირთის გადაზიდვის
წესები**

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

“რკინიგზით გვირთის გადაზიდვის წესები” (შემდგომ -წესები) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით გვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ მონაწილეთა უფლება მოვალეობებს და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2

ამ წესით გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) “გადაზიდვის პირდაპირი მარშრუტი”- გვირთის გადაზიდვა, რომელიც

სრულდება ერთი დანიშნულების (ტვირთვადაცლის) სადგურამდე, ერთი ან რამდენიმე ტვირთმიმღების მისამართით. აღნიშნული გადაზიდვისას სატვირთო ვაგონები თითოეული მიმღების მისამართით უნდა იმყოფებოდნენ ცალკე ჯგუფის შემადგენლობაში;

ბ) “გადაზიდვის სანაწევრებელი მარშრუტი”- ტვირთის გადაზიდვა, რომელიც სრულდება სატვირთო მაგარებლების შედგენის გეგმით განსაზღვრულ დანაწევრების სადგურამდე ან რკინიგზის მიერ დადგენილ დანაწევრების პუნქტამდე, სადაც ხდება ტვირთის მისამართის დაზუსტება (დამისამართება) კონკრეტული ტვირთმიმღების მისამართით, ან იმ შემთხვევაში და დანაწევრების სადგურებამდე დანიშნით, რომლებიც იღებენ სათბობის ტვირთს გადმოტვირთვის სადგურში ვაგონების შემდგომი დამისამართებით;

გ) “დიდგონაჟიანი კონტეინერი”- 10 და მეტი ტონა ბრუტო მასის მქონე უნივერსალური კონტეინერი;

დ) “ნაკრები სავაგონო გზავნილი”- გადასაზიდვად ერთი ბედნალებით წარდგენილი სხვადასხვა დასახელების ტვირთი, რომელიც განკუთვნილია ერთი ტვირთმიმღებისათვის. თუ ბედნალებში ვერ დაეგია ტვირთის დასახელების ჩამონათვალი, ტვირთგამგზავნი ადგენს ტვირთის ნუსხას და გრაფაში “ტვირთის დასახელება” მიუთითებს “ნაკრები სავაგონო გზავნილი, ტვირთის ნუსხა თან ერთვის”;

ე) “საბაჟო ფირფიტა”-განსაზღვრული ზომისა და გადაზიდვასთან დაკავშირებული მონაცემების შემცველი სწორკუთხა ლითონის ნაჭერი, რომელიც მაგრდება კონტეინერზე და ადასტურებს მის ვარჯისობას საბაჟო კონტროლით ტვირთის გადასაზიდვად;

ვ) “სავაგონო გზავნილი” - გადასაზიდვად ერთი ბედნალებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც აუცილებელია ცალკე ვაგონის გამოყოფა;

ზ) “სამარშრუტო გზავნილი”- გადასაზიდვად ერთი ბედნალებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც აუცილებელია იმ რაოდენობის ვაგონების გამოყოფა, რაც შეესაბამება მარშრუტისათვის წონისა და ზომის მიხედვით დადგენილ ნორმებს;

თ) “საკონტეინერო გზავნილი”-გადასაზიდვად ერთი ბედნალებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც საჭიროა ერთი კონტეინერის გამოყოფა;

ი) “საგარიფო კოლომეგრი”-ტვირთის გადაზიდვის უმოკლესი მანძილი, რომლის საფუძველზედაც, “რკინიგზის საგარიფო პოლიტიკის” შესაბამისად, განისაზღვრება ტვირთის გადაზიდვის საფასურის ოდენობა;

კ) “საშუალოგონაჟიანი კონტეინერი”-არანაკლებ 2.5 ტონა და არა უმეტეს 10 ტონა ბრუტო მასის მქონე უნივერსალური კონტეინერი;

ლ) “სპეციალიზებული კონტეინერი”- გარკვეული ნომენკლატურის თხევადი, ნაყარი, საფრთხეშემცველი, მალფუჭებადი და სხვა ტვირთის მრავალგზის გადასაზიდვად განკუთვნილი საგრანსპორტო მოწყობილობის უნიფიცირებული ერთეული, რომელიც წარმოადგენს სტანდარტული ზომისა და მაქსიმალური ბრუტო წონის სტანდარტულ კონსტრუქციას და აქვს დადგენილი სახის აღნიშვნები და წარწერები;

მ) “უნივერსალური კონტეინერი”- უნიფიცირებული სატვირთო ერთეული, რომელიც განკუთვნილია გარაში მოთავსებული და ცალკეული ტვირთის გადასაზიდვად და წარმოადგენს ბრუტო წონის, გაბარიტული ზომების, შემცველობის, განლაგების ადგილის, წარწერებისა და ფირფიტების მიხედვით სტანდარტიზებულ კონსტრუქციას, მასზე განლაგებულ სხვადასხვა სახეობის საგრანსპორტო საშუალებებზე დამაგრებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციის სამარჯვებითურთ;

ბ) “უსაფრთხო კონტინენტების საერთაშორისო კონვენციის ფირფიტა”-
უსაფრთხო კონტინენტების საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებული ფირფიტა
(შემდგომ-ფირფიტა), რომელიც სავალდებულოდ მაგრდება კონტინენტის კარზე
კონტინენტის დამზადების ან კაპიტალური რემონტის დროს და ადასტურებს მის
უსაფრთხოებას ექსპლუატაციისათვის;

ო) “წვრილმანი გზაწილი“-გადასაზიდად ერთი მეტრით წარდგენილი
ტვირთი, რომლისთვისაც არ არის საჭირო ცალკე ვაგონის ან კონტინენტის გამოყოფა;

რ) “ჯგუფური გზაწილი“-გადასაზიდად ერთი მეტრით წარდგენილი ტვირთი,
რომლისთვისაც საჭიროა ერთზე მეტი, მაგრამ სამარშრუტო გაგზავნილზე ნაკლები
ვაგონების გამოყოფა.

მუხლი 3

1. ამ წესების მოქმედება ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნის
ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირზე, რომელიც რკინიგზით ტვირთის გადაზიდვას
საქართველოს ტერიტორიაზე.

2. რკინიგზა ვალდებულია, დადოს გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ არ არსებობს
უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 4

1. რკინიგზით სამხედრო დანიშნულებისა და საფრთხეშემცველი ტვირთის
გადაზიდვა რეგულირდება შესაბამისი წესებით.

2. ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით რკინიგზის მიერ გაწეული
მომსახურების საფასურის სახეები და ოდენობა განისაზღვრება “რკინიგზის სატარიფო
პოლიტიკის” შესაბამისად.

მუხლი 5

რკინიგზით ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა წესრიგდება “საერთაშორისო
სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ” შეთანხმებითა და საქართველოს სხვა
სამართლებრივი აქტებით.

თავი II. ტვირთის გადაზიდვაზე განაცხადების მიღების წესი

მუხლი 6

1. რკინიგზით ტვირთი გადაზიდვა ტვირთის გადაზიდვაზე მიღების განაცხადის
(შემდგომ-განაცხადი) შესაბამისად, რომლის დაგენილი ფორმა მოცემულია ამ წესების
დანართში.

2. ტვირთგამგზავნი რკინიგზას განაცხადს წარუდგენს ტვირთის გაგზავნამდე
სულ ცოცხა 10 დღით ადრე.

3. თუ ტვირთი რკინიგზის მიერ გადაზიდვა საზღვაო გრანსპორტის
მონაწილეობით, ტვირთგამგზავნი განაცხადს წარუდგებს საზღვაო გრანსპორტის
შესაბამის საწარმოსა და ნავსადგურისპირა რკინიგზის სადგურს (შემდგომ-სადგური).

მუხლი 7

1. რკინიგზას განაცხადი წარუდგინება ტვირთგამგზავნის მიერ ხელმოწერილ და

ბეჭედამოწმებულ 3 ეგზემპლარად. არასწორად გაფორმებული განაცხადი განსახილველად არ მიიღება.

2. რკინიგზას განაცხადი წარედგინება ფოსტით ან ხელზე მიგანით, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე - ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

3. განაცხადის მიღების თარიღი რეგისტრირდება რკინიგზის კალენდარული შტემპულით.

4. რკინიგზის სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით განაცხადის რეგისტრაციის გადაცემის წესს განსაზღვრავს რკინიგზა.

5. რკინიგზა უზრუნველყოფს გვირთმგზავნებს დადგენილი ფორმის განაცხადის ბლანკებით.

მუხლი 8

1. ცალკეულ განაცხად გვირთმგზავნი წარადგენს სადგურისა და გვირთის თითოეული ნომენკლატურის ჯგუფის მიხედვით, მიმოსვლის სახეობათა კვალობაზე გვირთის მუსტი დასახელების მითითების, მთლიანად განაცხადზე კრებისითი მონაცემების შეჯამებით.

2. განაცხადის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30 დღეს.

მუხლი 9

1. განაცხადი შეივსება სუფთად, საბეჭდი მანქანის ან სხვა მექანიკური საშუალების გამოყენებით.

2. განაცხადის შედგენისას გვირთგამგზავნი ავსებს მის გრაფებს შემდეგი წესით:

ა) სტრიქონში "----- რკ/გზა"- აღინიშნება იმ რკინიგზის სახელწოდება, რომლის საქმიანობის ფარგლებში იმყოფება გვირთგამგზავნი და გაგზავნის სადგური;

ბ) სტრიქონში "გვირთგამგზავნი" - აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, ფაქტობრივი საფოსტო მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;

გ) სტრიქონში "გაღამხდელი" - აღინიშნება იმ ორგანიზაციის სრული სახელწოდება, ფაქტობრივი საფოსტო მისამართი და საბანკო რეკვიზიტები, რომელიც იხდის გადაზიდვის საფასურს (საქართველოს ტერიტორიაზე);

დ) სტრიქონში "პერიოდით ----- დან ----- ჩათვლით" - აღინიშნება დროის ინტერვალი (დაგვირთვის პირველი და ბოლო დღე), რომლის განმავლობაშიც გვირთგამგზავნი ვარაუდობს გადაზიდვის განხორციელებას;

ე) სტრიქონი "ვაგონების, კონტეინერების მიწოდება" - ივსება, თუ განაცხადის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში განსაზღვრულია თანაბარზომიერი დაგვირთვა. ამ შემთხვევაში, აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების) მოწოდების წესი (ყოველდღიურად, სამუშაო დღეებში, ლუწ ან კენგ დღეებში);

ვ) გრაფაში "გაგზავნის სადგური"- ბედა ნაწილში აღინიშნება გაგზავნის სადგურის სრული სახელწოდება, ხოლო ქვედაში-ამ სადგურის კოდი, თუ გვირთი გადაიზიდება ვიწროლიანდაგიანი გაგზავნის სადგურიდან ფართოლიანდაგიან დანიშნულების სადგურში, გაგზავნის სადგურის ნაცვლად აღინიშნება ვიწროლიანდაგიდან ფარგო ლიანდაგზე გადამგვირთი სადგურის კოდი და სახელწოდება;

ზ) გრაფაში "გვირთის ნომენკლატურული ჯგუფი"- ბედა ნაწილში აღინიშნება გვირთის იმ ნომენკლატურული ჯგუფის სახელწოდება, რომელსაც განეკუთვნება გვირთი, ქვედა ნაწილში კი, გვირთის პოზიციის ნომერი;

თ) გრაფაში “მიმოსვლის სახეობა”- აღინიშნება გვირთის გადაზიდვის მიმოსვლის სახეობა;

ი) გრაფაში “განყოფილების N- აღინიშნება რკინიგზის იმ განყოფილების ნომერი, რომლის საქმიანობის ფარგლებში მდებარეობს გაგზავნის სადგური და ივსება რკინიგზის განყოფილების არსებობის შემთხვევაში;

კ) გრაფაში “გვირთგამგზავნის კოდი” - აღინიშნება გვირთგამგზავნის კოდი კლასიფიკატორის მიხედვით;

ლ) გრაფაში “გადამხდელის კოდი”- აღინიშნება რკინიგზის მიერ მინიჭებული გადახდელის კოდი და კოდი კლასიფიკატორის მიხედვით;

მ) 1-ელ გრაფაში “ვაგონების მიწოდების თარიღი” (ივსება დღეების მიხედვით ვაგონების არათანაბარზომიერად მიწოდებისას) - აღინიშნება განაცხადის მოქმედების ვადაში ვაგონების (კონტეინერების) მიწოდების კონკრეტული თარიღი, რომლის მიხედვითაც ჯამდება შედეგები გაცხადებული გონების რაოდენობის და ვაგონების (კონტეინერების) სახეობათა კვალობაზე;

ნ) მე-2 გრაფაში “გვირთის კოდი და მუსტი დასახელება”- ცალკეულ სტრიქონებზე აღინიშნება გვირთის საგვირთო კოდი და მისი მუსტი დასახელება, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტებით. თანმიმდევრულად აღინიშნება იმ გვირთის კოდი და სახელწოდება, რომელიც გადასაზიდად გაცხადდა ერთ დღეს. თუ გვირთის მუსტი დასახელება გადაიგანება განაცხადის ბლანკის მეორე მხარეზე, დანიშნულების რკინიგზის (სადგურის) სახელწოდება მეორდება. თუ გვირთის მუსტი სახელწოდება არ ეტევა ერთ სტრიქონზე, იგი შეიძლება გადაგანილ იქნეს მე-2 გრაფის ფარგლებში მომდევნო სტრიქონებზე.

3. საზღვაო (სამდინარო) საგრანსპორტო საწარმოებთან ურთიერთობით პირდაპირი შერეული გადაზიდვისას განაცხადში დამატებით აღინიშნება:

ა) მე-3 გრაფაში “ვაგონის (კონტეინერის) კუთვნილება” - აღინიშნება ვაგონის (კონტეინერის) კუთვნილების ნიშანი: რკინიგზის ინვენტარის პარკი - “ინ”, საკუთარი პარკი - “ს”, იჯარით აღებული ინვენტარის პარკი- “იჯ”

ბ) მე-4 გრაფაში “საკუთარი ვაგონების, კონტეინერების კოდი” - აღინიშნება იმ პირის კოდი, რომელსაც ეკუთვნის ვაგონები (კონტეინერები) და ივსება, თუ მე-3 გრაფაში ნაჩვენებია კუთვნილების ნიშანი “ს”,

გ) მე-5 გრაფაში “სადგურის, გვირთგადაცლის, გვირთმიმდების სახელწოდებები - რკინიგზის შემოკლებული სახელწოდება”

დ) მე-6 გრაფაში “რკინიგზისა და სადგურის, სასაზღვრო სადგურის, გვირთგადასაცლელი პუნქტისა და დანიშნულების პუნქტის კოდი” - აღინიშნება შესაბამისი სტრიქონის მე-5 გრაფაში შევსებული მონაცემების შესაბამისად;

ე) მე-7 გრაფაში “დანიშნულების სადგურის კოდი” - აღინიშნება დანიშნულების სადგურის კოდი საექსპორტო გვირთის გადაზიდვისას;

ვ) მე-8 გრაფაში “გვირთმიმდები და კოდი” - კლასიფიკატორის მიხედვით აღინიშნება ის გვირთმიმდები, რომლის მისამართითაც გადაიზიდება გვირთი და იმ პირის კოდი, რომელსაც დადებული აქვს ხელშეკრულება გადაგვირთის პუნქტთან. კოდები აღინიშნება შესაბამისი სტრიქონის მე-5 გრაფაში შევსებული მონაცემების მიხედვით;

ზ) მე-9 გრაფაში “გონების რაოდენობა” - აღინიშნება გადასაზიდად გაცხადებული გვირთისა მასა, ბრუტო მასის ერთ გონამდე სიმუსტით;

თ) მე-10-12 გრაფებში “ვაგონების, კონტეინერების გვარეობა” აღინიშნება:

თ.ა.) მე-10 გრაფაში “კოდი”- ვაგონის (კონტეინერის) სახეობის კოდი დარგობრივი კლასიფიკატორის შესაბამისად;

თ.ბ.) მე-11 გრაფაში “დასახელება” -მე-10 გრაფაში შევსებული მონაცემების გათვალისწინებით მიეთითება ვაგონის (კონტეინერების) სახეობის შემოკლებული დასახელება დარგობრივი კლასიფიკატორის მიხედვით;

თ.გ.) მე-12 გრაფაში “რაოდენობა” - ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, თითოეული დანიშნულების სადგურისა და თითოეული სახეობის მიხედვით.

4. მე-9 და მე-12 გრაფების მიხედვით ტონების, ვაგონების (კონტეინერების) კრებისთი რაოდენობა აღინიშნება ცალკე შემაჯამებელ სტრიქონში, რომელიც შეივსება დანიშნულების რკინიგზების (სადგურების) ჩამონსთვალის შემდეგ.

5. სტრიქონში “მთლიანად” - აღინიშნება მე-9 და მე-12 გრაფების თითოეული სტრიქონის ვაგონის (კონტეინერის) ტონების ჯამი, ტვირთის მუსტი დასახელებისა და დატვირთვის თარიღის შემაჯამებელი სტრიქონების გათვალისწინებლად.

6. ცალკეული შემაჯამებელი სტრიქონებით, სახეობათა მიხედვით დაყოფით, აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების) ჯამი (მე-12 გრაფა).

7. თუ შევსებულია განაცხადის სტრიქონი “ვაგონების, კონტეინერების მოწოდება”, მაშინ შემაჯამებელი სტრიქონები დატვირთვის თარიღის მიხედვით არ ივსება.

8. სტრიქონში “შენიშვნა” - აღინიშნება დამატებითი ინფორმაცია, თუ ტვირთი განსაკუთრებული პირობებით გადაიზიდება.

9. სტრიქონების “განაცხადის რეგისტრაციის თარიღი”, “განაცხადის დამტკიცების თარიღი”, “განაცხადის ნომერი” ავსებს რკინიგზის უფლებამოსილი მუშაკი.

მუხლი 10

1. ტვირთის სასწრაფო გადაზიდვაზე ტვირთგამგზავნის მიერ განაცხადის წარდგენის ვადას აღგენს რკინიგზა.

2. განაცხადის განხილვის ვადა აითვლება მისი მიღების დღიდან ტვირთის პირდაპირი გადაზიდვისას შეადგენს 3 დღეს.

3. შესასრულებლად მიღებულ განაცხადზე დაისმის რკინიგზის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და კალენდარული შტემპელი.

4. განაცხადის ერთ ეგზემპლარს, მისი მიღების აღნიშვნით, რკინიგზა უგზავნის ტვირთმიმღებს კავშირგაბმულობის არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 11

1. რკინიგზის უფლებამოსილი პირის მითითებით სადგურის უფროსი იღებს ტვირთი შიდა სასწრაფო გადაზიდვისათვის ტვირთგამგზავნის მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად.

2. გაგზავნის სადგურის უფლებამოსილი პირი, ტვირთგამგზავნთან ერთად, განაცხადის შევსების დაწყებამდე სულ ცოცხა 3 დღით ადრე ვალდებულია, დააბუსგოს ყოველდღიურად მისაწოდებელი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, გადასაზიდად წარსადგენი ტვირთის დასახელება და დანიშნულების სადგურის სახელწოდება.

მუხლი 12

1. მიღებული განაცხადების მონაცემები შეიგანება დადგენილი წესით შედგენილ

სააღრიცხვო ბარათში.

2. გვირგვინის წერილობითი განცხადების საფუძველზე მიღებულ განაცხადში შეიძლება შეგანილ იქნეს ცვლილება. ამ განცხადების განხილვის ვადა ათვლება რკინიგზაში მისი მიღების დღიდან და შეადგენს:

ა) 3 დღეს- გვირგვინის პირაპირი გადაზიდვისას;

ბ) 10 დღე- სხვა სახის გადაზიდვისას.

3) თუ ცვლილება შეეხება გვირგვინის გადაზიდვის განაწილებას, გვირგვინი ვალდებულია, გადაიხადოს დადგენილი საფასური იმ შემთხვევაშიც, როცა განაცხადი მთლიანად შესრულდა.

მუხლი 13

1. გვირგვინითა თხონით რკინიგზას უფლება აქვს:

ა) ნებადართულად გამოაცხადოს გვირგვინის გადაზიდვა ერთი სადგურის ფარგლებში (შიდასასადგურო), რომელიც შეიგანება განაცხადში და გათვალისწინებული უნდა იქნეს გვირგვინის გადაზიდვის შესრულებულ მოცულობაში;

ბ) შეცვალოს განაცხადით განსაზღვრული დახურული მოძრაობის შემადგენლობა ღიათი ან ერთი სახეობის ღია მოძრაობის შემადგენლობა მეორეთი;

გ) შეცვალოს განაცხადით გათვალისწინებული დანიშნულების სადგური.

2. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ ან სახელმწიფო რემონტის ბაზებიდან გვირგვინის სარკინიგზო გადაზიდვა სრულდება წინასწარი განაცხადის გარეშე, აღნიშნული გვირგვინის გადასაზიდვად წარდგენის კვალობაზე.

3. პირადი (ყოფითი) საჭიროებისათვის განკუთვნილი გვირგვინის გადაზიდვის განაცხადი მიიღება დადგენილი წესით.

მუხლი 14

1. თუ გვირგვინმა სრულად გამოიყენა განაცხადით გათვალისწინებული ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა და გვირგვინის გეგმიური ნორმების მიხედვით, მაგრამ, განაცხადი ვერ შეასრულა გონობით, რკინიგზამ მას დამატებით უნდა გამოუყოს საჭირო რაოდენობის ვაგონები და კონტეინერები.

2. არსებული საგრანსპორტო საშუალებებით განაცხადის შესასრულებლად რკინიგზა შეიმუშავებს გვირგვინის გადაზიდვის კრებსით გეგმასა და რკინიგზის საექსპლოატაციო მუშაობის გეგმიურ ნორმებს.

თავი III. გვირგვინის გადაზიდვაზე განაცხადის შესრულების სააღრიცხვო ბარათის შედგენის წესი

მუხლი 15

1. ეს წესი განსაზღვრავს გვირგვინის გადაზიდვაზე განაცხადის შესრულების სააღრიცხვო ბარათის შედგენის პირობებს.

2. გვირგვინის გადაზიდვაზე მიღებული განაცხადის შესრულება აისახება გუ-1 ფორმის სააღრიცხვო ბარათში, რომლის ფორმა მოცემულია ამ წესის დანართში.

3. სააღრიცხვო ბარათი წარმოებს გვირგვინის გაგზავნის სადგურში ცალ-ცალკე თითოეული გვირგვინის მიხედვით და ყოველი დასახელების გვირგვინზე. თუ გვირგვინის თხონით შედგენილი იქნება სააღრიცხვო ბარათის ასლი. მაშინ მისი

დედანი ინახება სადგურში, ხოლო ასლი, რომელსაც რკინიგზა გასცემს დადგენილი საფასურით- გვირთვამგზავნთან.

4. სააღრიცხვო ბარათს ხელს აწერს გვირთვამგზავნი და სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ყოველი საანგარიშგებო დღის ბოლოს ან იმ დღის დასრულებისას, რომელიც განაცხადის მიხედვით დადგენილია დაგვირთვისათვის.

5. თუ გვირთვამგზავნი უარს აცხადებს სააღრიცხვო ბარათის ხელმოწერაზე, სადგური აღგენს საერთო ფორმის აქტს.

6.გაგზავნის სადგური განაცხადის მიღებისას აფორმებს სააღრიცხვო ბარათსა და მიაკუთვნებს მას განაცხადის ნომერს.

მუხლი 16

1. განაცხადის მონაცემების საფუძველზე სადგური აფორმებს სააღრიცხვო ბარათის სათაურს, აგრეთვე მის მე-2 და მე-3 გრაფებს (მათი შედეგების ჩათვლით) და 7-19 გრაფების შემაჯამებელი სტრიქონის მრიცხველს იმ ნაწილში, რომელიც განაცხადს ეხება.

2. თუ გვირთვამგზავნის თხოვნით რკინიგზაზე შეიცვალა დაგვირთვის მოცულობა, რაც იწვევს სადღეღამისო დაგვირთვის შეცვლას, შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი სააღრიცხვო ბარათის 7-19 გრაფების შემაჯამებელი სტრიქონის მრიცხველში, აგრეთვე მე-2 და მე-3 გრაფებში (მათი შედეგების ჩათვლით). ამ ცვლილების შეტანისათვის გვირთვამგზავნს გადახდება დადგენილი საფასური.

მუხლი 17

1. სააღრიცხვო ბარათი შეივსება შემდეგი წესით:

ა) მე-2 გრაფაში სადგური აღნიშნავს ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობას, განაცხადში განსაზღვრული დაგვირთვის დღეების მიხედვით. თუ განაცხადით არ არის გათვალისწინებული დაგვირთვის კონკრეტული ვადები, სადგური სააღრიცხვო ბარათის მე-2 გრაფას ავსებს განაცხადის შესაბამისად თვის დღეების მიხედვით, თანაბარბომიერი (საშუალო სადღეღამისო) დაგვირთვიდან გამომდინარე;

ბ) მე-3 გრაფა ივსება იმ შემთხვევაში, თუ გვირთვამგზავნი უთითებს არა მარტო ვაგონებს (კონტეინერებს), არამედ გვირთვის მასასაც (ტონების რაოდენობას);

გ) მე-4 გრაფაში აღნიშნება იმ ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, რომლებიც საანგარიშგებო დღეებში, განაცხადის მიხედვით რკინიგზამ ფაქტობრივად მიაწოდა გვირთვამგზავნს, ამ შემთხვევაში, მიწოდებულად ითვლება:

გ.ა) საანგარიშგებო დღეს დასაგვირთავად მიწოდებული ცარიელი ვაგონები (კონტეინერები), მათ შორის, ორმაგი ოპერაციის წესით მიწოდებული, რომლებიც მისასვლელი ლიანდაგის მომსახურების ტექნოლოგიური დროიდან გამომდინარე გვირთვამგზავნმა შეიძლება იმავე დღე-ღამეში დაგვირთოს;

გ.ბ) ვაგონები (კონტეინერები), რომლებიც წინა დღე-ღამეში დაუგვირტავი ღარჩა;

გ.გ) ვაგონების (კონტეინერები), რომლებიც რკინიგზამ მიაწოდა გვირთვამგზავნს საანგარიშგებო დღე-ღამის განმავლობაში, მათი დაგვირთვის უზრუნველყოფის შესძლებლობების გაუთვალისწინებლად, თუ ისინი გვირთვამგზავნმა მაინც დაგვირთა საანგარიშგებო დღე-ღამის გასვლამდე;

დ) მე-5 გრაფაში აღნიშნება იმ ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, რომლებიც გვირთვამგზავნმა ფაქტობრივად დაგვირთა მოცემული საანგარიშგებო

დღე-ღამის განმავლობაში;

ე) მე-6 გრაფაში აღინიშნება საანგარიშგებო დღე-ღამის განმავლობაში დაგვირთული იმ გვირთის გონების ოდენობა, რომლის გადაზიდვა, განაცხადის თანახმად, ნაჩვენებია არა მარტო ვაგონებით (კონტეინერებით), არამედ გონობითაც;

ვ) 7-19 გრაფებში აღინიშნება მონაცემები დანიშნულების სადგურების მიხედვით ვაგონებში (კონტეინერებში) გვირთის დაგვირთვის შესახებ;

ზ) მე-20 და 21-ე გრაფებში აღინიშნება საანგარიშგებო დღე-ღამეში რკინიგზისა და/ან გვირთგამგზავნის მიერ განაცხადის შეუსრულებლობის მიზეზები ან პასუხისმგებლობისაგან მათი გათავისუფლების საფუძველი. თუ სადგური მიიღებს გვირთგამგზავნის წერილობით უარს დაგვირთვაზე, 21-ე გრაფაში აღინიშნება “უარი. . . . ვაგონის, კონტეინერის დაგვირთვაზე”, უარის თქმის თარიღის მითითებით. ეს განცხადება თან დაერთვის სააღრიცხვო ბარათს. თუ განაცხადი არ სრულდება რკინიგზის ან გვირთგამგზავნის მიზეზით, მე-20 და 21-ე გრაფებში, უკმარდაგვირთვის მიზეზების გარდა აღინიშნება იმ ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, რომლებიც არ დაიგვირთა შესაბამისად რკინიგზისა (მე-20 გრაფა) და გვირთგამგზავნის მიზეზით (21-ე გრაფა). ვაგონები (კონტეინერები), რომლებიც რკინიგზამ ვერ მიაწოდა გვირთგამგზავნის მიზეზით, აღინიშნება 21-ე გრაფაში.

4. საანგარიშგებო დღე-ღამის მანძილზე განაცხადის შესრულების შედეგებს, 22-ე და 23-ე გრაფებში ხელმოწერით ამოწმებს სადგურისა და გვირთგამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 18

1. სააღრიცხვო ბარათის შემაჯამებელი გრაფა შეივსება განაცხადის შესრულების მომენტიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში. თუ განაცხადის შესაბამისად დაგვირთვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ საანგარიშგებო თვის ცალკეულ დღეებში, მაშინ შედეგების შეჯამება ხდება ბოლო დაგვირთვის დღის გასვლიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში.

2. შედეგები ჯამდება შემდეგი წესით:

ა) სააღრიცხვო ბარათის თითოეული გრაფის მონაცემები, 1, 22-ე, და 23-ე გრაფების გარდა, ჯამდება და აღინიშნება სტრიქონში “მთლიანად”;

ბ) განაცხადის შესრულება იმ გვირთის მიმართ, რომლის გადაზიდვა განაცხადის შესაბამისად დადგენილია ვაგონებით (კონტეინერებით) და გონობით, განისაზღვრება მე-2 გრაფის შედეგების შედარებით მე-5 გრაფის შედეგთან და მე-3 გრაფის შედეგის მე-6 გრაფის შედეგთან.

3. ქონებრივი პასუხისმგებლობის მონაცემები შეიცანება სააღრიცხვო ბარათის მეორე ნაწილში, თუ:

ა) განაცხადი არ სრულდება გაირთგამგზავნის ან გვირთმიმღების ვაგონებით (კონტეინერებით), გადასაზიდად გვირთის წარუდგენლობისას ან ამ ვაგონების (კონტეინერების) უქონლობის გამო, რაც რკინიგზის მიზეზით არ არის გამოწვეული;

ბ) ვიწრო ლიანდაგის მქონე სარკინიგზო ხაზზე არ სრულდება იმ გვირთის გადაზიდვის განაცხადი, რომლის გადაზიდვა დადგენილია მხოლოდ ვაგონებით.

4. თუ იმ გვირთის განაცხადი, რომლის გადაზიდვა დადგენილია როგორც ვაგონებით (კონტეინერებით), ისე გონობით, შესრულდა მხოლოდ გონობით, განაცხადი მთლიანად შესრულებულად ჩაითვლება.

მუხლი 19

1. სააღრიცხვო ბარათის მეორე ნაწილი შეივსება განაცხადის შესრულების აღრიცხვის შედეგების მიხედვით.

2. რკინიგზის მიზეზით დაუგვირთავი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა დგინდება მე-2 და მე-4 გრაფების შედეგების სხვაობის განსაზღვრითა და ამ სხვაობიდან 21-ე გრაფით დადგენილი იმ ვაგონების (კონტეინერების) მთლიანი რაოდენობის გამოკლებით, რომლებიც არ იქნა მიწოდებული გვირგვინის მიზეზით.

3. თუ მე-20 გრაფაში განსაზღვრულია განაცხადის შეუსრულებლობისათვის რკინიგზის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გარემოებები, მაშინ აღნიშნული გარემოებების დადგომის შედეგად მიუწოდებელი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა ასევე გამოაკლდება მიღებულ სხვაობას.

მუხლი 20

თუ განაცხადი ვერ შესრულდა დანიშნულების სადგურში ვაგონების (კონტეინერების) მიუწოდებლობის გამო, რკინიგზას, გვირგვინის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელიც წარდგენილია არა უგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო დაგვირთვის დღეს, მასში შეაქვს შესაბამისი ცვლილება, რომელიც სადგურს გადააქვს მე-20 და 7-19 გრაფების შემაჯამებელი სტრიქონის მრიცხველში და აღნიშნავს დაგვირთვის ნორმის ცვლილებას დანიშნულების სადგურში.

მუხლი 21.

1. გვირგვინის მიზეზით დაუგვირთავი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა დგინდება მე-4 გრაფის შედეგიდან მე-5 გრაფის შედეგის გამოკლებით. ამ შემთხვევაში, მიღებულ სხვაობას გამოაკლდება საანგარიშგებო პერიოდში რკინიგზის მიზეზით დაუგვირთავი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, რომელიც იანგარიშება მე-20 და 21-ე გრაფების მონაცემების გათვალისწინებით.

2. რკინიგზის ან გვირგვინის მიზეზით განაცხადის საერთო შეუსრულებლობის მოცულობა გონობით განისაზღვრება ამ წესების მე-19, მე-20 მუხლებითა და ამ მუხლების პირველი ნაწილით განსაზღვრული დაუგვირთავი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობის გამრავლებით სტატიკური დაგვირთვის სიდიდეზე. ამ შემთხვევაში სტატიკური დაგვირთვის სიდიდის გამოსაანგარიშებლად მე-3 გრაფაში აღნიშნული გონების რაოდენობა იყოფა მე-2 გრაფაში მითითებული ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობაზე.

მუხლი 22

1. განაცხადის შესრულების საბოლოო შედეგი დანიშნულების სადგურში განისაზღვრება 7-19 გრაფების შემაჯამებელი სტრიქონის მრიცხველისა და მნიშვნელის სიდიდეთა სხვაობის მიხედვით.

2. გვირგვინის მიერ განაცხადით გათვალისწინებული ვაგონებით (კონტეინერებით) გადაზიდვის შეუსრულებლობის მოცულობა დანიშნულების სადგურში განისაზღვრება გასაგზავნად წარდგენილი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობისა და დაუგვირთავი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობის ჯამს შორის სხვაობის მიხედვით და აღნიშნება სააღრიცხვო ბარათის მეორე ნაწილში.

3. დაგვირთვის ნორმის შეუსრულებლობის მოცულობა იმ გვირგვინის მიმართ, რომლის გადაზიდვა, განაცხადის შესაბამისად, დადგენილია ვაგონებითა

(კონტეინერობით) და ტონობით, დანიშნულების სადგურში იანგარიშება ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული დაუგვირთავი ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობის გამრავლებით სტატიკური დაგვირთვის სიდიდებზე.

მუხლი 23

1. თუ გვირთვამგზავნმა განაცხადი შეასრულა ტონობის მიხედვით, მაგრამ დაგვირთვის ტექნიკური ნორმის გადაჭარბების გამო გამოიყენა ნაკლები რაოდენობის ვაგონები (კონტეინერები), უკმარდაგვირთვის ოდენობა დანიშნულების სადგურში მცირდება დაზოგილი ვაგონების (კონტეინერების) შესაბამისი რაოდენობით.

2. თუ დასაგვირთად მიწოდებული ვაგონები (კონტეინერები) ვერ გაიგზავნა განაცხადით გათვალისწინებულ დანიშნულების სადგურში, გვირთმიმღებს, გაგზავნის სადგურთან შეთანხმებით, შეუძლია გვირთი გაგზავნოს განაცხადით გათვალისწინებულ სხვა დანიშნულების სადგურში.

3. თუ რკინიგზის უფლებამოსილი პირისაგან გაგზავნის სადგური მიიღებს დაგვირთვის ნორმების შეცვლის ნებართვას, მაშინ იგი ვალდებულია, უკმარდაგვირთვის ოდენობის შემდგომი განსაზღვრისათვის, შეიგანოს შესაბამისი ცვლილება სააღრიცხვო ბარათში.

მუხლი 24

1. ერთი გვირთვამგზავნის ერთი ან რამდენიმე გზავნილით დაგვირთული ვაგონი აღირიცხება გვირთვამგზავნის სააღრიცხვო ბარათში აღრიცხვის მოგადი მოთხოვნების დაცვით.

2. თუ ვაგონი დაგვირთულია რამდენიმე გვირთვამგზავნის წვრილმანი გზავნილით, მაშინ დაგვირთვა აღირიცხება თითოეული გვირთვამგზავნის სააღრიცხვო ბარათის მე-2 გრაფაში.

მუხლი 25

1. თუ განაცხადი ვერ შესრულდა გვირთვამგზავნთან მომხდარი ავარიის გამო, რომლის შედეგად შეუძლებელი გახდა მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელება, იგი ვალდებულია, წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ავარიის აქტის ასლი და დაურთოს იგი სააღრიცხვო ბარათს.

2. ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებმაც გამოიწვიეს გადაზიდვის დროებითი შეწყვეტა ან შეზღუდვა, დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა წარმოების აკრძალვა და განაპირობებს განაცხადის შუსრულებლობა, უნდა აისახოს ორმხრივ აქტში, რომელსაც ხელს აწერენ ვაგზავნის სადგურისა და გვირთვამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენლები, სააღრიცხვო ბარათზე შესაბამისი მტკიცებულებების თანდართვით.

3. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ განკუთვნილი გვირთის გადასაზიდად წარუდგენლობისათვის საფასური არ გადაიხდება.

თავი IV. გვირთის გადასაზიდად მიღების წესი

მუხლი 26

1. გვირთი გადასაზიდად მიიღება საგვირთო სამუშაოების შესასრულებლად

სათანადოდ აღჭურვილი სადგურების საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში. ასეთი სადგურების ნუსხა ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გვირთი შეიძლება გადაიზიდოს სავაგონო, საკონტეინერო, წვრილმანი, ჯგუფური, სამარშრუტო და ნაკრები სავაგონო გზავენელებით.

მუხლი 27

1. გვირთის გადასაზიდად მიღების საფუძველია შესაბამისი განაცხადი, რკინიგზის მიერ მისი მიღების აღნიშვნით და სადგურის თანხმობა (ვიზა ბედნალებზე) დაგვირთვის დღის დანიშვნის თაობაზე.

2. სადგური, ვაგონების (კონტეინერების) დასაგვირთად მიწოდების შესახებ, გვირთგამგზავნს აცყობინებს მიწოდებამდე არა უგვიანეს 2 საათით ადრე, შეწყობინების იმავდროული რეგისტრაციით დასაგვირთად და გადმოსაგვირთად ვაგონების მიწოდების დროის შეწყობინებათა დავთარში.

მუხლი 28

1. დასაგვირთად ვაგონების მიწოდების დროის შეწყობინების წესს, მათ შორის, გვირთგამგზავნის საშუალებით საერთო სარგებლობის ადგილებში დაგვირთვისას, გვირთგამგზავნის წინადადებით ადგენს სადგური, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ. შეწყობინებისათვის გამოიყენება კავშირგაბმულობის არსებული საშუალებები. შეწყობინების მიღების უზრუნველსაყოფად გვირთგამგზავნი განსაზღვრავს შეწყობინების მიღებამდე პასუხსმგებელ პირს და წერილობით აცნობებს სადგურს მის სახელს, გვარს და გელეფონის (ფაქსი, გელექსის) ნომერს.

2. თუ ვაგონები მიწოდებულია შეწყობინების გარეშე, ისინი ირიცხებიან გვირთგამგზავნზე და მათი დგომის დრო მისასვლელ ლიანდაგზე აითვლება ვაგონების ფაქტობრივი მიწოდების მომენტიდან 2 საათის გასვლის შემდეგ.

3. თუ ვაგონები მიწოდებულია შეწყობინებაში მითითებულ დროზე გვიან, მაშინ მათი მისასვლელ ლიანდაგზე მიწოდების დრო აითვლება ფაქტობრივი მიწოდების მომენტიდან. თუ დაგვიანება 2 საათს აღემატება, მაშინ რკინიგზა ვალდებულია, გვირთგამგზავნს ხელახლა შეაყობინოს ვაგონების მომავალი მიწოდების თაობაზე.

4. გაგზავნის სადგურის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით გვირთის ჩაგვირთვა შეიძლება დროებით შეწყდეს ან შეიზღუდოს, რის თაობაზედაც წერილობით დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რკინიგზასა და გვირთგამგზავნს. შეწყობინების მიღებიდან 12 საათის განმავლობაში გვირთგამგზავნი ვალდებულია, დადგენილ მოცულობამდე შეწყვიტოს ან შეზღუდოს გვირთის დაგვირთვა გარკვეული მიმართულებებით.

მუხლი 29

1. გვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების საფასურის გადახდამდე შემდგომი დაგვირთვისათვის ვაგონების (კონტეინერების) მიწოდება შეიძლება შეჩერდეს ან, გამონაკლის შემთხვევებში, განხორციელდეს მხოლოდ რკინიგზის უფლებამოსილი პირის წერილობითი მითითების საფუძველზე.

2. რკინიგზა ვალდებულია, გვირთგამგზავნს დასაგვირთად მიაწოდოს გასუფთავებული, შიგნიდან და გარედან გაწმენილი, საჭიროებისას კი, გარეცხილი და დემიფინცირებული, გვირთის გადასაზიდად ვარგისი ვაგონები (კონტეინერები),

მოსხნილი სამაგრი სამარჯვებით, თუ მათი მოხსნა ტექნიკურად დასაშვებია.

3. რკინიგზის ცისგერნების, ბუნკერული გიპის ნახევარვაგონების მომზადებას უზრუნველყოფს რკინიგზა ან გვირთმიმღები, რკინიგზის ხარჯით, მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სპეციალური ცისგერნების მომზადებას, რომლებიც რკინიგზას არ ეკუთვნის - გვირთგამგზავნი.

4. ვაგონების (კონტეინერების) კომერციულ ვარგისობას კონკრეტული გვირთის გადასაზიდად განსაზღვრავენ:

ა) ვაგონების მიმართ - გვირთგამგზავნი, თუ დაგვირთვა განხორციელდა მის მიერ, ან რკინიგზა, თუ დაგვირთვას ის აწარმოებს;

ბ) კონტეინერების მიმართ - გვირთგამგზავნი.

6. გვირთგამგზავნი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მისი გვირთის გადასაზიდად მიწოდებული უვარგისი ვაგონების (კონტეინერების) გამოყენებაზე, ხოლო რკინიგზა ვალდებულია, შეცვალოს ისინი ვარგისით. გვირთის გადასაზიდად ვაგონების უვარგისობის ფაქტი, მათ შორის, გვირთის ვაგონიდან გადმოგვირთვის შემდეგ, ფორმდება საერთო ფორმის აქტით, რომელსაც ხელს აწერენ რკინიგზისა და გვირთგამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

მუხლი 30

1. ვაგონებს გვირთავს:

ა) რკინიგზა, გვირთგამგზავნის ან გვირთმიმღების თანხმობით – საერთო სარგებლობის ადგილებში, რომელიც აღჭურვილია ამისათვის საჭირო მექანიზმებითა და მოწყობილობებით, გარდა: საფრთხეშემცველი და მალფუჭებადი გვირთისა; სახელმწიფო ვეტერინალური ზედამხედველობის სამსახურის საქვეკონტროლო გვირთისა; გვირთისა, რომლის საერთო წონა შეადგენს 0.5 ტონასა და გადაიზიდება დახურულ ვაგონში; არაგაბარიტული გვირთისა; გვირთისა, რომელიც გადაიზიდება დაყრით ან ჩასხმით, სპეციალიზებული მოძრავი შემადგენლობით, გვირთგამგზავნის ან გვირთმიმღების წარმომადგენლების თანხლებით;

ბ) გვირთგამგზავნი - არასაერთო და საერთო სარგებლობის ადგილებში, თუ დაგვირთვა არ არის სავალდებულო რკინიგზისათვის.

2. კონტეინერებს საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში გვირთავს გვირთგამგზავნი.

მუხლი 31

1. გვირთგამგზავნი ვალდებულია გვირთი გადასაზიდად იმდაგვარად მომზადოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება და გვირთის, ვაგონების (კონტეინერების) მთლიანობა.

2. საზღვაო ნავსადგურების მეშვეობით ან რკინიგზის სასაზღვრო გადამცემი სადგურების გავლით გადასაზიდი, მათ შორის, საექსპორტო გვირთის გაფუჭების, დაზიანების, დაკარგვის ან კლების თავიდან აცილების მიზნით, ასევე მოძრავი შემადგენლობის, რკინიგზის ვაკისის და გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, გვირთი გადასაზიდად წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნიკურ პირობებსა და სტანდარტებს შესატყვის სატრანსპორტო გარაში შეფუთული.

3. გვირთგამგზავნი, სადგურის მოთხოვნით, ვალდებულია წარმოადგინოს გადასაზიდ გვირთზე, ხოლო თუ იგი შეფუთულია, ასევე გარასა და შეფუთვაზე არსებული სტანდარტები და ტექნიკური პირობები.

4. გვითხვით, რომლის გარდასა და შეფუთვაზე სტანდარტები და ტექნიკური პირობები არ არის დადგენილი, გადასამზიდად წარდგენილი უნდა იქნეს წესიერულ მდგომარეობაში, რაც გადაზიდვისას უზრუნველყოფს მის მთლიანობას.

5. იმპორტულ გარიან და ცალკეულ გვირთს რკინიგზა გადასამზიდად იღებს იმ გარით (შეფუთვით), რომლითაც ის შემომზიდულია საზღვარგარეთიდან, თუ გარა (შეფუთვა) უზრუნველყოფს გვირთის მთლიანობას, საჭიროების შემთხვევაში, გვირთშიმღები (გვირთგამგზავნი) რკინიგზასთან ათანხმებს გვირთის გადაზიდვის განსაკუთრებულ პირობებს.

მუხლი 32

1. გადასამზიდად წარდგენილ გარიან-ცალკეულ გვირთს უნდა ჰქონდეს საგრანსპორტო ნიშანდება იმისდა მიუხედავად, შეესაბამება თუ არა ეს ნიშანდება სხვა სახეობათა გრანსპორტზე მოქმედ მოთხოვნებს. საგრანსპორტო ნიშანდების შინაარსი, მისი აღნიშვნის ხერხი და ადგილი, განთავსების წესი, ნიშანდების იარლიყებისა და წარწერების ზომები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილი სტანდარტის მოთხოვნებს. საგრანსპორტო-სარკინიგზო ნიშანდება შედგება ძირითადი, დამატებითი და საინფორმაციო წარწერების და სამანიპულაციო ნიშნებისაგან.

2. ძირითადი წარწერები საგვირთო ადგილებზე უნდა შეიცავდეს:

ა) გვირთშიმღების სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, რეგისტრირებულს დადგენილი წესით;

ბ) დანიშნულების სადგურში სრულ სახელწოდებას;

გ) გზავნილში საგვირთო ადგილებს რაოდენობასა და გზავნილის შიგნით ადგილების რიგით ნომერს (მიეთითება წილადით: მრიცხველში - გზავნილში ადგილის რიგითი ნომერი, მნიშვნელში - ადგილების რაოდენობა). საგვირთო ადგილების რაოდენობა და ადგილის რიგითი ნომერი აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ერთგვაროვანი გარით გადაიზიდება ნაირგვარი ან სხვადასხვა ტიპის გვირთი, ან ერთგვაროვანი გვირთი განსხვავებული გარით, ან დაუშვებელია გვირთის სორტულობის აღრევა ერთგვაროვანი გვირთის გზავნილებში, ან გადაიზიდება მოწყობილობათა კომპლექტი, ან გადაზიდვა ხორციელდება სვლის გზაზე გვირთის გადაგვირთვით ან წვრილმანი გზავნილებით ერთი ვაგონით.

3. დამატებითი აღნიშვნები საგვირთო ადგილებზე უნდა შეიცავდეს:

ა) გვირთგამგზავნის სრულ ან დადგენილი წესით რეგისტრირებულ პირობით სახელწოდებას;

ბ) გაგზავნის კუნქტის დასახელებას, გაგზავნის სადგურის მითითებით;

გ) სარკინიგზო ნიშანდებას, რომელიც წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვისას წილადის სახით დაიგანება თითოეულ საგვირთო ადგილზე და აღინიშნება: მრიცხველში - გვირთის გასაგზავნად მიღების დავთრით განსაზღვრული რიგითი ნომერი და გირეთი - გზავნილებში ადგილების რაოდენობა, ხოლო მნიშვნელში - გაგზავნის სადგურის კოდი.

4. სარკინიგზო ნიშანდება კეთდება:

ა) გაგზავნის სადგურის მიერ - თუ გვირთი გასაგზავნად მიიღება საერთო სარგებლობის ადგილებში. ამის თაობაზე მიეთითება მელნადების გრაფაში "რკინიგზის აღნიშვნა";

ბ) გვირთგამგზავნის მიერ, გვირთის გადასამზიდად წარდგენამდე - თუ გვირთის დაგვირთვა ხორციელდება წვრილმანი გზავნილებით არასაერთო სარგებლობის

ადგილებში.

5. საინფორმაციო წარწერები უნდა შეიცავდეს:

ა) საგვირთო ადგილის ბრუტო და ნეტო წონას კილოგრამობით. დასაშვებია, ნეტო წონის ნაცვლად მიეთითოს ნაკეთობათა რაოდენობა ცალობით. ეს მონაცემები შეიძლება არ აღინიშნოს, თუ ისინი მითითებულია გვირთის შეფუთვის ამსახველ ნიშანდებაში;

ბ) საგვირთო ადგილების გაბარიტულ ზომებს სანტიმეტრობით (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე ან დიამეტრი და სიმაღლე). ამ ზომებს არ მიუთითებენ, თუ გაბარიტული ზომებიდან არც ერთი არ აღემატება 1 მეტრს - გვირთის გადაზიდვისას ღია მოძრავ შემადგენლობაზე და 1.2 მეტრს - გვირთის გადაზიდვისას დახურულ ვაგონში.

6. გვირთთან მოპყრობის მიმანიშნებელი გამოსახულების (შემდგომ - სამანიპულაციო ნიშნების) აღნიშვნის საჭიროება განისაზღვრება გვირთის სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით. თუ გვირთთან მოპყრობის ხერხის გამოსაგვა შეუძლებელია სამანიპულაციო ნიშნებით, დაიშვება გამაფრთხილებელი წარწერების გამოყენება.

7. თუ ერთგავაროვანი გვირთი სავაგონო გზავნილებით პირდაპირი მიმოსვლით გადაიზიდება, საგრანსპორტო ნიშანდება უნდა გაკეთდეს თითოეულ ან არანაკლებ ოთხ საგვირთო ადგილზე. ამ შემთხვევაში, ნიშანდებას საგვირთო ადგილებს განათავსებენ:

ა) დახურულ ვაგონებში - ორ-ორ ადგილს თითოეულ კართან, ნიშანდებით გარეთ;

ბ) ღია მოძრავ შემადგენლობაზე - ორ-ორ ადგილს ჩაგვირთვის ზედა იარუსზე ვაგონის ყოველ გრძივ ბორტთან, ნიშანდებით მაღლა.

8. უნივერსალური კონტეინერებით გადასაზიდ გვირთზე ძირითადი, დამატებითი და საინფორმაციო წარწერების მითითება, გარდა ბრუტო და ნეტო მასისა, სავალდებულო არ არის.

9. ნაყარი ან ჩამოსასხმელი გვირთის უგაროდ გადაზიდვისას გვირთის ნიშანდება არ უკეთდება.

10. გვირთისაგან შედგენილ საგრანსპორტო პაკეტებზე წარწერების გაკეთების თავისებურებანი დადგენილია საგრანსპორტო პაკეტებით გვირთის გადაზიდვის წესით.

მუხლი 33

1. ვაგონებში (კონტეინერებში) გვირთის ჩაგვირთვა, განთავსება და დამაგრება უნდა უზრუნველყოფდეს მაგარებლის მოძრაობის უსაფრთხოებას, დასაგვირთ-გადმოსაგვირთი სამუშაოების მექანიზაციის შესაძლებლობასა და გვირთის, ვაგონების, კონტეინერების მთლიანობას.

2. იმ გვირთის ნუსხა, რომლის დასაგვირთად ვაგონები (კონტეინერები) სპეციალურად მზადდება, მოცემულია ამ წესების დანართში.

3. გვირთი, რომლის შეფუთვაზეც არის სამანიპულაციო ნიშნები და გამაფრთხილებელი წარწერები, ვაგონებში იგვირთება ამ აღნიშვნებისა და წარწერების დაცვით.

4. გვირთი ვაგონებსა და კონტეინერებში მაგრდება დადგენილი ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების შესაბამისად. გვირთის დასამაგრებლად, დასაგვირთად და გადასაზიდლად აუცილებელი სამარჯვების, მასალების, დაპაკეტების სასუალებების და სხვა მოწყობილობის მოწოდებას უზრუნველყოფს გვირთგამგზავნი, ხოლო მათ

დამაგრებას - დამტვირთავი მხარე.

5. აკრძალულია ერთ ვაგონში ისეთი ტვირთის ჩატვირთვა, რომელმაც თავისი თვისებების გამო შეიძლება დააზიანოს ან გააფუჭოს სხვა ტვირთი.

6. ვაგონის კართშორის სივრცეში ტარიან-ცალეული ტვირთი უნდა განთავსდეს კარსა და ტვირთს შორის სულ ცოცა 25 სმ დაშორებით.

7. ტვირთი ვაგონებში (კონტეინერებში) უნდა ჩაიტვირთოს მისი დატვირთვის ტექნიკური ნორმების დაცვით, ხოლო, თუ ტექნიკური ნორმები დადგენილი არ არის - ვაგონის (კონტეინერის) სრულ ჩატვირთვამდე, მაგრამ არა უმეტეს ვაგონის ან კონტეინერის ტრაფარეტებზე მითითებული ტვირთამწეობისა.

8. აკრძალულია ორ მეტრზე მეტი სიმაღლის ტვირთის ჩატვირთვა დახურულ ვაგონში საერთო სარგებლობის ადგილებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ტვირთის გადმოტვირთვას საერთო სარგებლობის ადგილებში უზრუნველყოფს ტვირთმიმღები.

მუხლი 34

1. ხე-ტყე, შეშა და დახერხილი მასალა გადაიზიდება პაკეტებით, შტაბელებით და მოლარტყულად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადმოტვირთვის სამუშაოების მაქსიმალური მექნიბება.

2. ხე-ტყე, შეშა და დახერხილი მასალა პაკეტებით, შტაბელებით და მოლარტყულად გადასაზიდად მიიღება ბედნალებში პაკეტების, შტაბელებისა და ლარტყულების რაოდენობის მითითებით.

3. თუ ხე-ტყე ბაქნებში ან ნახევარვაგონებში ჩაიტვირთება არა უმეტეს ორ შტაბელად, მაშინ უნდა მიეთითოს მორების რაოდენობა, როცა ეს რაოდენობა ერთ შტაბელში არ აღემატება 100 ერთეულს, ხოლო ორ შტაბელში 300 ერთეულს.

4. თუ ხე-ტყის ან დახერხილი მასალის ნახევარვაგონებში განთავსებისას გამოყენებულია ჩატვირთვის გაბარიტის ბედა ვიწრო ნაწილი (შემდგომ-გაბარიტის ვიწრო ნაწილი), ტვირთგამგზავნი ვალდებულია ბედნალებში, ტვირთის დასახელების ქვეშ მიუთითოს გაბარიტის ვიწრო ნაწილში არსებული შტაბელების რაოდენობა მათი განთავსების ადგილის მიხედვით.

მუხლი 35

1. გადასაზიდად ტვირთის წარდგენისას ტვირთგამგზავნი ბედნალებში მიუთითებს მის წონას, ხოლო ტარიან-ცალეული ტვირთის გადაზიდვისას - აგრეთვე სატვირთო ადგილების რაოდენობას.

2. აკრძალულია ტვირთის წონის განსაზღვრა გაანგარიშებით ან ტვირთის ამომვით, თუ მისი ჩატვირთვა ვაგონების (კონტეინერების) სრულ შევსებამდე გამოიწვევს მათი ტვირთამწეობის დაშვებული ნორმების გადამეტებას.

3. არ დაიშვება ნაყარი და მარცვლეული ტვირთის წონის განსაზღვრა ამომვით ან პირობითად, თუ იგი გადაიზიდება საზღვაო ნავსადგურებისა და სარკინიგზო სასაზღვრო გადამცემი სადგურის გავლით, არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით.

4. ტვირთის მასას განსაზღვრავს:

ა) რკინიგზა - თუ დატვირთვა ხორციელდება საერთო სარგებლობის ადგილებში;

ბ) ტვირთგამგზავნი - თუ დატვირთვა ხორციელდება არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

5. ერთი ბედნადებით წარდგენილი გვირთის საერთო წონა, რომელიც უნდა გადაიზიდოს ვაგონით (კონტეინერით), განისაზღვრება თითოეულ საგვირთო ადგილზე მითითებული გრაფარეგის მიხედვით, სტანდარტული წონით, აგრეთვე გაანგარიშების გზით და ამომავით,

6. გრაფარეგის საფუძველზე, სტანდარტის მიხედვით, გაანგარიშებით ან ამომავის წონას განსაზღვრავს გვირთგამგზავნი. თუ გვირთგამგზავნს არ აქვს ვაგონის სასწორი, გვირთის წონა შეიძლება განისაზღვროს რკინიგზის სასწორით, გვირთგამგზავნის ხარჯით.

მუხლი 36

1. ცისტერნებში ჩასხმით გადასაზიდი გვირთის წონას გვირთგამგზავნი განსაზღვრავს აწონვით ან ჩამოსხმის სიმაღლისა და ჩასახმული გვირთის მოცულობის დადგენით, ცისტერნების საკალიბრებელი ცხრილების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, გვირთგამგზავნი ვალდებულია, ბედნადებში, გვირთის დასახელებისთან ერთად, მიუთითოს ჩასხმის სიმაღლე, ცისტერნაში გვირთის ტემპერატურა და გვირთის სიმკვრივე.

2. პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებისათვის განკუთვნილი გვირთი გადასაზიდად მიიღება “რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის, ბარგის, გვირთბარგისა და ფოსტის გადაზიდვის წესების” შესაბამისად.

მუხლი 37

1. გადასაზიდი გვირთის ასაწონად რკინიგზას - საერთო სარგებლობის ადგილებში და გვირთგამგზავნს (გვირთმიმღებს) - არასაერთო სარგებლობის ადგილებში, უნდა ჰქონდეს საჭირო რაოდენობის საწონი ხელსაწყოები.

2. საწონი ხელსაწყოები ექვემდებარება აუცილებელ შემოწმებასა და დადამღვას სტანდარტის მიხედვით.

3. რკინიგზას შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე გაუწიოს ტექნიკური მომსახურება (საუწყებო კონტროლი, რემონტი, საკონტროლო შემოწმება) გვირთმიმღების, გვირთგამგზავნის და სხვა უფლებამოსილ პირთა საწონ ხელსაწყოს.

4. გვირთი ვაგონის სასწორზე იწონება გაჩერებულ მოხსნილ ან მოუხსნელ ვაგონში. გვირთის აწონვა ვაგონის მოძრაობისას დაიშვება საგანგებოდ ასეთი აწონვისას განკუთვნილი ვაგონის სასწორით. თხევადი გვირთით დაგვირთული ცისტერნების მოძრაობისას დაუშვებელია აწონვა ურიკების ან ღერძების მიხედვით.

მუხლი 38

1. გაჩერებულ მოხსნილ ვაგონში აიწონება დაყრით გადასაზიდი მარცვლეული და პურეული გვირთი, პარკოსანი კულტურის თესლი, კომბინირებული საკვები, ქაგო, დაყრით გადასაზიდი კარგოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, დაუპაკეებელი ფერადი ლითონი და ფერადი ლითონის ჯართი, სასურსათო და ჩამოსასხმელი გვირთი, გარდა სპირტისა, ღვინისა და ღვინომასალისა. სხვა სახის გვირთი აიწონება გაჩერებულ მოუხსნელ ან მოძრავ ვაგონში იმ სასწორზე, რომელიც განკუთვნილია ასეთი გვირთის აწონვისათვის.

2. ვაგონის (კონტეინერის) გარის წონა განისაზღვრება ვაგონზე (კონტეინერზე) მითითებული გრაფარეგების შესაბამისად. თუ გვირთგამგზავნს აქვს ვაგონის სასწორი, ნებადართულია ვაგონის გარის აწონვა ბედნადების გრაფაში “გადას. გარა” ვაგონის

ტარის ფაქტობრივი წონის აღნიშვნით.

3. ვაგონ-რეფრეჟერატორებით გადასაზიდი ხორცის, მარცვლეულისა და სხვა მალფუჭებადი ტვირთის წონა განისაზღვრება სასაქონლო სასწორზე.

4. თუ ტვირთი გადაზიდება მოსახსნელი მოწყობილობითა და სამაგრი რეკვიზიტებით, მათ შორის, ბოსტნეულის, პურეულის ფარებითა და სათბუნებლებით აღჭურვილი, ამ სამარჯვებისა და მასალების წონა არ შედის ტვირთის საერთო წონაში და მიეთითება ცალკე, ბელნაღენის გრაფაში "გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები". ამ შემთხვევაში, მოუხსნელი პურეულის ფარების წონა შედის ვაგონის ტარის მასაში.

მუხლი 39

1. ტვირთის წონის განსაზღვრის ხერხი და ამწონი მხარე მიეთითება ბელნაღენის შესაბამის გრაფაში.

2. თუ ტვირთის წონა განსაზღვრულია სტანდარტის მიხედვით, მაშინ დამატებით მიეთითება ერთი ადგილის წონა.

მუხლი 40

1. დატვირთულ ვაგონებს (კონტეინერებს) დადგენილი წესით პლომბავს ის მხარე (რკინიგზა ან ტვირთგამგზავნი), რომელმაც განახორციელა დატვირთვა.

2. იმ ტვირთის ნუსხა, რომლის გადაზიდვა დაიშვება დაუპლომბავად, მაგრამ რკინიგზის მიერ განსაზღვრული ტიპის კარებისა და ლუკების საკეტი ნაგრების სავალდებულო გამოყენებით, დგინდება ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესით.

მუხლი 41

დატვირთვის დასრულების შემდეგ ტვირთგამგზავნმა უნდა გაასუფთავოს სპეციალიზებული და დახურული ვაგონების სახურავი და ჩასატვირთი ლუკები ჩატვირთული ტვირთის ნარჩენებისაგან, გაწმინდოს ვაგონებზე არსებული გრაფარეგული წარწერები, ვაგონის ჩარჩო და სავალი ნაწილები.

მუხლი 42

1. ტვირთის გადასაზიდად წარდგენისას ტვირთგამგზავნმა თითოეულ სატვირთო გზავნილზე უნდა წარმოადგინოს სათანადო წესით შედგენილი ბელნაღები და სხვა საჭირო დოკუმენტები. აღნიშნული ბელნაღები და მის საფუძველზე ტვირთგამგზავნისათვის გაცემული ტვირთის მიღების ქვითარი ადასტურებენ ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას.

2. ტვირთის გადასაზიდად მიღების დასადასტურებლად ტვირთგამგზავნს გადაეცემა ტვირთის მიღების ქვითარი, რაზეც ის ხელს აწერს საგზაო უწყის ყუაში.

3. ტვირთის გადასაზიდად მიღების დრო დასტურდება გაგზავნის სადგურის კალენდარული შტეიპელით ბელნაღების შესაბამის გრაფაში, სადაც აღინიშნება მიმდინარე დღე-ღამის თარიღი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული დღე-ღამის 18 საათამდე თუ შემდგომ გაფორმდა გადასაზიდად.

მუხლი 43

1. განსხვავებული საგნის ლიანდიდან რკინიგზაზე ტვირთი გადასაზიდად მიიღება

ამ წესებისა და ვაგონებზე (კონტეინერებზე) გვირთის დამაგრებისა და განთავსების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

2. იმ გვირთიმძღვების მისამართით გასაგზავნად, რომელსაც აქვს ვიწრო ლიანდის სარკინიგზო ხაზის მოქმედების ბონაში განლაგებული მისავლელი ლიანდი, გვირთი გადასაზიდვად მიიღება დანიშვნით საქართველოს რკინიგზის საერთო ქსელში ჩარტულ სადგურებში.

3. ფართო ლიანდის მქონე სადგურიდან ვიწრო ლიანდის მქონე სადგურის მიმართულებით გადასაზიდვად მიიღება მხოლოდ გარიან-ცალეული გვირთი, გარდა დახურულ ვაგონებში ჩატვირთული მძიმეწონიანი ან საფრთხეშემცველი გვირთისა. ქალაქის გარაში (შეფუთვაში) მოთავსებული გვირთის გადასაზიდვად სხვადასხვა საგნის ლიანდის სარკინიგზო ხაზზე, გვირთგამგზავნი ვალდებულია გვირთთან ერთად ვაგონში ჩატვირთოს ცარიელი ტომრები (კოლოფები), რომლის რაოდენობა უნდა იყოს ვაგონში ჩატვირთული ადგილების არანაკლებ 6 პროცენტისა.

4. ვიწროლიანდიანი სადგურისათვის განკუთვნილი გვირთი გადასაზიდვად მიიღება მხოლოდ იმ სადგურის თანხმობით, რომელსაც ესაზღვრება ვიწრო ლიანდიანი ხაზი.

5. თუ გვირთი გადაიზიდება სვლის მთელ გზაზე შედგენილი დოკუმენტებით, მისი გადატვირთვა ერთი სიგანის ლიანდის ვაგონებიდან სხვა სიგანის ლიანდის ვაგონებში ხორციელდება გვირთიმძღვების (გვირთგანგზავნის) მიერ. რკინიგზას გვირთგამგზავნთან ან გვირთიმძღვებთან შეთანხმებით შეუძლია გადატვირთოს ასეთი გვირთი, მათი ხარჯით.

6. გარიან-ცალეული გვირთი, რომელიც გადატვირთვის სადგურში მიგანილია წესიერული შეფუთვით, ერთი საგნის ლიანდის ვაგონებიდან სხვა საგნის ლიანდის ვაგონებში გადაიტვირთება გვირგის ადგილების რაოდენობის შემოეწმებით. ამ შემთხვევაში, გვირთის წონა ან ნაკეთობათა რაოდენობა მოწმდება მხოლოდ დაზიანებულ ადგილებში.

7. გვირთი ვიწრო ლიანდის ვაგონებში თავსდება და მაგრდება დადგენილი ტექნიკური ნორმების მიხედვით.

მუხლი 44

თუ გაგზავნის სადგურის საერთო სარგებლობის ადგილებში გვირთგამგზავნი გვირთს შეიტანს მის ჩასატვირთად განსაზღვრულ ვადაზე ადრე, იგი შეძლება მირებულ იქნას შესანახად. ამ შემთხვევაში, ბედნალების გრაფაში "ჩატვირთვა დანიშნულია _____ (რიცხი) _____ (თვე)" და გვირთის გადასაზიდვად მიღების კალენდარულ შტემპელში მიეთითება ამ გვირთის ფაქტობრივი ჩატვირთვის თარიღი საერთო სარგებლობის ადგილებში.

მუხლი 45

1. გვირთის გადასაზიდვად გაფორმება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ბედნალებით, თუ გვირთგამგზავნი რეგისტრირებულია ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის აბონენტად და გაგზავნის სადგური ჩართულია ამ სისტემაში.

2. თუ არ არსებობს დადგენილი წესით განსაზღვრული ელექტრონული სახის თანმხლები დოკუმენტაცია, გადაზიდვა ფორმდება ქალაქის ბედნალებით.

თავი V. გვირთის გადაზიდვის საბუთების შევისების წესი

მუხლი 46

1. ეს წესი განსაზღვრავს გვირთის გადაზიდვის საბუთების შევისების პირობებს გაგზავნის სახეობის მიხედვით.

2. გვირთის გადაზიდვა სავაგონო და წვრილმანი გზავნილებით ფორმდება გუ-27 ფორმის ბედნალებით ან გუ-29-0 ფორმის გადაზიდვის საბუთების კომპლექტით, რომელიც შედგება ბედნალების, საგზაო უწყისის ყუისა და გვირთის მიღების ქვითრისგან.

3. გვირთის გადაზიდვა სავაგონო გზავნილებით შეიძლება გაფორმდეს გუ-27-უ-ვც ფორმის ელექტრონული ბედნალებით.

4. გვირთის მარშრუტებით, ვაგონთა ჯგუფებით და კონტეინერებით გადაზიდვისას ბედნალების შევისების წესი და მისი ფორმა განისაზღვრება შესაბამისად ვაგონთა ჯგუფებით ერთი ბედნალებითა და უნივერსალური კონტეინერებით გვირთის გადაზიდვის წესებით.

მუხლი 47

1. გადაზიდვის საბუთების ბლანკები შეივსება საბეჭდი მანქანის, მათ შორის, კომპიუტერული საშუალებების გამოყენებით, ან ხელით, ბედნიანი (ბურთულიანი) კალმით, ხოლო ცალკეული მონაცემები აღინიშნება შტემპელით.

2. გადაზიდვის საბუთებში შეტანილი მონაცემების წაშლა ან გადახაზვა აკრძალულია.

3. გვირგვამგზავნის მიერ გადაზიდვის საბუთებში შეტანილი მონაცემების შეცვლის აუცილებლობისას იგი ვალდებულია შეავსოს ამ საბუთების ახალი ბლანკი.

4. რკინიგზის მიერ გადაზიდვის საბუთებში შეტანილი მონაცემების ცვლილებებსა და დამატებებს გადაზიდვის საბუთების შემდგენელი რკინიგზის მუშაკი ამოწმებს ხელმოწერითა და სადგურის შტემპელით.

მუხლი 48

1. ამ წესების შესაბამისად გვირთგამგზავნის მიერ გაფორმებული ბედნალები და მის საფუძველზე გაცემული გვირთის მიღების ქვითარი ადასტურებენ გვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას.

2. ბედნალების, საგზაო უწყისთან ერთად, თან ახლავს გვირთის დანიშნულების სადგურამდე, სადაც იგი გადაეცემა გვირთმიმღებს. ამ შემთხვევაში გვირთმიმღები ხელს აწერს საგზაო უწყისში, ხოლო გვირთის მიღების ქვითრის გაცემისას, - აგრეთვე საგზაო უწყისის ყუაზე. საგზაო უწყისის ყუა რჩება გაგზავნის სადგურს.

მუხლი 49

1. აკრძალულია გადაზიდვის გაფორმება ერთი გადაზიდვის საბუთით, თუ:

ა) სხვა გვირთთან ერთად გამყოლის გარეშე გადაიზიდება მალფუჭებადი გვირთი;

ბ) გადაიზიდება გვირთი, რომლის თვისებების გამო აკრძალულია მისი გადაზიდვა ერთ ვაგონში სხვა გვირთთან ერთად;

გ) გვირთი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების

დაცვას გადაიზიდავს იმ ტვირთთან ერთად, რომელიც ამგვარი ზომების დაცვას არ მოითხოვს;

დ) ტვირთი, რომელიც მოითხოვს სანიტარული, ვეტერინარული და სხვა განსაკუთრებული ზომების დაცვას, გადაიზიდავს იმ ტვირთთან ერთად, რომელიც ამ ზომების დაცვას არ მოითხოვს;

ე) გადაიზიდავს შენახვის სხვადასხვა ვადის მქონე ტვირთი, თუ იგი გადმოსატვირთად იგზავნება არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

2. ტვირთგამგზავნის თხოვნით რკინიგზას შეუძლია ბედნადები შეავსოს ხელშეკრულების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ბედნადებს ხელს აწერს ტვირთგამგზავნი.

მუხლი 50

1. ტვირთგანგზავნი ქონებრივად აგებს პასუხს ბედნადებში შეტანილი მონაცემების უცუარობასა და არასწორი, უზუსტო და არასრული მონაცემების შეტანით გამოწვეულ შედეგზე.

2. რკინიგზა უფლებამოსილია შერჩევით შეამოწმოს ტვირთგამგზავნის მიერ ბედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორე.

3. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით გადასაზიდავი ტვირთის შესახებ არასწორი, უზუსტო, არასრული მონაცემების ჩვენების, გადასაზიდავ აკრძალული ტვირთის გაგზავნის ან ტვირთის თვისებების არასწორი მითითების გამო ტვირთგამგზავნს ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 51

1. გადაზიდვის საბუთები, ტექსტობრივ ინფორმაციასთან ერთად, უნდა შეიცავდეს მის კოდირებულ ინფორმაციას, რომლის აღნიშვნების ადგილი გადაზიდვის საბუთების ბლანკებში ჩარჩოებით არის გამოყოფილი.

2. გადაზიდვის საბუთებში მოცემული ინფორმაციის კოდირების წესს შეიმუშავებს რკინიგზა.

მუხლი 52

1. ელექტრონული ბედნადები შეივსება და გადაიცემა უქალაქო ტექნოლოგიითა და ელექტრონული ბედნადებით ტვირთის გადაზიდვის ორგანიზების ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის ტექნიკური და პროგრამული საშუალებების (შემდგომ - ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა) გამოყენებით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ელექტრონული ბედნადების მონაცემების შენახვას, მათი კონფიდენციალობის დაცვას და გამორიცხავდეს ამ მონაცემებში უნებართვო შეღწევას.

2. ელექტრონული ბედნადები შეივსება მხოლოდ ავტომატიზებულ სამუშაო ადგილზე (შემდგომ - ავტომატიზებული ადგილი), რომელიც რეგისტრირებულია ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის სააბონენტო პუნქტის სახით.

3. გადაზიდვის ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადების ფაქტი დასტურდება ტვირთგამგზავნის ავტომატიზებული ადგილიდან ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული ბედნადების შეტვირთვის მიღების ნულოვანი კოდის მიწოდებით და ტვირთგამგზავნისათვის ტვირთის მიღების ქვითრის გაცემით.

მუხლი 53

1. უფლებამოსილი პირის რეკვეზიტების მიხედვით ელექტრონულ მედნადებს ავსებს გვირგვინი ან გაგზავნის სადგური.

2. გვირგვინი მედნადებს ავსებს შემდეგი წესით:

ა) გრაფაში “სიჩქარე” - აღინიშნება გადაზიდვის სიჩქარე (საგვირგვინო ან დიდი). თუ გადაზიდვა დადგენილია მხოლოდ დიდი სიჩქარით, გვირგვინი ვალდებულია, ამ გრაფაში მიუთითოს სწორედ ეს სიჩქარე;

ზ) სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა (თბომავლები, ელმავლები, ორთქმავლები, ძრავამავლები, ვაგონები, მათ შორის, სპეციალური დანიშნულებისა თბომავალი ავტოდრეზინები, ავტომოტორისები, დიზელ და ელექტრომანქანების ვაგონები, მოძრავი საგვირთო ამწეები, ელექტროსადგურები, ენერგომანქანები და სარკინიგზო სვლის მქონე სხვა მოწყობილობა), რომელიც გადაზიდვა თავის დერძებზე უმოქმედო მდგომარეობაში; ლოკომოტივების გენდერები;

თ) ბაქნებზე გადასაზიდი ლოკომოტივები, რომლებიც განკუთვნილია ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისათვის;

ი) ავტომობილები, ტრაქტორები, ყველა დასახელების მოტორიზებული მანქანები, რომლებიც ნამყოფია ექსპლუატაციაში, მათ შორის, სარემონტო ან რემონტის შემდეგ გადასაზიდი;

კ) სპეციალური ავტომობილები, სპეციალიზებული ავტომობილები და ავტოცისტერნები (მათ შორის, ნავთობპროდუქტების, წყლის, თხევადი გაზისა და სათბობგამწყობების გადაზიდვისათვის), სპეციალური ძარების მქონე ავტომობილები; სავეგერინარო სამსახურის, მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფურგონ-ავტომობილები; მოძრავი სახელოსნოები ავტომობილებზე, მათ შორის, ავტომობილლაბორატორიები; ტექნიკური დახმარების ავტომანქანები, სახანძრო მანქანები, ავტობეტონსარევეები; ვაგონების გამწმენდი საფრქვეველიანი ავტომობილები, რენტგენის, სასწრაფო დახმარების, სარეანიმაციო და სხვა ავტომობილები, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობით;

ლ) გვირთი, რომელიც გადაზიდვა სვლის გზაზე ნაწილობრივი განგვირთვით ან დამატებითი დაგვირთვით;

მ) საფრთხეშემცველი გვირთი, რომლის სავალდებულო თანხლება გათვალისწინებულია "რკინიგზით საფრთხეშემცველი გვირთის გადაზიდვის წესით",

3. საერთაშორისო მიმოსვლით გადასაზიდი გვირთის ნუსხა და მისი თანხლების წესი განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

4. სპეციალური გვირთის დაცვას უზრუნველყოფს საგრანსპორტო პოლიცია და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილი ორგანო. დასაცავი ობიექტებისა და გვირთის ნუსხა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

1. გვირთგამგზავნი ზედნაღებში გვირთის დასახელების ქვეშ აღნიშნავს, რომ გვირთი გადაიზიდება გამყოლთა თანხლებით და მიუთითებს გამყოლთა რაოდენობას, მათ გვარ-სახელს (სრულად). სიგყვა “პასპორტი“-ს შემდეგ იწერება პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთების სერია და ნომერი, ხოლო სიგყვების “მივლ. მოწმ.” შემდეგ - მივლინების მოწმობის ნომერი.

2. თუ გადაზიდვის დამაბრკოლებელი გარემოებების გამო აუცილებელი გახდა გვირთის გაცემა, გამყოლს შეუძლია განახორციელოს გვირთგამგზავნის ფუნქციები. ამ შემთხვევაში, კეთდება აღნიშვნა ზედნაღების გრაფაში “გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები”, სადაც მუსგად აღიწერება გამყოლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება.

3. თუ გვირგამგზავნი იურიდიული პირია, გამყოლისათვის მისი უფლებამოსილებების დელეგირება ხდება გვირთგამგზავნის მიერ გაცემული მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე.

4. თუ გვირთი გადაიზიდება ელექტრონული ზედნაღებით, ამ მუხლით გათვალისწინებული მონაცემები გვირთგამგზავნს მასში შეაქვს და გვირთის შემდეგ.

მუხლი 100

გამყოლს უფლება აქვს იმგზავროს:

ა) ვაგონით, რომლითაც გადაიზიდება გვირთი;

ბ) ცალკე ვაგონით, რომელსაც რკინიგზა გამოყოფს გვირთგამგზავნის განაცხადის საფუძველზე;

გ) გვირთგამგზავნის ან გვირთმიმღების ცალკე ვაგონით.

თუ გამყოლი მგზავრობს ცალკე ვაგონით, ამ ვაგონის კუთვნილების მიუხედავად გვირთგამგზავნი ავსებს გუ-27-ე ფორმის ზედნაღებს, რომელშიც აღნიშნავს თითოეულ თანხლებულ გვირთთან ვაგონს და იმ ვაგონს, რომლითაც მგზავრობს გამყოლი.

გამყოლის მგზავრობისათვის გვირთგამგზავნს გადაეხდება დადგენილი ოდენობის საფასური, რომელიც აღინიშნება ზედნაღებში.

გამყოლს უფლება აქვს უსასყიდლოდ გადაიგანოს თავისი ხელბარგი, ხოლო თუ მისი მოცულობა აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას, ხელბარგის ზედმეტი მასისათვის გამყოლს გადაეხდება დამატებითი საფასური, როგორც წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი პირადი (ყოფითი) საჭიროებისათვის განკუთვნილ გვირთზე.

მუხლი 101

1. გამყოლი, რომელსაც მინდობილი აქვს გვირთის თანხლება და დაცვა ვალდებულია, გაგზავნის სადგურს წარუდგინოს პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთი და მივლინების მოწმობა.

2. გადაზიდვის დოკუმენტების საფუძველზე გაგზავნის სადგური გამყოლს გადასცემს ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმის მოწმობას, რომელიც ხელმოწერილია სადგურის უფლებამოსილი მუშაკის მიერ და დამოწმებულია კალენდარული შტემპელით. მოწმობის მიღებისას, საგზაო უწყისის ყუაბზე, გაგზავნის სადგურის კალენდარული შტემპელის ქვეშ გამყოლმა უნდა აღნიშნოს “მოწმობა მივიღე” და მოაწეროს ხელი, ასევე ჩაწეროს თავისი სახელი და გვარი. მოწმობის მიღებისას გამყოლი უნდა გაეცნოს მასში განსაზღვრულ გამყოლის ძირითად მოვალეობებს, აგრეთვე ხელი მოაწეროს მოწმობასა და გამყოლისათვის მოწმობის გაცემის რეგისტრაციის წიგნში.

3. თუ გვირთი გადაზიდვა ელექტრონული ბედნადებით, გამყოლს მოწმობა გადაეცემა ხელწერილით გაგზავნის სადგურის მიერ ამობეჭდილი გუ-27 უ-ვც ფორმის ელექტრონული ბედნადების ქალაქის ასლის სახით. ამ შემთხვევაში, გაგზავნის სადგური ელექტრონულ ბედნადებში აღნიშნავს მოწმობის გაცემის თარიღს.

მუხლი 102

1. გამყოლთა რაოდენობას განსაზღვრავს გვირთგამგზავნი (გვირთმიმღები). აკრძალულია 2 კაცზე ნაკლები და 3 კაცზე მეტი რაოდენობის გამყოლთა დანიშვნა თითოეულ ვაგონზე.

2. საფრთხეშემცველი გვირთის თანხლების დამატებითი პირობები განისაზღვრება საფრთხეშემცველი გვირთის გადაზიდვისა და ცისგერნა-ვაგონებსა და ბუნკერულ ნახევარვაგონებში გვირთის ჩასხმით გადაზიდვის წესებით.

3. გვირთგამგზავნი მოვალეა გამყოლის თანხლებით გადასაზიდი გვირთი განალაგოს და დაამაგროს ვაგონებსა და კონტეინერებში გვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 103

1. სვლის გზაზე გამყოლს შეუძლია ისარგებლოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი ფარნებითა და სტანდარტული გიპის თუჯის ღუმელით, რომელშიც გამოიყენება ნახშირი, შეშა ან სხვა მყარი სათბობი. იკრძალება ვაგონში თამბაქოს მოწევა და ამ წესით გაუთვალისწინებელი გასათბობი და გასანათებელი ხელსაწყოების გამოყენება.

2. გამყოლი სვლის გზაზე ვალდებულია დაიცვას სახანძრო და პირადი უსაფრთხოების მოთხოვნები.

მუხლი 104

1. თუ გვირთგამგზავნმა ვაგონი ღუმელით აღჭურვა, იგი მოვალეა ხანძრის ჩასაქრობად გამყოლი უზრუნველყოს სულ ცოცა 100 ლიტრიანი მოცულობის ბრეზენტის ან პოლიეთილენის ჭურჭელში ჩასხმული წყლის მარაგით.

2. გვირთის თანხლებით გადასაზიდად საჭირო მოსახსნელ სამარჯვებს, რომლებიც არ ამიანებენ მოძრავ შემადგენლობას და აკმაყოფილებს მოძრაობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს გვირთგამგზავნი.

მუხლი 105

1. საგვირთო ვაგონში ღუმელებისა და საღუმელე მოწყობილობის დაყენება წარმოებს სარკინიგზო გრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

2. ღუმელების დაყენებისას გვირთსა და ღუმელს შორის მანძილი უნდა იყოს სულ ცოცა 1 მეტრი, ხოლო გვირთის დაგვირთვის ბედა ღონესა და ვაგონის ჭერს შორის – სულ ცოცა 50 სმ. ვაგონში, სადაც გვირთთან ერთად ნავარაუდევია გამყოლის ყოფნაც, აკრძალულია კარის ღიობებში გვირთის, მყარი სათბობის მარაგის ან სხვა მასალების განლაგება.

3. ვაგონში გვირთგამგზავნის (გვირთმიმღების) ღუმელებისა და საღუმელე მოწყობილობის დაყენებისას გვირთგამგზავნის მიერ მათი რაოდენობა აღინიშნება ბედნადების მეორე მხარეზე არსებული მე-4 გრაფაში “გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები”.

4. ვაგონების მომარაგებას სამყოფი რაოდენობის მყარი სალუმელე სათბობით სვლის მთელ გზაზე უზრუნველყოფს გვირთგამგზავნი.

5. თუ სალუმელე სათბობი არასაკმარისია, გამყოლს უფლება აქვს მიიღოს იგი სვლის გზაზე მდებარე იმ სადგურში, სადაც არის სათბობის საწყობი.

მუხლი 106

1. თუ გვირთს გაფუჭების საფრთხე ექნება და შეუძლებელი ხდება გვირთმიმღებისათვის მისი უვნებლად მიგანა, გვირთგამგზავნს ან საამისოდ უფლებამოსილ გამყოლს შეუძლია დამოუკიდებლად განკარგოს გვირთი.

2. თუ გადაზიდვის პროცესში გამოვლინდა გვირთის დამაგრების ან მდგრადობის დარღვევა, გამყოლი ვალდებულია, წერილობით მიმართოს სადგურის უფროსს და მოითხოვოს ვაგონის მოხსნა. ამ შემთხვევაში გამყოლი იღებს ზომებს დამაგრების გამოსასწორებლად, გვირთის განლაგების და მდგრადობის აღსადგენად. თუ გვირთის დამაგრების ან მდგრადობის დარღვევა რკინიგზის მიზეზით მოხდა, იგი ვალდებულია თვითონ გამოასწოროს ეს ხარვეზი. გვირთის დამაგრებისა და დაცვირთვის შემოწმების შედეგები, აგრეთვე გვირთგამგზავნის მიზეზით ვაგონის იძულებითი მოცდენის დრო აღინიშნება საერთო ფორმის აქტში, რომელიც შეივსება ორ ეგზემპლიარად. აქტის ერთი ეგზემპლიარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, ზედნაღები მეორე მხარეზე არსებულ მე-5 გრაფაში "რკინიგზის აღნიშვნები" ჩაიწერება საერთო ფორმის აქტის ნომერი და შედგენის თარიღი. აქტის მეორე ეგზემპლიარი რჩება იმ სადგურს, სადაც მოხდა ვაგონის მოხსნა.

მუხლი 107

1. თუ სვლის გზაზე გამოვლინდა გამყოლთა თანხლებით მიმავალი ვაგონების ტექნიკური უწყესივრობა და ამ ვაგონების შემდგომი მსვლელობა შეუძლებელია მოცემულ მაგარებელთან ერთად, ასეთი ვაგონები უნდა მოიხსნას.

2. თუ ვაგონი დაზიანდა გვირთგამგზავნის ან გამყოლის მიზეზით, ღგება ვუ-25 მ ფორმის ვაგონის დაზიანებისა და საერთო ფორმის აქტები. თუ გამყოლი არ ეთანხმება ვაგონის დაზიანების შესახებ აქტის შინაარსს, იგი აქტს ხელს აწერს თავისი შენიშვნით და აღნიშნავს უთანხმოების მიზეზს. ვაგონის დაზიანების აქტის პირველი ეგზემპლიარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, დანიშნულების სადგურში გვირთმიმღებისათვის გადასაცემად, ან დამატებით გასაგზავნ საგზაო უწყისს, თუ დაზიანებული ვაგონები ჯგუფური გზავნილის შემადგენლობაში მიდიოდა. დამატებით საგზაო უწყისში, გვირთის დასახელების ქვეშ ან ზედნაღების მეორე მხარეზე არსებულ მე-5 გრაფაში "რკინიგზის აღნიშვნები" მიეთითება ვაგონის დაზიანების აქტის ნომერი, მისი შედგენის თარიღი და მიზეზი. ვაგონის დაზიანების აქტის მეორე ეგზემპლიარი დაერთვის ვაგონის დაზიანების ანგარიშს, რომელსაც რკინიგზა ასანამბლაურებლად წარუდგენს გვირთმიმღებს. ვაგონის დაზიანების აქტის მესამე ეგზემპლიარი რჩება სადგურში, სადაც მოიხსნა ვაგონი. აქტების საჭირო რაოდენობა განსაზღვრულია გვირთის გადაზიდვისას აქტების შედგენის წესით.

3. თუ ვაგონთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც აღმოჩნდა ტექნიკურად უწყესივრო ვაგონი, მიდიოდა რამდენიმე გამყოლის თანხლებით, ერთი გამყოლი რჩება ამ ვაგონთან, ხოლო თუ ვაგონთა ჯგუფი მიდიოდა ერთი გამყოლის თანხლებით, მაშინ დააკავებენ ვაგონთა მთელ ჯგუფს, სანამ არ აღმოიფხვრება მის შემადგენლობაში არსებული ვაგონის ტექნიკური უწყესივრობა. თუ ვაგონის ტექნიკური უწყესივრობის

აღმოსაფხვრელად გვირთი მეორე ვაგონშია გადატანილი, ამის შესახებ კეთდება აღნიშვნა გადაზიდვის დოკუმენტებში ან დამატებით საგზაო უწყისში.

მუხლი 108

1. თუ გვირთის შემდგომი თანხლება შეუძლებელი გახდა, სადგური გამყოლის წერილობითი განცხადების საფუძველზე ამის შესახებ აცოხინებს გვირთგამგზავნს ან გვირთმიმღებს გაგზავნის ან დანიშნულების სადგურის მეშვეობით. თუ გამყოლს არ შეუძლია წერილობითი განცხადების გაკეთება, შეცოხინების გადაცემისა და გვირთის თანხლების წესის შეცვლის საფუძველი შეიძლება გახდეს სამედიცინო დაწესებულების, სამართალდამცავი ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით გაცემული ცნობა. შეცოხინების მიღებისას გვირთგამგზავნი ან გვირთმიმღები ცვლიან გამყოლს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაგვირთული ვაგონები, გვირთგამგზავნის ან გვირთმიმღების ახალი გამყოლის მოსვლამდე რჩება სადგურში, რის შესახებ დგება საერთო ფორმის აქტი.

3. სადგური, სადაც შეჩერდა დაგვირთული ვაგონი, ახალ გამყოლებს გადასცემს მოწმობას ამ წესების 101-ე მუხლის შესაბამისად და მათ შესახებ მიუთითებს ბედნადების გრაფაში "რკინიგზის აღნიშვნები".

მუხლი 109

1. გვირთის დანიშნულების სადგურში მიგანისას, გადაზიდვის დოკუმენტებზე თანდართული საერთო ფორმის აქტის საფუძველზე რკინიგზა გვირთმიმღებს ანაზღაურების მიზნით ახალი გამყოლების მოსვლის მოლოდინში ვაგონების სადგურში დგომის ხარჯებს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი არ ვრცელდება გამყოლების თანხლებით საფრთხეშემცველი გვირთის გადაზიდვაზე.

მუხლი 110

1. თუ გვირთი გადაზიდვა ელექტრონული ბედნადებით, ამ წესების 108-ე მუხლით გათვალისწინებული გამყოლთა წერილობითი განცხადება ან შესაბამისი ცნობა, აგრეთვე ახალი გამყოლების შესახებ შედგენილი აქტები და ცნობები სადგურმა, სადაც გამყოლების შეცვლა მოხდა საჭირო აღნიშვნების შესატანად ელექტრონული სახით უნდა გადასცეს იმ საინფორმაციო გამომთვლელ ცენტრს, რომელიც ამ სადგურს ემსახურება.

2. დედანი ქალაქის დოკუმენტები (განცხადება, ცნობა) და გამყოლთა მიერ ხელმოწერილი აქტები შესაბამისად რჩება იმ სადგურს, სადაც შეცვალეს გამყოლები.

3. გამყოლთა თანხლებით მიმავალი ვაგონი მაგარებლის შემადგენლობაში დაყენებულ უნდა იქნეს ერთ ჯგუფად.

4. გვირთის გადაზიდვა საგრანსპორტო პოლიციის დაცვის თანხლებით ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რკინიგზასა და საგრანსპორტო პოლიციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი XI. ვაგონთა ჯგუფებით ერთი ბედნადებით გვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 111

1. ეს წესი განსაზღვრავს ვაგონთა ჯგუფებით ერთი ბედნადებით გვირთის გადაზიდვის პირობებს.

2. ვაგონთა ჯგუფებით გადასაზიდვად წარდგენილი გვირთი (ჯგუფური ან სამარშრუტო გაგზავნა) შეიძლება გაფორმებულ იქნეს ამ წესების დანართით განსაზღვრული გუ-27-ე ფორმის ერთი ბედნადებით, თუ:

- ა) გვირთი ერთგვაროვანია;
- ბ) დაგვირთვა-გადმოგვირთვა ხორციელდება არასაერთო სარგებლობის ადგილებში;
- გ) გვირთი გადასაზიდვად ერთმა გვირთგამგზავნმა წარუდგინა ერთი გაგზავნის სადგურს;
- დ) გვირთი იგზავნება ერთი დანიშნულების სადგურში ერთი გვირთმიმღების მისამართით;
- ე) გადაზიდვის პროცესში გვირთის მასა და ვაგონების რაოდენობა უცვლელი რჩება.

3. ჯგუფური (სამარშრუტო) გზავნილით გვირთის გადაზიდვის გაფორმება შეიძლება განხორციელდეს ამ წესების დანართით განსაზღვრული ელექტრონული ბედნადებით, გვირთის გადასაზიდვად მიღების წესის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 112

1. გამგზავნის მარშრუტის ფორმირებისას, რომელიც მარშრუტის ბირთვის (გამგზავნის მარშრუტის ძირითადი ნაწილი) და მისაბმელი ნაწილისაგან შედგება, ცალკე ბედნადებებით ფორმდება როგორც მარშრუტის ბირთვი, ისე მისაბმელი ნაწილის შემადგენლობაში არსებული ვაგონთა ჯგუფი და მარშრუტის მისაბმელი ნაწილის თითოეული ცალკეული ვაგონი.

2. თუ ცხოველები გადაიზიდება ვაგონთა ჯგუფით გამყოლის თანხლებით, ნებადართულია ერთი ბედნადების გაფორმება.

მუხლი 113

1. გუ-27 ფორმის ბედნადები შეივსება გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად და მის სათაურში გვირთგამგზავნი გადაშლის:

ა) სამარშრუტო გზავნილით გვირთის გადაზიდვისას-სიგყვების “ან ვაგონთა ჯგუფებს”,

ბ) ჯგუფური გზავნილით გვირთის გადაზიდვისას-სიგყვებს “მარშრუტს ან”

2. ადგილების რაოდენობა, გვირთის მასა და გადაზიდვის საფასური ბედნადების შესაბამისად გრაფაში აღინიშნება თითოეული ვაგონის მიხედვით, ხოლო ადგილების საერთო რაოდენობა, გადასაზიდი გვირთის მთელი მასა და გადაზიდვის საერთო ღირებულება - ბედნადების წინაპირზე.

3. ჯგუფის თითოეული ვაგონის საკეგ-საპლომბი მოწყობილობის მონაცემების შესახებ გვირთგამგზავნი აღნიშნავს ბედნადების თანდასართავ დამატებით ფურცელზე. დამატებით ფურცელს გვირთგამგზავნი ავსებს სამ ეგზემპლარად და ხელს აწერს მათ. ბედნადებში, გვირთის დასახელების ქვეშ, გვირთგამგზავნი აღნიშნავს: “მონაცემები საკეგ-საპლომბი მოწყობილობის შესახებ იხილე დამატებით ფურცელზე”.

4. ბედნადებსა და დამატებითი ფურცლის სამ ეგზემპლარს გვირთგამგზავნი წარუდგენს გაგზავნის სადგურს, რომელსაც დამატებითი ფურცლის ყველა

ეგზემპლარში შეაქვს ბედნადების ნომერი.

5. დამატებითი ფურცლის პირველი და მეორე პირი გაგზავნის სადგურმა თან უნდა დაურთოს შესაბამისად ბედნადებსა და საგზაო უწყისის ყუას, მესამე ეგზემპლარი კი, გვირთის მიღების ქვითართან ერთად, დაუბრუნოს გვირთგამგზავნს გადაბიდვის ღოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად.

6. ამ წესების 26-45-ე მუხლების მიხედვით შეივსება ელექტრონული ბედნადებიც, რომელშიც ადგილების რაოდენობა, გვირთის მასა, საკეც-საპლომბი მოწყობილობის მონაცემები და გადაბიდვის საფასური აღინიშნება თითოეული ვაგონის მიმართ.

მუხლი 114

1. თუ გვირთი ვაგონთა ჯგუფით ერთი გუ-27-ე ფორმის ბედნადებით გადაიბიდება, შეივსება გუ-29ბ და გუ-29ბრ ფორმის საგზაო უწყისი, გვირთის მიღების ანალოგიური ფორმის ქვითარი და გუ-38-ბ ფორმის სავაგონო ფურცელი. თუ ასეთი სახეობის გადაბიდვა ფორმდება გუ-27 უ-ვც ფორმის ელექტრონული ბედნადებით, შეივსება გუ-29 ბც ფორმის საგზაო უწყისი, გვირთის მიღების ანალოგიური ფორმის ქვითარი და გუ-38 ბ-ვც ფორმის სავაგონი ფურცელი.

2. გვირთის მიღების გუ-29ბ და გუ-29ბრ ფორმის ქვითრების შევსებისას ბედნადების უკანა მხარეს მიეთითება ჯგუფის ვაგონთა ნომრები, ხოლო ქვითარი მოწმდება სადგურის კალენდარული შტემპელით.

მუხლი 115

1. სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილებით ერთი ბედნადებით გადასაბიდი გვირთის მისამართის შეცვლა ხორციელდება გვირთის მისამართის შეცვლის წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილების ცალკეული ვაგონების მისამართის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მათი მისვლისას პირვანდელ დანიშნულების სადგურზე.

2. თუ უწყისივრობის გამო ვაგონი (ვაგონთა ჯგუფი) სელის გზაზე მოიხსნა სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილებიდან (შემდგომ-ძირითადი გზავნილი), სადგური, რომელიც განხორციელდა ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნა, ვალდებულია ორ ეგზემპლიარად შეადგინოს საერთო ფორმის აქტი, ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნის მიზეზების, გაგზავნის ნომრის, დანიშნულების სადგურის სახელწოდებისა და კოდის, აგრეთვე გვირთიმძღვები სახელწოდების, კოდის, საფოსტო მისამართის, გვირთის დასახელებისა და კოდის მითითებით.

3. ძირითადი გზავნილის ბედნადებისა და საგზაო უწყისის გრაფაში "გზაში შეტანილი აღნიშვნები" უნდა მიეთითოს მოხსნილი ვაგონის (ვაგონების) ნომერი, მოხსნის სადგურის სახელწოდება, მოხსნის მიზეზი, საერთო ფორმის აქტის ნომერი და მისი შევსების თარიღი. ეს აღნიშვნა დასტურდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და კალენდარული შტემპელით. ბედნადებში (საგზაო უწყისში) საკმარისი ადგილის უქონლობისას ეს მონაცემები აღინიშნება მასზე მიმაგრებულ ფურცელზე.

4. საერთო ფორმის აქტის პირველი პირი დაერთვის გადაბიდვის ღოკუმენტებს, ხოლო მეორე შესანახად რჩება იმ სადგურს, სადაც განხორციელდა ვაგონის მოხსნა.

5. მონაცემები მოხსნილი ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) შესახებ, ასევე ამოიშლება ძირითად გზავნილთან ერთად მიმავალი სავაგონო ფურცლიდან და მოწმდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერითა და სადგურის კალენდარული შტემპელით, ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნის მიზეზის მითითებით.

მუხლი 116

1. ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ, საერთო ფორმის აქტის მონაცემების საფუძველზე თითოეული მოხსნილი ვაგონის მიმართ ღებვა ახალი საავაგონო ფურცელი და დამტკიცებითი საგზაო უწყისი, რომელთა თანდართვითაც ვაგონი განაგრძობს სვლას დანიშნულების სადგურისაკენ.

2. მოხსნილ ვაგონში განლაგებული ტვირთის გადაზიდვის ვადა, უწესივრობათა აღმოფხვრის შემდეგ, გამოითვლება ტვირთის საავაგონო გზაგანილის სადღე-ღამისო გარბენის ნორმის საფუძველზე.

მუხლი 117

1. თუ სვლის გზაზე მოხსნილია ელექტრონული ბედნადებით გაფორმებული გაუმართავი ვაგონი (ვაგონთა ჯგუფი) სადგური, სადაც განხორციელდა ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნა, ვალდებულია გამოითხოვოს რკინიგზის მომსახურე საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრიდან ელექტრონული ბედნადები, ერთ ეგზემპლარად შეადგინოს საერთო ფორმის აქტი და წარმოადგინოს იგი ელექტრონული სახით, რომელშიც გადაზიდვის მონაცემები არ შეიგანება.

2. ვაგონის უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ, ელექტრონული ბედნადებისა და საერთო ფორმის აქტის მონაცემების საფუძველზე სადგურის უფებამოსილი მუშაკი თითოეული მოხსნილი ვაგონის მიმართ ავსებს დამატებით ელექტრონულ საგზაო უწყისს და გადასცემს მას სადგურის მომსახურე საინფორმაციო გამოთვლით ცენტრს.

3. დამატებით ელექტრონულ საგზაო უწყისში აღინიშნება ვაგონის ნომერი, ტვირთის დასახელება და კოდი, ძირითადი გზაგანილის ნომერი, ტვირთმიმღების სახელწოდება, კოდი და საფოსტო მისამართი, აგრეთვე საკეც-საპლომბი მოწყობილობის ამსახველი მონაცემები.

4. სამარშრუტო ან ჯგუფური გზაგანილით მიგანილი იმ ტვირთის გაცემისას, რომლის თანმხლებ ბედნადებში არის ჩანაწერი ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნის შესახებ, დანიშნულების სადგური ვალდებულია გადაზიდვის დოკუმენტებზე თანდართული საერთო ფორმის აქტის (აქტების) საფუძველზე შეადგინოს კომერციული აქტი, მოუსვლელი ვაგონების ნომრების მითითებით.

მუხლი 118

1. დანიშნულების სადგურში დამატებით საგზაო უწყისით მიგანილი ტვირთი ტვირთმიმღებს გადაეცემა მისთვის გაცემული კომერციული აქტისა და გაგზავნის ბედნადების წარდგენის შემდეგ, ტვირთის გაცემის წესის შესაბამისად.

2. დანიშნულების სადგური კომერციული აქტის ყველა ეგზემპლარსა და გაგზავნის ბედნადებში ვალდებულია, მიუთითოს ტვირთის მიგანის შესახებ დამატებითი საგზაო უწყისით, უწყისისა და ვაგონის ნომრის, ტვირთის ჩატვირთვის გამფორმებელი სადგურის, დატვირთვის გაფორმებისა და ტვირთმიმღებისათვის ტვირთის გაცემის თარიღის აღნიშვნით.

3. ბოლო ვაგონის მოსვლის შემდეგ, რომელიც კომერციულ აქტში არშემოსულად არის აღნიშნული, ტვირთმიმღები კომერციულ აქტს შესწავლავს უბრუნებს სადგურს.

4. ძირითადი გზაგანილის ტვირთზე აღრე დამატებითი საგზაო უწყისით მიგანილი ტვირთი ვაიცემა ამ უწყისში ტვირთმიმღების ხელმოწერით. ძირითადი გზაგანილის ტვირთის მიგანისას კომერციული აქტი არ ღებვა.

მუხლი 119

1. ელექტრონული ბეღნადებით გადაზიდული სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილის ტვირთის ნაწილის მიგანისას, თუ ბეღნადებში შეტანილია აღნიშვნა სვლის გზაზე ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნის შესახებ, დანიშნულების სადგური ავსებს კომერციულ აქტს მოუსვლელი ვაგონების ნომრების მითითებით.

2. დანიშნულების სადგურის მიერ შედგენილი კომერციული აქტი ფორმდება ასევე ელექტრონული სახით და გადაეცემა დანიშნულების გზის საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრს, რომელიც ელექტრონულ ბეღნადებში მიუთითებს მოუსვლელი ვაგონის ნომრებს.

3. თუ დანიშნულების სადგურში მისული ვაგონების ნომრები და რაოდენობის მაჩვენებლები არ შეესაბამება გადაზიდვის დოკუმენტების მონაცემებს, ტვირთის გაცემა ფორმდება გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის მიხედვით.

4. სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილით მიგანილი ტვირთის გაცემისას, დანიშნულების სადგური გადაზიდვასთან დაკავშირებულ საბოლოო ანგარიშსწორებას უბრუნველყოფს ბეღნადების (ელექტრონული ბეღნადების) მიხედვით, ვაგონთა იმ რაოდენობაზე გაანგარიშებით, რომელიც მივიდა ერთი გზავნილით.

თავი XII გამგზავნის მარშრუტებით ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 120

1. ტვირტის დანიშნულებისამებრ მიგანის დაჩქარებისა და გადაზიდვის საგრანსპორტო და საექსპლოატაციო ხარჯების შემცირების მიზნით ტვირთი შეიძლება გადაიზიდოს ტვირთის გადაზიდვის ორგანიზების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამგზავნის მარშრუტებით (შემდგომ - მარშრუტი).

2. მარშრუტი ნიშნავს დადგენილი სიგრძისა და წონის მაგარებლის შემადგენლობას, რომელიც ტვირთგამგზავნის მიერ შედგენილია თავის მისასვლელ ლიანდაგზე ან რკინიგზასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სადგურში, თუ სატვირთო მაგარებლების შედგენის გეგმით განსაზღვრული ამგვარი მაგარებლის გადამუშავებისაგან გათავისუფლებულია, სულ ცოცა, ერთი ტექნიკური სადგური მაინც.

მუხლი 121

1. მარშრუტი შეიძლება მოიწყოს პირდაპირი ან სანაწევრებელი.

2. დადგენილი წონისა ან სიგრძის მარშრუტის გადმოსატვირთად მიღების შესაძლებლობას ტვირთგამგზავნი ათანხმებს ტვირთმიმღებთან.

3. მარშრუტი, რომელიც მიემართება დატვირთვის სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე ორი ან მეტი რკინიგზის ფარგლებში განეკუთვნება ქსელურს, ხოლო ერთი რკინიგზის ფარგლებში – შიდასაგზაოს.

მუხლი 122

1. მარშრუტის სიგრძეს და წონას ადგენს და ტვირთგამგზავნებს აცნობებს რკინიგზა.

2. თუ მარშრუტის სვლის გზაზე განლაგებულია მაგარებლის წონისა შემცირების სადგური (გარდაცხის პუნქტი), მარშრუტი ყალიბდება ბირთვისაგან (გამგზავნის

მარშრუტის დადგენილი წონის ძირითადი ნაწილი, რომელიც წონის შეცვლის შემთხვევაში სადგურამდე სვლას განაგრძობს ხელახალი ფორმირების გარეშე) და მისაბმელი ნაწილისაგან, რომელიც ჩართულია მარშრუტის შემადგენლობაში გარდატეხის პუნქტამდე. მარშრუტის ბირთვის სიგრძე და წონა ღვინდება იგივე წესით, რა წესითაც იგი განისაზღვრა მთლიანად მარშრუტისათვის.

მუხლი 123

1. გვირთვამგზავნი, გადაზიდვის განაცხადთან ერთად რკინიგზას სამ ეგზემპლარად წარუდგენს გვირთვის მარშრუტებით გადაზიდვის განაცხადს, ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმით.

2. რკინიგზისათვის გვირთვის მარშრუტით გადაზიდვის განაცხადის წარდგენა და რკინიგზის მიერ მისი განხილვა ხორციელდება ამ წესებითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. განაცხადის განხილვისას მოწმდება გადასაზიდად წარდგენილი გვირთვის მოცულობის შესაბამისობა მარშრუტის სიგრძისა და წონის დადგენილი ნორმებისადმი.

3. მარშრუტით გადაზიდვის განაცხადის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება გვირთვამგზავნს, მეორე ეგზემპლარი - გაგზავნის სადგურს, ხოლო მესამე ეგზემპლარი რჩება რკინიგზას.

4. მარშრუტით გადასაზიდი ვაგონების დაგვირთვა გადმოგვირთვა-გადმოსატვირთად მომზადების, დადგენილ წონასა და სიგრძემდე მათი ფორმირების, აგრეთვე დაგვირთვა-გადმოგვირთვის შემდეგ მათი უკან დაბრუნების წესი და დაგვირთვა-გადმოგვირთვის ტექნოლოგიური ნორმები განისაზღვრება მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებებით.

მუხლი 124

1. მარშრუტის ან მარშრუტის ბირთვის შემადგენლობაში ერთ სადგურში მიმავალ ვაგონებზე მარშრუტის დაგვირთვის სადგური გადაზიდვის დოკუმენტებში აკეთებს აღნიშვნას შტემპულით "გამგზავნის მარშრუტი ----- პირდაპირი", ხოლო დანაწევრების სადგურებში ან გამანაწილებელ პუნქტებში - შტემპულით "გამგზავნის მარშრუტი ----- დანაწევრდება სადგურში-----".

2. მარშრუტის შემადგენლობაში მიმავალ ვაგონებზე გადაზიდვის დოკუმენტების შევსება ხორციელდება ვაგონთა ჯგუფით ერთი ბედნალებით გვირთვის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

მუხლი 125

1. მარშრუტის შემადგენლობაში მიმავალი ვაგონის სანაწევრებელ პუნქტში (სადგურში) მისვლისას მისი დამისამართება ხდება შესაბამისი უფლებამოსილი პირის წარმომადგენლის მიერ, ხოლო შესასვლელ და გამანაწილებელ სადგურებში მოსული ვაგონისა, რომელიც იღებს სათბობის გვირთვის - რკინიგზის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ იმ გადმოგვირთვის სადგურში, რომელიც შედის დანაწევრების პუნქტის (სადგურის) ან შესასვლელი და გამანაწილებელი სადგურების მოქმედების ზონაში.

2. იმ ვაგონის დამისამართება, რომელიც დანაწევრების პუნქტში (სადგურში) მივიდა მარშრუტის შემადგენლობაში, ხორციელდება გადაზიდვის პირვანდელი

ლოკუმენტის მიხედვით.

3. აღრიცხვას ექვემდებარება ყველა მარშრუტი, რომელიც პასუხობს ამ წესების 120-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 122-ე მუხლის მოთხოვნებს.

თავი XIII. წვრილმანი გზავნილებით ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 126

წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) ვაგონის ტევადობის მესამედს;
- ბ) 3, 5, 20 და 24 ტონიანი ბრუტო მასის ვაგონების ტევადობის მეოთხედს.

მუხლი 127

წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის საერთო მასა არ უნდა აღემატებოდეს 20 ტონას, ხოლო ტვირთის ერთი ადგილის წონა უნდა შეადგენდეს:

- ა) დახურულ ვაგონებში გადასაზიდი ტვირთისთვის - არანაკლებ 20 კგ და არა უმეტეს 1500 კგ;
- ბ) ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ტვირთისთვის - არანაკლებ 1500 კგ და არა უმეტეს 10 ტონისა;
- გ) ღიდტონაჟიან უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთისთვის - არა უმეტეს 1500 კგ, ხოლო საშუალოტონაჟიან უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთისთვის - არა უმეტეს 1000 კგ.

მუხლი 128

წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის ერთი ადგილის სიგრძე უნდა შეადგენდეს:

- ა) დახურულ ვაგონებში გადასაზიდი ტვირთისთვის - არა უმეტეს 2 მეტრისა;
- ბ) ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ტვირთისთვის - ვაგონებისა და კონტეინერებში ტვირთის განთავსებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების შესაბამისად;
- გ) უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთისთვის - კონტეინერების შიდა ზომებიდან გამომდინარე, უნივერსალურ კონტეინერებში ტვირთის გადაზიდვის წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 129

1. წვრილმანი გზავნილებით, მათ შორის, უნივერსალურ კონტეინერში ტვირთი გადაიზიდება ამგვარი გზავნილების მიღება-გასაცემად აღჭურვილ სადგურებს შორის.

2. აკრძალულია ერთ ვაგონში იმ წვრილმანი გზავნილის განთავსება, რომელიც იგზავნება ერთი სარკინიგზო კვანძის სხვადასხვა სადგურში.

3. ტვირთი წვრილმანი გზავნილებით იგზავნება ნაკრებ ვაგონებში ან კონტეინერებში:

- ა) რამდენიმე ტვირთგამგზავნის მიერ ერთი სადგურის დანიშნულებით დატვირთული, სვლის გზაზე დახარისხების გარეშე (პირდაპირი ნაკრები ვაგონები, კონტეინერები);

ბ) ერთი ან რამდენიმე გვირგვინის მიერ სხვადასხვა სადგურის დანიშნულებით დაგვირგვინებული, სვლის გზაზე დახარისხებით (გადასაგვირგვინი ნაკრები ვაგონები);

გ) ნაკრებსეფციებიან ვაგონებში ან ბაჭნებზე დამაგრებულ კონტეინერებში, რომლებიც მოძრაობენ მომიჯნავე გვირგვინისხებელი სადგურებით შემოფარგლულ უბნებზე.

მუხლი 130

1. წვრილმანი გზავნილების პირდაპირ ნაკრებ კონტეინერებში გადაზიდვასთან დაკავშირებული სამუშაო სრულდება უნივერსალურ კონტეინერებში გვირგვინის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდად გვირგვინი მიიღება გადაზიდვის განაცხადის საფუძველზე საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა გვირგვინს მისასვლელი ლიანდაგი.

მუხლი 131

1. წვრილმანი გზავნილების თითოეულ სავაგონო ან საკონტეინერო გადაზიდვაზე გვირგვინს ადგენს გუ-27 ფორმის ცალკე ბეღნაღებს, რომელშიც მიუთითებს გვირგვინის საერთო წონასა და გვირგვინის პარტიაში შემავალი ადგილების საერთო რაოდენობას.

2. გვირგვინს ბეღნაღებს ავსებს გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად. ბეღნაღების წინაპრის ბეღნაღში, გრაფაში “გზავნილის სახეობა” მიეთითება: “პნკ”, რაც ნიშნავს “პირდაპირი ნაკრები კონტეინერები”. პირდაპირი ნაკრები კონტეინერების გამგზავნა მისი ფორმირების სადგური.

მუხლი 132

1. წვრილმანი გზავნილებით წარმოდგენილი გვირგვინი გვირგვინის მიერ შეფუთული უნდა იყოს ტარაში ან სხვა შესაფუთ საშუალებაში, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ხოლო, თუ ეს სტანდარტები (ტექნიკური პირობები) არ არის დადგენილი, გვირგვინი ვალდებულია, გვირგვინი იმდგვარად შეფუთოს, რომ უზრუნველყოს მოძრაობის უსაფრთხოება, ვაგონის (კონტეინერის), გვირგვინის მთლიანობა და დაცვა-შენახვა.

2. წვრილმანი გზავნილების ყოველ საგვირგვინო ადგილზე, მათ შორის იმ გზავნილისა, რომელიც გადასაზიდად წარმოდგენილია საერთო სარგებლობის ადგილებში, გვირგვინს აკეთებს გამგზავნის, სპეციალურ და სარკინიგზო აღნიშვნებს, გვირგვინის გადასაზიდად მიღების წესის შესაბამისად.

მუხლი 133

1. საფრთხეშემცველი გვირგვინი წვრილმანი გზავნილებით გადაიზიდება ამგვარი გვირგვინის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. პირადი საჭიროებისათვის განკუთრებული გვირგვინი წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდად მიიღება მგზავრთა გადაყვანის წესის შესაბამისად.

მუხლი 134

წვრილმანი გზავნილების მისაღებად განკუთვნილი საწყობი შეიძლება

სპეციალიზებულ იქნეს ამგვარი ტვირთის დანიშნულებისამებრ. თითოეული დანიშნულებისათვის კონტეინერების ფორმირების გეგმის მიხედვით გამოყოფენ გარკვეულ უბანს ან სექციას. კონტეინერით გადასაზიდი წვრილმანი გზავნილები დანიშნულებისამებრ ჯგუფდება საწყობში. მძიმეწონიანი და ბომაგრძელი ტვირთი თავსდება შტაბელის გარე მხრიდან. ტვირთის განთავსება ვაგონსა და კონტეინერებში ჩატვირთვამდე უნდა იძლეოდეს ადგილების დათვლისა და სარკინიგზო აღნიშვნების შემოწმების საშუალებას.

მუხლი 135

1. წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის მიღებისას საერთო სარგებლობის ადგილებში, გამგზავნი სადგურის უფლებამოსილმა მუშაკმა უნდა შეამოწმოს შეფუთვის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან, ნიშანდების მდგომარეობა, ხოლო საჭიროებისას ტვირთის წონის შესაბამისობა ბელნალებში აღნიშნულ მონაცემებთან.

2. ტვირთის გადასაზიდად მიღების დასადასტურებლად რკინიგზა ვალდებულია, ბელნალებზე გააკეთოს აღნიშვნა კალენდარული შტემპელით. ტვირთის მიღების ქვითარი გადაეცემა ტვირთგამგზავნს საგზაო უწყისის ყუის შესაბამის გრაფაში ხელმოსაწერად.

მუხლი 136

1. სადგურში წვრილმანი გზავნილების მიგანისას, მათ შორის პირდაპირ ნაკრებ კონტეინერში გადასაზიდად, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს შეფუთვისა და ტვირთის წონის შესახებ მონაცემების არსებობას, აღნიშნავს თითოეულ გაგზავნას ტვირთის გასაგზავნად მიღების დავთარში და აკეთებს მითითებას ბელნალების უკანა მხარეს, რომელიც ტვირთგამგზავნს უბრუნდება ტვირთის უკანასკნელი ნაწილის სადგურში მიგანამდე.

2. თუ ჩატვირთვას ახორციელებს რკინიგზა, წვრილმანი გზავნილების გადასაზიდად წარმოდგენილი ვაგონებისა და ნაკრები კონტეინერების კომერციულ ვარგისობას განსაზღვრავს გაგზავნის სადგური. ამ შემთხვევაში, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი არჩევს ტვირთს თითოეული ვაგონის ან ნაკრები კონტეინერისათვის და ავსებს სავაგონო ფურცელს, რომელიც გადაეცემა გაგზავნის სადგურის სატვირთო საღაროს.

მუხლი 137

1. ნაკრები ვაგონის (კინტეინერის) დატვირთვისას საერთო სარგებლობის ადგილებში, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი თვალს ადევნებს წვრილმანი გზავნილებით წარდგენილი ტვირთის სწორ განთავსებას.

2. წვრილმანი გზავნილი, რომელიც გაივლის მახარისხებელ სადგურს, დახურულ ვაგონებში უნდა განთავსდეს ერთ-ერთ გორსულ კედელთან, რათა ტვირთის დახარისხების დროს შესაძლებელი იყოს მისი ამ გაგზავნისადმი კუთვნილების შემოწმება, სხვადასხვაგვარ შეფუთვაში მოთავსებული ან შეუფუთავი ტვირთი უნდა განლაგდეს ისე, რომ ერთობლივი გადაზიდვისას გამორიცხოს მისი დაზიანება.

3. წვრილმანი გზავნილების ჩატვირთვისას რეკვიზიტების დაყენებასა და მოხსნას, აგრეთვე ვაგონების (კონტეინერის) ბორცების, ლუკებისა და კარებების გახსნა-დახურვას ახორციელებს რკინიგზა.

4. თუ წვრილმანი გზავნილები გადაიზიდა და მოძრავ შემადგენლობაზე, გვირთი ვაგონში იმგვარად უნდა განთავსდეს, რომ ცალკეული გზავნილების გადმოგვირთვისას გზად მდებარე სადგურში საჭირო არ გახდეს დანარჩენი გვირთის გადაადგილება. გვირთი უნდა იყოს დამაგრებული ვაგონებსა და კონტეინერებში გვირთის დამაგრებისა და განთავსების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

მუხლი 138

1. საერთო სარგებლობის ადგილებში წვრილმანი გზავნილების ჩატვირთვის დამთავრებისთანავე, გაგზავნის სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს ვაგონში (კონტეინერში) ჩატვირთული გზავნილების რაოდენობას, წონასა და ადგილს; სავაგონო ფურცელში წერილობით მიუთითებს გზავნილების საერთო რაოდენობასა და ხელს აწერს მას; იგი აგრეთვე ვალდებულია, თითოეული ვაგონის (კონტეინერის) მიხედვით შეაგროვოს მცირე გზავნილების ბედნალები და გადასცეს ეს დოკუმენტები გაგზავნის სადგურის საგვირთო სალაროს.

2. პირდაპირი ნაკრები კონტეინერის სავაგონო ფურცელს სადგური ავსებს ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება წვრილმანი საკონტეინერო გზავნილების საწყობში, მეორე კი თან ერთვის გასაგზავნ კონტეინერში ჩატვირთული ყველა წვრილმანი გზავნილის გადაზიდვის დოკუმენტებს.

3. კონტეინერის (ვაგონის) კარებების დაკეცვის შემდეგ სადგურის უფლებამოსილი მუშაკი პლომბავს მას საკეც-საპლომბი მოწყობილობით, აღნიშნავს მის მონაცემებს სავაგონო ფურცელსა (ნაკრები ვაგონისათვის) და გუ-37 ფორმის დავთარში და ამოწმებს ხელმოწერით.

მუხლი 139

წვრილმანი გზავნილების გადაზიდვის ნაკრები ვაგონები (კონტეინერები), დატვირთული არასაერთო სარგებლობის ადგილებში, იპლომბება გვირთგამგზავნის მიერ, რომელიც აგრეთვე უზრუნველყოფს მათში გვირთის სწორ განთავსებას, ამ ვაგონების (კონტეინერების) გადასაზიდვად მიღების გაფორმებამდე სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს:

ა) ვაგონის (კონტეინერის) ნომრის შესაბამისობას ბედნალებში ჩაწერილ მონაცემებთან;

ბ) საკეც-საპლომბი მოწყობილობის არსებობას, წესიერობას და საკონტროლო აღნიშვნების შესაბამისობას ბედნალების მონაცემებთან;

გ) გვირთის ადგილების რაოდენობასა და გვირთის დაზიანების, დაკარგვის ან შეფუთვის დაზიანების ნიშნების არარსებობას ღია მოძრავ შემადგენლობაში;

დ) დანიშნულების (დახარისხების) სადგურის სავაგონო ფურცელში მითითებული ნაკრები ვაგონების შესაბამისობას ამ ვაგონების ფორმირების გეგმასთან.

მუხლი 140

1. გაგზავნის სადგურში წვრილმანი გზავნილების დაჯგუფების პირობები განისაზღვრება დახურულ ვაგონსა და ღია მოძრავ შემადგენლობაზე წვრილმანი გზავნილების ფორმირების საქსელო და საგზაო გეგმებით. წვრილმანი გზავნილებით იმგვარად უნდა დაჯგუფდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რაც შეიძლება მეტი ნაკრები ვაგონის (კონტეინერის) ფორმირება.

2. წვრილმანი გზავნილებით სხვადასხვა დანიშნულების სადგურში გადასაზიდი

გვირთი ნაკრები დახურული ვაგონებიდან გადმოვიგვირთება საერთო სარგებლობის ადგილებში.

3. წვრილმანი გზავნილებით მიტანილი გვირთის გადმოსაგვირთად სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ვაგონის (კონტეინერის) გახსნის წინ ამოწმებს საკეტსაპლომბი მოწყობილობის სისწორეს და ხსნის მას.

4. თითოეული მცირე გზავნილის გადმოგვირთვა ხორციელდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის თანდასწრებით, რომელიც ამოწმებს ტარას და/ან შეფუთვას, ასევე გადმოსაგვირთი გვირთის შესაბამისობას სავაგონო ფურცლისა და გელნაღებს მონაცემებთან.

მუხლი 141

1. წვრილმანი გზავნილებით გადაზიდული გვირთის გადმოგვირთვისას სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს, რომ ამ სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილ საერთო სარგებლობის ადგილებში გვირთი დაიწყოს აკურატულად, დაუზიანებლად, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნეს ვაგონის (კონტეინერის) უვნებლობა.

2. საერთო სარგებლობის ადგილებში გადმოგვირთული წვრილმანი გზავნილები აღინიშნება თარიღის, გაგზავნის ნომრისა და ადგილის რაოდენობის მითითებით. მონაცემები გადმოცლილი გვირთის შესახებ სადგურის უფლებამოსილ მუშაკს შეაქვს გვირთის გადმოცვლის დავთარში.

3. წვრილმანი გზავნილების საერთო სარგებლობის ადგილებში გადმოგვირთვისას გვირთის დარჩენილ ადგილებს ამავრებს და გადაადგილებს რკინიგზა.

4. ვაგონის გადმოგვირთვის შემდეგ სადგურის უფლებამოსილი მუშაკი სავაგონო ფურცელში აღნიშნავს გადმოგვირთვის დასრულების თარიღს, ხელს აწერს მას და გადასცემს დანიშნულების სადგურის საგვირთო სალაროს.

5. სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ასევე ვალდებულია, შეამოწმოს ვაგონში (კონტეინერში) დარჩენილი, სხვა სადგურებისათვის განკუთვნილი წვრილმანი გზავნილების ადგილების რაოდენობა, მათი განთავსებისა და დამავრების სისწორე, შესაბამისი აღნიშვნების არსებობა და შეადგინოს ახალი სავაგონო ფურცელი.

მუხლი 142

1. წვრილმანი გზავნილებით მიტანილ და გადმოცვლილ გვირთს რკინიგზა გადასცემს გვირთმიმღებს, გვირთის გაცემის წესის შესაბამისად.

2. თუ სადგურიდან გვირთის გატანა საშვით წარმოებს, გვირთმიმღებმა სადგურის უფლებამოსილ მუშაკს უნდა წარუდგინოს სადგურის საგვირთო სალაროს მიერ გაცემული საშვი.

3. გვირთმიმღების მიერ გვირთის შენახვის საფასურის გადახდის შემდეგ, თუ მისი უსასყიდლო შენახვის ვადა გავიდა, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი გასცემს გვირთის აგომობილზე დაგვირთვის ნებართვას. ამ შემთხვევაში, გელნაღებში (საშვზე) იგი აღნიშნავს გვირთის გაცემის შესახებ, ხოლო გვირთის გადმოცვლის დავთარში მიუთითებს გზავნილების გაცემის თარიღსა და ნომერს, აგრეთვე იმ აგომობილის მარკასა და სახელმწიფო ნომერს, რომლითაც მოხდა გვირთის გატანა.

მუხლი 143

1. თუ წვრილმანი გზავნილებით გადაზიდული გვირთის გაცემისას არ არსებობსა

გარის და შეფუთვის დაზიანების ნიშნები, საგზაო უწყისის მეორე მხარეს გვირთმიმღების ნებართვით კეთდება ჩანაწერი, რომ გვირთი გაიცემა გახსნისა და შემცველობის შემოწმების გარეშე.

2. თუ დანიშნულების სადგურში გვირთის მდგომარეობის, წონისა და აღვლების რაოდენობის შემოწმებისას აღმოჩნდა დანაკლისი ან გვირთის დაზიანება, ანდა ამგვარი გარემოება დადგენილია სვლის გზაზე შედგენილი კომერციული აქტით, დანიშნულების სადგური განსაზღვრავს ფაქტობრივი დანაკლისის ან გვირთის დაზიანების ოდენობას და გადასცემს გვირთმიმღებს კომერციულ აქტს.

3. თუ საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, სადგური, საკუთარი ინიციატივით ან გვირთმიმღების მოთხოვნით, იწვევს ექსპერტებს და სათანადო სპეციალისტებს. ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებს ანაზღაურებს ექსპერტების (სპეციალისტების) მოწვევით დაინტერესებული მხარე.

თავი XIV. გვირთის უნივერსალურ კონტეინერში გადაზიდვის წესი

მუხლი 144

1. ეს წესი განსაზღვრავს გვირთის უნივერსალურ კონტეინერში (შერმდგომში - კონტეინერი) გადაზიდვის პირობებს და ამგვარი გადაზიდვის დოკუმენტების შევსების თავისებურებას.

2. გვირთგამგზავს, გვირთმიმღებს, რკინიგზასა და სხვა პირებს უფლება არა აქვს ისარგებლონ კონტეინერებით მათი მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

მუხლი 145

1. კონტეინერს უნდა ჰქონდეს დადგენილი ნიშნების ნიშანდობა, რომელიც მოცემულია ამ წესის დანართში. ყველა დიდგონაჟიან კონტეინერს უნდა გააჩნდეს გრაფარეტი მორიგი შემოწმების ან რემონტის ვადების აღნიშვნით.

2. კონტეინერების ბრუტო წონა აღინიშნება მის კარებზე და კოდირებულია დიდგონაჟიანი კონტეინერის ნიშანდობის კოდის მეორე მწკრივში ან საშუალოგონაჟიანი კონტეინერის ნიშანდობის კოდის პირველ მწკრივში.

3. თუ კონტეინერს არა აქვს ნიშანდობა და გრაფარეტი, იგი გადასაზიდვად არ მიიღება.

მუხლი 146

1. კონტეინერით სრულდება პირდაპირი, საექსპორტო, საიმპორტო და საგრანზიტო გადაზიდვა.

2. ფიზიკურ პირთა საჭიროებისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების და მალფუჭადი გვირთი კონტეინერში გადაზიდვება ამ წესების მოთხოვნათა დაცვით

3. რკინიგზის კონტეინერებში აკრძალულია მყრალი ან ისეთი გვირთის გადაზიდვა, რომელიც აბინძურებს კონტეინერს შიდა ბედაპირის და რომლის გადაზიდვისა და გადმოთვირთვის შემდეგ აუცილებელია კონტეინერის დემინფექცია.

5. საფრთხეშემცველი გვირთი კონტეინერში გადაზიდვება ამგვარი გვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

6. თხევადი გვირთი კონტეინერით გადასაზიდვად დაიშვება მხოლოდ პირველად უმსხვრევ გარაში (კასრები, ბილონები, კანისგრები, პლასტმასის ჭურჭელი), აგრეთვე

წერილ გარაში დაფასოებული, მუყაოს ყუთებში შეფუთული, მოლარგყული და სხვა მსუბუქი შეფუთვით. ამ შემთხვევაში წერილმანი გარა განკუთვნილი უნდა იყოს წარმოდგენილი თხევადი თხევადი ტვირთის გადასაზიდად.

მუხლი 147

1. დიდგონაჟიან კონტეინერში ჩატვირთული ერთი ტვირთის ადგილის წონა არ უნდა აღემატებოდეს 1500 კგ, ხოლო საშუალოგონაჟიან კონტეინერში ჩატვირთულისა -1000 კგ-ს.

2. კონტეინერის ძირზე მოთავსებული ადგილების ერთიანი დატვირთვა, მათ შორის ფორმირებული შტაბელისა, ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე არ უნდა აღემატებოდეს: 1კგძ- დიდგონაჟიან კონტეინერში და 0.5 კგძ-ს - საშუალოგონაჟიან კონტეინერში.

3. კონტეინერის ძირზე დასაშვები დატვირთვის გადაჭარბებისას სატვირთო ადგილი უნდა განთავსდეს არანაკლებ 100X20მმ კვეთის სტანდარტულ ქვეშე ან სათანადო საყრდენ ბელაპირიან ქვესადებზე. ასეთი სატვირთო ადგილები კონტეინერში განლაგდება მხოლოდ ერთ იარუსად.

მუხლი 148

1. რკინიგზა ვალდებულია, დასატვირთად წარმოადგინოს წესიერული და მოცემული ტვირთის გადასაზიდად ვარგისი კონტეინერი, რომელიც გაწმენდილია ნაგვისა და ტვირთის ნარჩენებისაგან.

2. გადასაზიდად პირველად შეფუთვაში უტაროდ ან შემსუბუქებული გარით წარდგენილ ტვირთს, აგრეთვე მის გადასაზიდად განკუთვნილ კონტეინერს წინასწარ ამზადებს ტვირთგამგზავნი ისე, რომ ჩატვირთვის, გადაზიდვის ან გადმოტვირთვის დროს გამოირიცხოს ტვირთის სხვადასხვაგვარი ხახუნი, დეფორმაცია, შეყინვა, გადაძვინება ან ტვირთის სხვა უარყოფითი ბემოქმედება კონტეინერზე.

3. რკინიგზის კონტეინერში დაბეთილი შეუფუთავი ტვირთი გადაიზიდება მხოლოდ მკვრივ ქალაქში გახვეული, კონტეინერის ძირის, კედლებსა და ტვირთს შორის არსებული სივრცის დამცავი სადებებით აღჭურვილი, კონტეინერის შიდა ბელაპირის დაბინძურებისა და მექანიკური დაზიანებისგან დაცვის პირობით.

მუხლი 149

1. ტვირთგამგზავნმა კონტეინერში ტვირთი ისე უნდა განალაგოს, რომ გამოირიცხოს მისი გადაადგილება გადაზიდვის პროცესში ტვირთზე ბუნებრივი ბემოქმედების გამო.

2. დაუშვებელია ტვირთის მიბჯენა კონტეინერის კარზე (კონტეინერის კარსა და ტვირთს შორის მანძილი 3-დან 5 სმ –მდე უნდა ღარჩეს), აგრეთვე ტვირთის ან მისი დასამაგრებელი მოწყობილობის დაჭედება კონტეინერის ძირზე. ტვირთის დასამაგრებლად გამოიყენება საბეჭენი ძელები, ჯაჭვები, გამყოფი ფარები (კონტეინერის კარის ღიობში) და არანაკლებ 20X100 მმ განივკვეთის ფიცრის განმბჯენი ჩარჩოები.

3. ტვირთის შტაბელებს შორის, აგრეთვე ტვირთისა და კონტეინერის კედლებს შორის ღრეჩოების საერთო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 200 მმ-ს, ხოლო გადაადგილება კონტეინერში მოთავსებული ტვირთის მასის საერთო ცენტრის შუაგულიდან არ უნდა აღემატებოდეს: 600 მმ - დიდგონაჟიანი კონტეინერის შუიდან,

სიგრძეზე და 100 მმ - სიგანეზე.

მუხლი 150

1. კონტეინერში ჩატვირთული ტვირთის წონა არ უნდა აღემატებოდეს მისი ნეტო წონის ტვირთამწეობას, რომელიც შეადგენს გრაფარეგებზე მითითებული კონტეინერის ბრუტო წონასა და კონტეინერის ტარის წონას შორის სხვაობას.

2. კონტეინერში ტვირთის ჩატვირთვის შემდეგ მისი კარი იხურება, იკეცება და იპლომბება ვაგონებსა და კონტეინერების დაპლომბვის წესის შესაბამისად.

მუხლი 151

1. კონტეინერის ვაგონში (ავტომობილზე) ჩატვირთვა სადგურის საერთო სარგებლობის ადგილებში და მისი ვაგონიდან (ავტომობილიდან) გადმოტვირთვა ხორციელდება რკინიგზის მიერ. არასაერთო სარგებლობის ადგილებში ამ სამუშაოებს ასრულებს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები.

2. დატვირთული კონტეინერი ვაგონში უნდა დაიდგას კარებით შიგნით.

მუხლი 152

1. კონტეინერის ტვირთი გადაიზიდება იმ სადგურებს შორის, რომელიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკური საშუალებებით კონტეინერებზე სამუშაოების უზრუნველსაყოფად. კონტეინერებში ტვირთის გადაზიდვა სხვა სადგურებს შორის დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. კონტეინერის მიღება იმ ნავსადგურუდან, რომელიც არ არის ჩართული პირდაპირ შერეულ სარკინიგზო საზღვაო გადაზიდვაში ან კონტეინერის გაგზავნა იმ ნავსადგურისა და სადგურის გავლით, რომელიც არ არის აღჭურვილი ტვირთის გადასაცლელად საჭირო ტექნიკური საშუალებებით, აკრძალულია.

3. თუ კონტეინერში ტვირთი გადაიზიდება საზღვაო ნავსადგურების გავლით, მათ შორის არაპირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლით, ბედნადებს თან უნდა დაერთოს ტვირთგამგზავნის ხელმოწერით დადასტურებული ტვირთის ჩატვირთვისა და დამაგრების მოწმობა, რომელიც შეივსება ბედნადებში მითითებული მონაცემების შესაბამისად.

მუხლი 153

1. ტვირთის გადაზიდვა კონტეინერში იმ სადგურებსა და პორტებს შორის, რომელიც აღჭურვილია კონტეინერების დასამუშავებლად საჭირო ტექნიკური საშუალებებით, ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონტეინერებით ერთობლივი სარგებლობის წესი განისაზღვრება მათ მფლობელთა შეთანხმებით.

2. ბედნადების მე-3 გრაფაში “ტვირთგამგზავნის განსაკუთრებული აღნიშვნები და შენიშვნები” ტვირთგამგზავნმა უნდა აღნიშნოს: „----- (დანიშნულების ქვეყნის დასახელება) წყლის გრანსპორტით გადასაზიდად”.

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ტვირთგამგზავნი ქონებრივად აგებს პასუხს ბედნადებში შეგანილია მონაცემების უცუყარობასა და არასწორი ან არასრული მონაცემების მითითებით გამოწვეულ შედეგებზე.

4. თუ საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში დატვირთული კონტეინერი წარმოდგენილია კომპლექტებად (კონტეინერების ჯგუფები) და იგზავნება სვლის გზაზე დაუხარისხებლად ერთი დანიშნულების სადგურში, ბედნადები ფორმდება

თითოეულ დაგვირთულ კონტეინერზე.

მუხლი 154

1. თუ წვრილმანი გზავნილების გვირთი კონტეინერში გადასაზიდვად მიღებულია საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში, გადზიდვა დაიშვება ერთ კონტეინერში ერთი დანიშნულების სადგურში გადოსაცლელად გვირთის შუალედური დახარისხების გარეშე (შემდგომში-პირდაპირი ნაკრები კონტეინერი). წვრილმანი გზავნილების ჩატვირთვისას თითოეული პირდაპირ ნაკრები კონტეინერში ექსპედიტორი თავისი ხარჯით ავსებს გუ-29კ. ფორმის ბედნადებს, ამ წესების დანართში გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად და ბედნადების წინაპირის ბედა ნაწილის გრაფაში „გზავნილების ფორმა“ დიდი ასოებით აღნიშნავს „პნკ“, რაც შემოკლებით ნისნავს „პირდაპირი ნაკრები კონტეინერი“. ამ შემთხვევაში პირდაპირ ნაკრები კონტეინერში ჩატვირთულ გვირთს ექსპედიტორი ათავსებს კონტეინერის შიგნით, რაზეც მიუთითებს ბედნადების შესაბამისად გრაფაში.

2. რკინიგზის მიერ პირდაპირი ნაკრები კონტეინერის ფორმირებისას, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ავსებს კონტეინერის თანმხლებ ფურცელს, რომელსაც ერთვის კონტეინერში განლაგებულ წვრილმან გზავნილებზე გაფორმებული ბედნადებები.

მუხლი 155

1. თუ გადმოტვირთვის შემდეგ გვირთში მდებარე უარს ამბობს კონტეინერის გაწმენდაზე, რკინიგზას უფლება აქვს გვირთგამგზავნისაგან არ მიიღოს აღნიშნული კონტეინერი და მოსთხოვს მას მთელი ამ დროის განმავლობაში კონტეინერით სარგებლობისათვის დადგენილი საფასურის გადახდა.

2. კონტეინერის კომერციულ ვარგისობას გარკვეული გვირთის გადასაზიდვად განსაზღვრავს გვირთგამგზავნი. გვირთგამგზავნს უფლება აქვს არ მიიღოს მისი გვირთის გადასაზიდვად კომერციულად უვარგისი კონტეინერი და რკინიგზა ვალდებულია შეცვალოს იგი ვარგისით.

მუხლი 156

1. დაგვირთული კონტეინერი გადასაზიდვად მიიღება გარეგნული დათვალიერების, გვირთგამგზავნის საკეგსაპლომბი მოწყობილობის არსებობისა და ამის თაობაზე ბედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორის შემოწმების შემდეგ, გარდა პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებისათვის განკუთვნილი გვირთით დაგვირთული კონტეინერის წარდგენისა, როდესაც დაპლომბვას უზრუნველყოფს გამგზავნი სადგური გვირთგამგზავნის ხარჯით.

2. გვირთის კონტეინერებში გადაზიდვისას გვირთგამგზავნს შეუძლია, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში ვალდებულია, გამოაცხადოს გასაგზავნი გვირთის ფასეულობა და შეადგინოს მისი ჩამონათვალი.

მუხლი 157

1. კონტეინერი, რომელიც ვაიცემა საერთო სარგებლობის ადგილებში, 24 საათის განმავლობაში უსასყიდლოდ ინახება დანიშნულების სადგურში.

2. გვირთგამგზავნის, გვირთში მდებარე ან ექსპედიტორის მიერ მის ფლობელობაში არსებული კონტეინერის მიღების დაყოვნებისას რკინიგზის სასარგებლოდ გადაიხდება კონტეინერების საერთო სარგებლობის ადგილებში დგომის

საფასური.

3. რკინიგზის ან სხვა პირთა მფლობელობაში არსებული კონტეინერებით სარგებლობისას გვირთგამგზავნი, გვირთმიმღები ან ექსპედიტორი, რომელთანაც რკინიგზას გაფორმებული აქვს კონტეინერების ერთობლივი ექსპლოატაციის ხელშეკრულება, რკინიგზას უხდის კონტეინერებით სარგებლობის დადგენილ საფასურს, კონტეინერის თითოეული ტიპის მიხედვით.

მუხლი 158

1. დიდგონაქიანი კონტეინერი სპეციალიზებულ ან გადაკეთებულ სარკინიგზო ბაქნებზე თავსდება და მაგრდება გექნიკური პირობების მოთხოვნათა დაცვით.

2. საშუალოგონაქიანი კონტეინერი, ნახევარვაგონსა და უნივერსალურ (ბორგიან) ბაქნებზე გადაიზიდება მთლიანი კომპლექტით (კონტეინერების ჯგუფით), რომელიც იკავებს ნახევარვაგონის ან ბაქნის მთელ ფართობს, გვირთის განთავსებისა და დამაგრების სქემების შესაბამისად.

3. თუ ბაქნის ურიკებზე უმრუნველყოფილია თანაბარი დაგვირთვა, დიდგონაქიანი კონტეინერი სპეციალიზებულ ბაქანზე შეიძლება გადაიზიდოს არასრული კომპლექტით, ბაქნის შუაში ფიგინგურ საბჯენებზე განლაგებით.

4. საშუალოგონაქიანი კონტეინერების გადაზიდვა ადგილობრივი გექნიკური საშუალებებით ნებადართულია მხოლოდ ერთი რკინიგზის ფარგლებში.

მუხლი 159

1. კონტეინერი დანიშნულების სადგურში გაიცემა იმავე წესით, რა წესითაც ხდება მისი გადასაზიდად მიღება.

2. დაგვირთული, მათ შორის იმპორტული გვირთით დაგვირთული კონტეინერი, ნავსადგურისგან მიიღება ან ბარდება მას კონტეინერისა და მისი დაპლომბვის მდგომარეობის გარეგნული დათვალიერების შემდეგ. საჭიროებისას, ნავსადგურში კონტეინერში გვირთის შემოწმება ან მისი წესივრულ კონტეინერში გადაგვირთვა ხორციელდება ჩამბარებელი მხარის თანდასწრებით და მისი ხარჯით. შემოწმების შემდეგ კონტეინერს პლომბავს ჩამბარებელი მხარე, თავისი საკეც-საპლომბი მოწყობილობით.

3. იმპორტული გვირთით დაგვირთულ კონტეინერებზე საბაჟო ორგანოს საკეც-საპლომბი მოწყობილობის არსებობა, ბედნადებს თანდართული ვახსნის აქგისა და ბედნადებში შეგანილი შესაბამისი აღნიშნითურთ, გვირთის გაცემისას რკინიგზისათვის არ წარმოადგენს მისი მდგომარეობის, წონისა და ადგილების რაოდენობის შემოწმების სავალდებულო საფუძველს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 160

1. ექსპედიტორს, რომელსაც სადგურთან დადებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება, კონტეინერები სადგურში შემოაქვს და გააქვს სადგურიდან კეუ-16 ფორმის განწესის საფუძველზე, რომელსაც სადგური სამ ეგზემპლარად აფორმებს. განწესის ნომრად მიეთითება გვირთის გასაგზავნად მიღების დავთრის ან გვირთის გადმოგვირთვის დავთრის მიხედვით დადგენილი რიგითი ნომერი. ამავე განწესის შესაბამისად ხორციელდება გვირთმიმღების, გვირთგამგზავნისა და ექსპედიტორის მიერ კონტეინერებით სარგებლობის დროის აღრიცხვა. ამ მიზნით კეუ-16 ფორმის

განწესში მითითებული უნდა იყოს კონგენერების ნომრები. ამ შემთხვევაში მისასვლელ ლიანდაგზე კონგენერებიანი ვაგონების ჩამოყენებისას კეუ-16 ფორმის განწესი ფორმდება კონგენერებიანი ვაგონის ჩამოყენებისა და დაწმენდა დასუფთავების უწყისთან ერთად.

2. იმპორტული საქონლის მიღებისას კეუ-16 ფორმის განწესი, ბედნაღებთან ერთად, გადაეცემა საბაჟო ორგანოს, რომელიც ემსახურება დანიშნულების სადგურს. გვირთის გაშვებისას, საბაჟო ორგანო ბედნაღებსა და კეუ-16 ფორმის განწესში დაუსვამს დადგენილი ფორმის შტამპს.

3. დაგვირთული ან ცარიელი კონგენერის გაცემისას ან სადგურში მათი დაბრუნებისას, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი განწესის შესაბამის გრაფაში აღნიშნავს კონგენერის გაცემისა და დაბრუნების თარიღსა და დროს. ეს აღნიშვნები მოწმდება მისი და ექსპედიტორის ხელმოწერით. განწესის ორი ეგზემპლარი, კონგენერთან ერთად, გადაეცემა ექსპედიტორს, განწესის ერთი ეგზემპლარი კი რჩება სადგურში ან საკონგენერო მოედანზე.

4. რკინიგზის უფლება-მოვალეობებს იმ კონგენერის მიმართ, რომელიც საკუთრებაა, არეგულირებს კონგენერის მესკუთრესა და რკინიგზას შორის დადებული კონგენერებით ერთობლივი სარგებლობის ხელშეკრულება.

თავი XV. გვირთის სპეციალიზებულ კონგენერებში გადაზიდვის წესი

მუხლი 161

სპეციალიზებული კონგენერის სახეებია:

- ა) სპეციალიზებული სამუალოგონაჟიანი კონგენერი, რომლის ბრუგოს მაქსიმალური წონი 2,5 ტონაზე მეტი, მაგრამ 10 ტონაზე ნაკლებია;
- ბ) სპეციალიზებული დიდგონაჟიანი კონგენერი, რომლის ბრუგოს მაქსიმალური წონა 10 ტონა და მეტია.

მუხლი 162

1. ახლად დამზადებული და რკინიგზაზე გადასაზიდად პირველად წარდგენილ სპეციალიზებულ კონგენერებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატი ან "უსაფრთხო კონგენერების საერთაშორისო კონვენციით" გათვალისწინებული ფირფიტა, რომელიც მაგრდება გვირთის უნივერსალურ კონგენერებში გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. თუ პირდაპირი ან შერეული მიმოსვლით გადაზიდული სპეციალიზებული დიდგონაჟიანი კონგენერი არ შეესაბამება "უსაფრთხო კონგენერების საერთაშორისო კონვენციის" ნორმებს, აგრეთვე სახელმწიფო და საერთაშორისო სტანდარტებს, იგი გადასაზიდად არ მიიღება.

2. სპეციალიზებული კონგენერის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამართული მდგომარეობა, ნიშანდების სისწორე და სისრულე.

3. საფრთხეშემცველი გვირთი სპეციალიზებულ კონგენერში გადაზიდება ამ წესებისა და "რკინიგზით საფრთხეშემცველი გვირთის გადაზიდვის წესის" შესაბამისად.

საკეგ-საპლომბი მოწყობილობით ან ღია მოძრავ შემადგენლობაზე წესიერულად დაგვირთული, მაშინ დანიშნულების სადგური მოვალეა, გადასცეს გვირთმიმღებს გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტის ასლი, მიუხედავად იმისა, შეადგინა თუ არა მან გვირთის გაცემისას კომერციული აქტი. ამ შემთხვევაში, დანიშნულების სადგური აკეთებს გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტის ასლს, რომელიც მასთან ინახება.

2. თუ გვირთის გაცემის წესების შესაბამისად გაგარებულ იქნა გვირთის ექსპერტიზა ამის შესახებ უნდა გაკეთდეს აღნიშვნა კომერციული აქტის "67" გრაფაში.

მუხლი 427

1. კომერციულ აქტს ადგენს და ამ წესების 415-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში ხელს აწერს გვირთმიმღები, თუ იგი მონაწილეობდა გვირთის შემოწმებაში და სადგურის სამი მუშაკი:

ა) სადგურის უფროსი (უფროსის მოადგილე) ან დაგვირთვა – გადმრგვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფროსი (უფროსის მოადგილე);

ბ) საგვირთო რაიონის უფროსი, პაკჰაუმის, საკონტინერო მოედნის ან მახარისხებელი ბაქნის გამგე, მოვალეობათა განაწილების კვალობაზე;

გ) სადგურის მიმღებ-ჩამბარებელი ან დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისტანციის მიმღებ-ჩამბარებელი. თუ სადგურის სამგატო განირიგით ეს თანამდებობები არ არის გათვალისწინებული, მაშინ კომერციული აქტის ხელმოსაწერად შეიძლება მოწვეულ იქნეს სადგურის (დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისტანციის) სხვა უფლებამოსილი მუშაკი. ამ შემთხვევაში, კომერციულ აქტში კეთდება ჩანაწერი: "სამგატო განირიგში _____ თანამდებობა არ არის".

2. თუ ვაგონის გარას ამოწმებს მიმღებ-ჩამბარებელი, რომელსაც გადმოგვირთვითვისას გვირთის აწონვაში მონაწილეობა არ მიუღია, კომერციული აქტის "66" გრაფაში აღინიშნება იმ მიმღებ-ჩამბარებლის გვარი, რომელიც მონაწილეობდა გვირთის აწონვასა და ვაგონის გარის შემოწმებაში. კომერციულ აქტს ხელს აწერს მიმღებ-ჩამბარებელი, რომელმაც შემოწმა ვაგონის გარა.

მუხლი 428

თუ ვაგონი მოსულია წესიერულ მდგომარეობაში, დაგვირთვის პუნქტის დაუზიანებელი საკეგ-საპლომბი მოწყობილობით, მაშინ კომერციული აქტის შედგენისას გვირთმიმღების მონაწილეობით, მათ შორის, რამდენიმე გზავნილზე, ვაგონიდან მოხსნილი საკეგ-საპლომბი მოწყობილობა უქმდება და დაერთვის კომერციულ აქტს, ვაგონებისა და კონტინერების დაპლომბვის წესის შესაბამისად.

მუხლი 429

1. გვირთმიმღების მოთხოვნით დანიშნულების სადგური ვალდებულია, 3 დღის ვადაში გადასცეს მას 428- მუხლით გათვალისწინებულ გზავნილზე შედგენილი კომერციული აქტი.

2. გვირთმიმღებს კომერციული აქტი გადაეცემა, თუ იგი გვირთის მიღებაზე წარადგენს შესაბამის უფლებამოსილებას, ხოლო თუ იგი ფიზიკური პირია –პასპორტს ან პიროვნების დამადასტურებელ სხვა საბუთს და ხელს მოაწერს კომერციული აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც სადგურს რჩება.

მუხლი 430

1. თუ სადგურის ან დაგვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფლებამოსილი პირი უარს აცხადებს კომერციული აქტის შედგენაზე ან დადგენილი წესით გაფორმებაზე, ტვირთმიმღებს უფლება აქვს, ამის თაობაზე წერილობით განუცხადოს რკინიგზის საგვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურის უფლებამოსილ პირს. აღნიშნული განცხადება აღრესაგს გადაეცემა უშუალოდ, ან სადგურის ანდა დაგვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

2. განცხადება გარდება რეგისტრაციაში რკინიგზის საგვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურში და მასზე აღინიშნება განცხადების წარდგენის თარიღი და დრო, აგრეთვე იმ პირის თანამდებობა და გვარ-სახელი, რომელმაც განცხადება ჩაიბარა. იგივე მონაცემები უნდა აღინიშნოს ტვირთმიმღებისათვის მიცემულ ხელწერილში, როდესაც განცხადების გადაცემა ხდება სადგურის ან დაგვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

3. თუ რკინიგზის საგვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურის უფლებამოსილი პირი უარს აცხადებს კომერციული აქტის შედგენაზე ან დადგენილი წესით გაფორმებაზე, იგი ვალდებულია, მალფუჭებადი ტვირთის მიმართ - განცხადების მიღებიდან ერთი დღის, ხოლო სხვა ტვირთის მიმართ - სამი დღის განმავლობაში, აცნობოს ტვირთმიმღებს უარის მიზეზი.

მუხლი 431

თუ კომერციული აქტი გაფორმდა ძირითადი გზავნილით მიტანილი ტვირთის დანაკლისის გამო და გადაეცა ტვირთმიმღებს, მაშინ ამ ტვირთის მიტანისას დამატებითი დოკუმენტით ტვირთმიმღების მიერ წარმოდგენილი ძირითადი გზავნილის ბედნადებსა და კომერციული აქტის ყველა ეგზემპლარის "68" გრაფაში, დანიშნულების სადგურმა უნდა აღინიშნოს ნაკლული ტვირთის მიტანის თაობაზე დამატებითი დოკუმენტით და მიუთითოს ვაგონის ნომერი, დამატებითი გამოგზავნის გამფორმებელი სადგურის სახელწოდება, დამატებითი გამოგზავნის გაფორმებისა და ნაკლული ტვირთის გაცემის თარიღი. აღნიშნავს ხელს აწერს ამ წესების 427-ე მუხლში აღნიშნული პირი და იგი მოწმდება სადგურის შტემპულით. ტვირთის უკანასკნელი ნაწილის მიტანისას, რომელიც კომერციულ აქტში მიუგანლად არის აღნიშნული, ტვირთმიმღები კომერციულ აქტს უბრუნებს შესანახად სადგურს.

მუხლი 432

ძირითადი გზავნილით მიტანილი ტვირთის დანაკლისის გამო, რომელიც გადაიბიდა ელექტრონული ბედნადებით, დანიშნულების სადგური ადგენს ელექტრონულ კომერციულ აქტს და გადასცემს მას რკინიგზის საინფორმაციო-გამომთვლელ ცენტრს. თუ ტვირთის დამატებითი დოკუმენტებით მიტანის შემდეგ ტვირთმიმღებს გადაეცემა ელექტრონული ბედნადების ქალაქის ასლი, კომერციული აქტის ყველა ეგზემპლარის "68" გრაფასა და გუ - 27 უ-ვც ფორმის ელექტრონული ბედნადების ქალაქის ასლში ძირითადი გზავნილის თაობაზე აღნიშვნის შეტანისას, ანალოგიური აღნიშვნა უნდა გაკეთდეს ელექტრონულ კომერციულ აქტში. ამ შემთხვევაში ძირითადი გზავნილის ელექტრონულ ბედნადებში შეაქვთ აღნიშვნა დამატებითი დოკუმენტით მიტანილი ტვირთის ნაწილის გაცემის თარიღის თაობაზე.

მუხლი 433

1. საერთო ფორმის აქტს ადგენს სადგური, ამ წესების დანართში მოცემული ფორმით. საერთო ფორმის აქტით დასტურდება შემდეგი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი:

ა) ბედნაღებზე თანდასართავი აუცილებელი საბუთების დაკარგვა გვირთგამგზავნის მიერ;

ბ) დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყოვნება გვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით;

გ) დაგვირთული ვაგონების დაყოვნება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ გვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მფლობელის მიზეზით მათ ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები ან მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დაგროვებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა;

დ) გვირთგამგზავნისათვის ცარიელი ვაგონების მიწოდების დაყოვნება მისივე მიზეზით;

ე) გვირთმიმღების ან გვირთგამგზავნის მიერ თავისი ვაგონების (კონტეინერების) მიღების დაყოვნება;

ვ) ვაგონების (კონტეინერების) გაუწმენდავად დატოვება გვირთმიმღების საშუალებით გადმოგვირთვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩამოსხმის ან სარეც-გასაორთქლ სადგურში გამოვლინდება ბოლომდე გადმოუღვრელი გვირთის ნარჩენებიანი ცისგერნები და ხვიშირიანი ნახევარვაგონები;

ზ) ცისგერნებისა და ბუნკერ-ვაგონების ჩასხმის ან გამდმოსხმის შემდეგ მათი გარე ბედაპირის დატოვება გაუწმენდავად;

თ) რკინიგზის მიერ გვირთგამგზავნის საშუალებით დასატვირთად გაუწმენდავი ვაგონების (კონტეინერების) მიწოდება;

ი) ვაგონებზე (კონტეინერებზე) საკეც-საპლომბი მოწყობილობის არარსებობა, თუ ბედნაღებსა და სავაგონო ფურცელში აღნიშნულია მისი არსებობის შესახებ, საკეც-საპლომბი მოწყობილობის დაზიანება ან გამოცვლა, თუ არ არსებობს კომერციული აქტის შედგენის საფუძველი, ვაგონებზე (კონტეინერებზე) გაურკვეველი ინფორმაციით დატვირთული საკეც-საპლომბი მოწყობილობის აღმოჩენა სვლის გზაზე ან დანიშნულების სადგურში, განზრახ დაზიანების კვალის გარეშე, თუ ინფორმაცია, რომელიც იკითხება, შეესაბამება ბედნაღებისა და სავაგონო ფურცლის მონაცემებს ან სვლის გზაზე განზრახ დაზიანების კვალის გარეშე ვაგონებზე (კონტეინერებზე) ისეთი საკეც-საპლომბი მოწყობილობის აღმოჩენა, რომელმაც დატვირთული ინფორმაცია არ შეესაბამება ბედნაღებისა და სავაგონო ფურცლის მონაცემებს;

კ) გვირთგამგზავნის ან გვირთმიმღების მიზეზით რკინიგზის იმ ლოკომოტივის დაყოვნება, რომელიც გაიგზავნა ვაგონების გამოსაყვანად, მათი შეტყობინების შესაბამისად;

ლ) გვირთის დაყოვნება სვლის გზაზე;

მ) უწესივრო ვაგონების (კონტეინერების) აღმოჩენა სვლის გზაზე, რაც საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებისა და გადასაზიდი გვირთის დაცვა-შენახვას;

ნ) ვაგონის (კონტეინერის) დაზიანება;

ო) სხვა პირთა მფლობელობაში არსებული ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური დაკავება რკინიგზის მიერ;

ჟ) რკინიგზის ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური გამოყენება გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების ან სხვა არაუფლებამოსილი პირის მიერ;

რ) გვირთის გაცემის დაყოვნება, გვირთგამგზავნის მიერ გვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო;

ს) გაგზავნის ან დანიშნულების სადგურში გვირთგამგზავნის (გვირთმიმღების) მიზნით იმ გვირთის დაყოვნება, რომელსაც იცავს საგრასპორტო პოლიცია;

ტ) რკინიგზის ლოკომოტივის მოცდენა კომერციული ოპერაციების შესასრულებლად გამოუსედეგარ გადასარბენებსა და გამყოფ პუნქტებში, დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოს დასრულების მოლოდინში;

უ) გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების ან სხვა ვალდებული პირის უარის თქმა ან თავის არიდება ვაგონის ან კონტეინერის დაზიანების აქტის, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს, ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის, გადაზიდვის განაცხადის შესრულების სააღრიცხვო ბარათისა და სხვა დადგენილი ფორმის დოკუმენტის ხელმოწერაზე. ამ შემთხვევებში, ხელმოწერის ადგილას აღინიშნება საერთო ფორმის აქტის შედგენის თაობაზე, მისი ნომრისა და შედგენის თარიღის მითითებით, რომელსაც ხელს აწერს სადგურის უფლებამოსილი მუშაკი, სადგურის სტრიქონული შტემპულით დამოწმებით;

ფ) ვაგონში ცხოველთა ლემის აღმოჩენა სვლის გზაზე.

2. საერთო ფორმის აქტს სადგური ადგენს ამ წესებით განსაზღვრული ეგზემპლარების რაოდენობით. საერთო ფორმის აქტის ყოველ ეგზემპლარზე, გრაფაში "რკ/გზის სადგური _____", დაისმის აქტის შემდგენელი სადგურის სტრიქონული შტემპული.

მუხლი 434

1. გაგზავნის და/ან დანიშნულების სადგურში საერთო ფორმის აქტი ღებება:

ა) თუ საერთო ფორმის აქტის მიხედვით აშკარაა რკინიგზის, გვირთგამგზავნების, გვირთმიმღებების ან სხვა ვალდებული პირის პასუხისმგებლობა, საერთო ფორმის აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც გადაიხდება გადაზიდვის საფასური და ნაზღაურდება ზარალი, მეორე ეგზემპლარი გადაეცემა გვირთმიმღებს, გვირთგამგზავნს ან სხვა უფლებამოსილ პირს, მათივე მოთხოვნით, მესამე ეგზემპლარი კი, შესაძლად რჩება მის შემდგენელ სადგურს;

ბ) თუ საერთო ფორმის აქტის შედგენისას გვირთგამგზავნი, გვირთმიმღები ან სხვა ვალდებული პირი უარს აცხადებს ან თავს არიდებს ვაგონის (კონტეინერის) დაზიანების აქტის, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს, ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის ან გადაზიდვის გეგმის შესრულების სააღრიცხვო ბარათის ხელმოწერაზე, საერთო ფორმის აქტი შეკვეთილი წერილით იგზავნება გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების ან სხვა შესაბამისი პირის მისამართით, ამ დოკუმენტების მეორე ეგზემპლართან ერთად. წერილის გაგზავნის საფოსტო ქვითარი, წერილის ასლთან, ხელმოწერილი დოკუმენტის პირველ ეგზემპლართან და საერთო ფორმის აქტთან ერთად, ინახება მის შემდგენელ სადგურში.

2. გზად მდებარე სადგურში საერთო ფორმის აქტი ღებება:

ა) კომერციული უწყისივრობის მქონე დაგვირთული ვაგონების (კონტეინერების) გამოვლენისას, რაც საფრთხეს უქმნის მოძრაობას ან გვირთის დაცვა-შენახვას,

აგრეთვე ავტოგრაქტორის ტექნიკის დატაცების, დანაკლისის და დაზიანების ნიშნების აღმოჩენისას. ამ შემთხვევაში საერთო ფორმის აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტს, ხოლო მეორე შესანახად რჩება მის შემდგენელ სადგურს. თუ შედგენილია კომერციული აქტი, მას უნდა დაერთოს საერთო ფორმის აქტის ასლი;

ბ) გვირთის დამაგრების დარღვევის გამოვლენისას, რაც გახდა მხოლოდ ვაგონის დაზიანების მიზეზი. ამ შემთხვევაში საერთო ფორმის აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტს, ხოლო მეორე შესანახად რჩება მის შემდგენელ სადგურს. საერთო ფორმის აქტის ასლი იგზავნება დეპოში, რომელიც ახორციელებს ვაგონის შეკეთებას;

გ) დაგვირთული ვაგონების (კონტეინერების) აღმოჩენისას დატაცების ნიშნით. ამ შემთხვევაში საერთო ფორმის აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტს, ხოლო მეორე შესანახად რჩება შემდგენელ სადგურს. ზოგადი ფორმის აქტის ასლი იგზავნება საგრანსპორტო პოლიციის შესაბამის განყოფილებაში, დატაცების ფაქტის გამოვლენის ადგილის მიხედვით.

3. გზად მდებარე სადგურში, გვირთის მიგანის ვადის გაანგარიშების წესით განსაზღვრულ შემთხვევებში, საერთო ფორმის აქტი დგება 2 ეგზემპლარად. აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, რის თაობაზეც შესაბამისი აღნიშვნა კეთდება ბედნადების მეორე მხარეს, გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“, რომელიც მოწმდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერითა და სადგურის სტრიქონული შტემპულით. აქტის მეორე ეგზემპლარი შესანახად რჩება მის შემდგენელ სადგურს.

მუხლი 435

1. თუ გვირთი გადაიზიდება ელექტრონული ბედნადებით, გადაზიდვის დოკუმენტებს დასართავი საერთო ფორმის აქტი დგება ასევე ელექტრონული სახით და გადაეცემა მოცემული სადგურის საინფორმაციო – გამომთვლელ ცენტრს. საერთო ფორმის აქტის საფუძველზე ელექტრონულ ბედნადებში შეაქვთ გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესით განსაზღვრული მონაცემები.

2. გაგზავნისა და გზად მდებარე სადგურების მიერ შედგენილი ელექტრონული საერთო ფორმის აქტი, ელექტრონულ ბედნადებთან ერთად გადაეცემა დანიშნულების სადგურს ელექტრონული სახით.

3. შემდგენელმა სადგურმა, დანიშნულების სადგურის მოთხოვნით, ელექტრონული საერთო ფორმის აქტი უნდა ამოიბეჭდოს ქალაქის ასლის სახით. ამ შემთხვევაში საერთო ფორმის დედან აქტზე დასმული ყველა შტემპელი სრულდება მანქანაზე ნაბეჭდი სახით. საერთო ფორმის ელექტრონული აქტის ქალაქის ასლი მოწმდება იმ სადგურის სტრიქონული შტემპულით, რომლის მოთხოვნითაც შედგა იგი.

მუხლი 436

1. საერთო ფორმის აქტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის საფუძველი.

2. თუ გადაზიდვის ხელშეკრულებით რკინიგზამ გვირთგამგზავნს დასაგვირთად უნდა მიაწოდოს ღია ლუკებიან-კარიანი, გაუწმენდავი ცარიელი ვაგონები (კონტეინერები), გვირთის დასამაგრებელი მოუხსნელი სამარჯვებით, მაშინ სადგურში ამ ვაგონების (კონტეინერების) დასაგვირთად მიწოდებისას დგება საერთო ფორმის აქტი, რომელშიც აღინიშნება გვირთგამგზავნის თანხმობა ვაგონების (კონტეინერების) მიწოდებაზე, მათი ნომრების, აგრეთვე ხელშეკრულების ნორმისა და თარიღის

მითითებით.

3. თუ გადაზიდვა სვლის გზაზე ისეთი საფუძვლით იქნა შეჩერებული, რაც, ამ წესების მიხედვით, გამოიწვევს გვირთის მიგანის ვადის შესაბამის გახანგრძლივებას, მაშინ საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების მიზეზი და ხანგრძლივობა.

მუხლი 437

თუ სვლის გზაზე მდებარე სადგურში საერთო ფორმის აქტი შედგენილია ისეთი კომერციული უწესიერობის მქონე ვაგონის (კონტეინერის) აღმოჩენისას, რომელიც საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებასა და გადასაზიდი გვირთის დაცვა - შენახვას, აქტში აღინიშნება გამოვლენილი უწესიერობა, გვირთის შემოწმების შედეგი, ვაგონის ძარის, კონტეინერის, საკეც-საპლომბი მოწყობილობის, ნაგრეხის, კარისა და ლუკის საკეთისა და გვირთის ჩაგვირთვის მდგომარეობა, ვაგონის დაგვირთვის სისრულისა და გვირთის ბედაპირის თანაბარბომიერების მითითებით, აგრეთვე კართაშორის სივრცეში იარუსების რაოდენობა და ვაგონის (კონტეინერის) კომისიური შემოწმების სხვა მიზეზი. თუ გვირთი დაგვირთულია დაყრით და ამის გამო იარუსების დათვლა შეუძლებელია, გვირთის მდებარეობა კართაშორის სივრცეში აღიწერება დაგვირთვის თანაბარბომიერების, საგვირთო ადგილების ნომრებისა და შეფუთვის განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით.

მუხლი 438

თუ საერთო ფორმის აქტი შედგა ავტოგრაქტორის ტექნიკის გადაზიდვასთან დაკავშირებით, მასში აღინიშნება ტექნიკის დაზიანება, დეტალებისა და კვანძების დანაკლისი, ხოლო სამარაგო ნაწილებისა და ინსტრუმენტების ცალკეული ადგილების დარღვევისას – მათი ფაქტობრივი არსებობა. დაგაცების ნიშნების არსებობისას, ისინი დაწვრილებით უნდა აღიწეროს გვირთის ამოღების ადგილების მუსტი განლაგების, ბომის, საგვირთო ადგილების შეფუთვის დარღვევისა და სხვა გარემოების მითითებით. საერთო ფორმის აქტში აგრეთვე აღინიშნება გვირთის დაცვის საშუალებები და ვაგონზე, კონტეინერზე, ავტოგრაქტორის ტექნიკაზე დადებული საკეც-საპლომბი მოწყობილობის მონაცემები.

მუხლი 439

თუ ვაგონი სადგურში მივიდა საერთო ფორმის აქტით გაფორმებული უწესიერობით და ვაგონის (გვირთის) მდგომარეობა არ შეცვლილა აქტში აღწერილთან შედარებით, საერთო ფორმის თანმდევი აქტი იწერება გუ – 98 ფორმის წიგნში და საერთო ფორმის აქტი ხელახლა აღარ დგება.

მუხლი 440

1. საერთო ფორმის აქტში, რომლის საფუძველზეც გადაიხდება:

ა) რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური – აღინიშნება ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე დაყოვნების ფაქტობრივი დრო;

ბ) კომერციული ოპერაციების შესასრულებლად გამოუსადეგარ გადასარბენებსა და გამყოფ პუნქტებში დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოების დასრულების მოლოდინში რკინიგზის ლოკომოტივით სარგებლობის საფასური – აღინიშნება

ლოკომოტივის დაყოვნების მიზეზი და ღრო;

ვ) გვირთგამგზავნის ან გვირთმიმღების მიზეზით საგრანსპორტო პოლიციის დაცვის ქვეშ მყოფი გვირთის გაგზავნის ან დანიშნულების სადგურში დაყოვნების საფასური – აღინიშნება დაყოვნებული ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა და მათი დაყოვნების ღრო.

2. საერთო ფორმის აქტს ხელს აწერს სულ ცოცხა ორი პირი მაინც, ხოლო გვირთის გადაზიდვისას გამყოლის თანხლებით აუცილებელია გამყოლის ხელმოწერაც.

მუხლი 441

თუ საერთო ფორმის აქტი სვლის გზაზე მდებარე სადგურში ღვება ტელეფონით ან რადიოკავშირით გადაცემული მონაცემების საფუძველზე, გადაზიდვის დოკუმენტებზე თანდართულ საერთო ფორმის აქტის პირველ ეგზემპლარს ხელი შეიძლება მოაწეროს მისმა შემდგენელმა პირმა, იმ მუშაკის გვარ-სახელისა და თანამდებობის მითითებით, ვინც უზრუნველყო დათვალიერება. საერთო ფორმის აქტის მეორე ეგზემპლარს, დადგენილი წესით, ხელს აწერს მასში აღნიშნული ყველა პირი.

მუხლი 442

საერთო ფორმის აქტში აღნიშნულმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს აქტს, ხოლო, თუ არ ეთანხმება მის შინაარსს, წერილობით დაურთოს მას თავისი განსაკუთრებული მოსაზრება. თუ გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების ან სხვა ვალდებული პირის წარმომადგენელი უარს აცხადებს ან თავს არიდებს საერთო ფორმის აქტის ხელმოწერაზე, მაშინ მას ხელს აწერს აქტის შედგენაში მონაწილე პირი და მიუთითებს, რომ ვალდებულმა პირებმა აქტის ხელმოწერაზე უარი განაცხადეს.

მუხლი 443

1. თუ ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური უწყესივრობის გამო გამოვლინდა გვირთის გაუონვა, გაფუჭება ან დასველება, კომერციულ აქტთან ერთად ღვება ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტი, რომლის ფორმა განსაზღვრულია ამ წესების დანართით.

2. ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტი ღვება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი დაერთვის კომერციული აქტის პირველ ეგზემპლარს, მეორე კი, რჩება მის შემდგენელ სადგურში.

3. ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტი, როგორც წესი, უნდა შედგეს ვაგონის (კონტეინერის) უწყესივრობის გამოვლენის დღეს, მაგრამ არა უგვიანეს კომერციული აქტის შედგენის დღისა.

მუხლი 444

1. ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტში, ვაგონის (კონტეინერის) უწყესივრობის მიზეზთან ერთად, სავალდებულოდ უნდა აღინიშნოს უწყესივრობის ხასიათი და მისი წარმოშობა.

2. ვაგონის ტექნიკური მდგომარეობის აქტს ხელს აწერს ვაგონის დათვალიერების მონაწილე სავაგონო ღეპოსა და სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. კონტეინერის ტექნიკური მდგომარეობის აქტს ხელს აწერს კონტეინერის დათვალიერების მონაწილე დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისტანციისა და

სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 445

1. თუ ვაგონი (კონტეინერი), ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ავტომობილი, გრაქტორი და სხვა თვითმავალი ტექნიკა სადგურში გაიხსნა სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარული, სავეტერინარო, ფიტოპათოლოგიური და სხვა სახის შემოწმების მოსაწყობად, მაშინ ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმით, ღებვა ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტი.

2. საიმპორტო გვირთის გადაზიდვისას სადგური ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტს ადგენს სამ ეგზემპლარად, ხოლო საექსპორტო გვირთის გადაზიდვისას-ოთხ ეგზემპლარად. აქტის ერთი ეგზემპლარი, ვაგონიდან (კონტეინერიდან) მოხსნილ საკეგ-საპლომბ მოწყობილობასთან ერთად, რჩება აქტის შემდგენელ სადგურში, მეორე – დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტს და გვირთს თან ახლავს დანიშნულების სადგურამდე, მესამე – გადაეცემა იმ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელს, რომლის მოთხოვნითაც გაიხსნა ვაგონი (კონტეინერი), ხოლო მეოთხე ეგზავნება ვაგონის სადგურს. აქტის მეოთხე ეგზემპლარის საფუძველზე, გვირთგამგზავნი იხდის ვაგონზე, კონტეინერზე, ავტომობილზე, გრაქტორსა და სხვა თვითმავალ მანქანაზე ახლად დაყენებული საკეგ-საპლომბი მოწყობილობის ღირებულებას. ბედნადების მეორე მხარეს, გრაფაში “რკინიგზის აღნიშვნები” ან დამატებით საგზაო უწყისში გვირთის დასახელების ქვეშ, ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტის შემდგენელმა სადგური უნდა აღნიშნოს ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტის შედგენის თაობაზე. ეს აღნიშვნა მოწმდება აქტის შემდგენელი მუშაკის ხელმოწერითა და სადგურის კალენდარული შტემპულით.

მუხლი 446

ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტში აღინიშნება შემოწმების დროს ვაგონიდან ან კონტეინერიდან მოხსნილი და ახლადდაყენებული საკეგ-საპლომბი მოწყობილობის, მათი დამყენებელი პირის, მოწყობილობის ტიპისა და საკონტეინერო ნიშნის თაობაზე, ხოლო საექსპორტო გვირთის გადაზიდვისას, აქტის მეოთხე ეგზემპლარში დამატებით აღინიშნება საკეგ-საპლომბი მოწყობილობის ღირებულება. აქტს ხელს აწერს იმ სადგურის უფლებამოსილი მუშაკი, სადაც მოხდა ვაგონის (კონტეინერის) გახსნა, აგრეთვე გახსნაში მონაწილე სასაზღვრო, საბაჟო და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოს წარმომადგენელი. აქტი მოწმდება სადგურის კალენდარული შტემპულით.

მუხლი 447

1. თუ გვირთი გადაიზიდება ელექტრონული ბედნადებისთ, ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტი ღებვა ასევე ელექტრონული სახით, ორ ეგზემპლარად (ქალაქის ასლად). ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტის ერთი ეგზემპლარი (ქალაქის ასლი), მოხსნილ საკეგ-საპლომბ მოწყობილობასთან ერთად, რჩება აქტის შემდგენელ სადგურს, ხოლო მეორე ეგზემპლარი (ქალაქის ასლი) ეგზავნება იმ რკინიგზის საგვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურს, რომლის სადგურშიც გაიხსნა ვაგონი (კონტეინერი). სადგურის მიერ შედგენილი ვაგონის (კონტეინერის) გახსნის ელექტრონული აქტი გადაეცემა რკინიგზის საინფორმაციო –გამომთვლელ ცენტრს სადაც გაიხსნა ვაგონი (კონტეინერი). მოცემული აქტის საფუძველზე ელექტრონულ ბედნადებში შეიგანება გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესით

გათვალისწინებული აღნიშვნები.

2. ვაგონის (კონტეინერის) გახსნის ელექტრონული აქტი და ბედნადები ელექტრონული სახით ეგზავნება დანიშნულების სადგურს.

3. ვაგონის (კონტეინერის) გახსნის ელექტრონული აქტი, მისმა შემდგენელმა სადგურმა, შეიძლება ამობეჭდოს ქაღალდის ასლის სახით. ამ შემთხვევაში, გრაფაში "ხელმოწერა" იბეჭდება ვაგონის (კონტეინერის) გახსნის დედანი აქტის ხელმოწერი პირის გვარ-სახელი, ხოლო აქტის ქაღალდის ასლი მოწმდება იმ სადგურის კალენდარული შტემპელით, რომელმაც იგი ამობეჭდა.

მუხლი 448

1. ვაგონის დაზიანების აქტი ღვება ვაგონის დაზიანების ყველა შემთხვევაში, ამ წესების დანართში განსაზღვრული ფორმით, მათ შორის, იმ ვაგონის საკეგი ან საკეგ-საპლომბი მოწყობილობის დასაყენებელი სამარჯვების დაზიანებისას, რომელიც ექვემდებარება კაპიგალურ-სადეპოო, მიმდინარე (მოხსნით, მოუხსნელად) რემონტის ან ინვენტარიდან ამორიცხვას, აგრეთვე შეჯახებისას და წყვილთვლის რელსიდან ვაგონის გადმოსვლის შემთხვევაში. წყვილთვლის რელსიდან ვაგონის გადმოსვლისას ვაგონის დაზიანების აქტი ღვება მაშინაც, თუ ვაგონი არ დაზიანებულა.

2. ვაგონის დაზიანების აქტი არის ზიანის ანამლაურების მოთხოვნის საფუძველი.

მუხლი 449

1. ვაგონის დაზიანების აქტს აღგენს ვაგონის მსინჯველი ან სავაგონო ღეპოს ოსტაგი გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების ან ვაგონის დამზიანებელი სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, ხოლო ვაგონის მსინჯველის ან სავაგონო ღეპოს ოსტაგის არყოფნისას-სადგურის უფროსი ან რკინიგზის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

2. თუ ვაგონი დაზიანდა შეჯახების ან რელსიდან გადმოსვლის შედეგად, მაშინ ვაგონის დაზიანების აქტი ღვება რკინიგზის მაგარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორის ან რკინიგზის სავაგონო ღეპოს რევიზორის თანდასწრებით.

3. სარეფრეჟირატორო სექციის ვაგონის, ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის ან მათი სპეციალური მოწყობილობის დაზიანებისას, ვაგონის დაზიანების აქტს, რკინიგზის უსაფრთხოების მთავარ რევიზორთან ან სარეფრეჟირატორო სექციის, ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელთან ერთად, აღგენს იმ სავაგონო ღეპოს უფლებამოსილი პირი, რომლის უბანზეც მოხდა დაზიანება.

4. ვაგონის დაზიანების აქტს ხელს აწერს მის შეღვენაში მონაწილე პირი და იგი მოწმდება ბეჭდით.

5. თუ გვირთგამგზავნი, გვირთმიმღები ან სხვა ვალდებული პირი უარს აცხადებს ან თავს არიდებს ვაგონის დაზიანების აქტის ხელმოწერაზე, მაშინ უნდა შეღგეს საერთო ფორმის აქტი.

მუხლი 450

1. ვაგონის დაზიანების აქტი თითოეულ ვაგონზე ღვება ცალ-ცალკე:

ა) თუ ვაგონი ექვემდებარება მიმდინარე რემონტს – 3 ეგზემპლარად;

ბ) თუ დაზიანება მოხდა შეჯახებისას და რელსიდან გადმოსვლის დროს-4 ეგზემპლარად;

გ) თუ ვაგონი ექვემდებარება გეგმიურ რემონტს ან ინვენტარიდან ამორიცხვას – 5 ეგზემპლარად;

დ) სარეფრეჟერატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟერატორო ვაგონის დაზიანებისას – 6 ეგზემპლარად.

2. ვაგონის დაზიანების აქტის პირველი ეგზემპლარი გადაეცემა ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან ვაგონის დაზიანებულ სხვა პირს, მეორე – დაერთვის ანგარიშს, რომელიც წარედგინება ვაგონის დაზიანებისათვის, მესამე – შესანახად რჩება სავაგონო დეპოში, რომლის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ვაგონის დაზიანების აქტს, მეოთხე – გადაეცემა რკინიგზის სავაგონო მეურნეობის სამსახურს, მეხუთე – გადაეგზავნება ქარხანას ან სავაგონო დეპოს, რომელმაც უნდა გაარემონტოს ვაგონი. სარეფრეჟერატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟერატორო ვაგონის დაზიანებისას აქტის მეექვსე ეგზემპლარი გადაეცემა სარეფრეჟერატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟერატორო ვაგონის მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელს, მიწერის დეპოში გადასაცემად.

მუხლი 451

1. სვლის გზაზე ვაგონის დაზიანების აქტი ღვება ოთხ ეგზემპლარად, ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე.

2. ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის ვაგონის დაზიანებისას ღვება ვაგონის დაზიანების აქტის დამატებითი ეგზემპლარი, რომელიც მათ გადაეცემათ მოთხოვნისამებრ.

3. თუ ტვირთი გადაიზიდება ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების წარმომადგენლის თანხლებით, ვაგონის დაზიანების აქტს ხელი შეიძლება მოაწეროს ტვირთის გამყოლმა, თუ მას, გედნალების მიხედვით, მინიჭებული აქვს ტვირთგამგზავნის უფლებები.

4. ვაგონის დაზიანების აქტში აღინიშნება დაზიანების მიზეზები და ჩამონათვალი, სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი რემონტის სახეობა, დაზიანებული დეტალების და ვაგონის აღდგენის ღირებულება, ხოლო სარეფრეჟერატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟერატორო ვაგონის დაზიანებისას აქტში დამატებით მიეთითება მიწერის დეპო და რკინიგზა.

მუხლი 452

1. თუ ვაგონი დაზიანდა შეჯახების, რელსიდან გადმოსვლის, ან მარცხის შედეგად, მაშინ ვაგონის დაზიანების აქტის სტრიქონში „დამატებითი მონაცემები“ აღინიშნება ქედის კოჭის, გრძივი გვერდის შევლერისა და ხერხემლის ძეღის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სიბრტყის მაქსიმალური ნალუნის სიდიდე, აგრეთვე ვაგონის ჩარჩოს გასარემონტებელი ელემენტების დასახელება.

2. თუ აღდგენითი სამუშაოს შესრულებისას ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაზიანებულმა ვაგონმა დამატებითი დაზიანება მიიღო, ღვება ვაგონის დაზიანების აქტის დანართი, რომელშიც აღინიშნება დაზიანების ნუსხა და მისი გამომწვევი გარემოება. აქტის დანართი ღვება იმ შემთხვევაშიც, თუ ვაგონს აქვს ჩარჩოს კორობიულობა, კონსტრუქციული და ცვეთის სხვა ნაკლოვანება და ამის გამო ინვენტარიდან ამორიცხვას ექვემდებარება.

3. ვაგონის დაზიანების აქტის დანართს ხელს აწერს სავაგონო დეპოს უფროსი

(უფროსის მოადგილე), რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორი, რკინიგზის სავაგონო მეურნეობის რევიზორი და აღმდგენი მაგარებლის უფროსი. ხელმოწერა ვაგონის დაზიანების აქტსა და მის დანართში მოწმდება სავაგონო ღებოს ბეჭდით, რომელიც საფინანსო ოპერაციისათვის გამოიყენება.

მუხლი 453

1. ვაგონის სარემონტოდ გაგზავნისას ქარხანაში ან ღებოში, ვაგონის დაზიანების აქტში აღინიშნება ქარხნის (ღებოს) სახელწოდება და ვე-26 ფორმის თანმხლები ფურცლის შედგენის თარიღი.

2. თუ დაზიანებული ვაგონი გარემონტებული გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, ვაგონის მიმღები სავაგონო ღებოს წარმომადგენელი, რემონტის შემდეგ, ვაგონის დაზიანების აქტის ყველა ეგზემპლარში აღნიშნავს მისი მიღების შესახებ და მიუთითებს გარემონტებული ვაგონების აღრიცხვის (ფორმა ვუ-16) დავთარში ჩანაწერის რიგით ნომერს, თარიღს, ღროს და ამოწმებს მას ხელმოწერით.

მუხლი 454

1. კონტეინერის დაზიანების აქტი, რომლის ფორმა მოცემულია ამ წესების დანართში, ღება კონტეინერის დაზიანების ყველა შემთხვევაში, მათ შორის, კონტეინერის საკეტი ან საკეც-საპლომბი მოწყობილობის დასაყენებელი სამაგრის დაზიანებისას, რომელიც ექვემდებარება კაპიტალურ, გეგმიურ, მიმდინარე რემონტს ან კონტეინერის ამორიცხვას ინვენტარიდან.

2. კონტეინერის დაზიანების აქტი არის მიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მუხლი 455

1. კონტეინერის დაზიანების აქტს აღგენს უფროსი მიმღებ-ჩამბარებელი, დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისგაციის ოსგატი, ვაგონის მსინჯველი ან სავგონო ღებოს ოსგატი, გვირთგამგზავნის, გვირთმიმღების და კონტეინერის დაზიანებაში ბრალეული სხვა წარმომადგელის თანდასწრებით. თუ საღგურში არ არის დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისგაციის ან სავგონო ღებოს მუშაკი, მაშინ კონტეინერის დაზიანების აქტს აღგენს საღგურის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

2. კონტეინერის დაზიანების აქტს ხელს აწერს დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისგაციის უფროსი(უფროსის მოადგილე), სავგონო ღებოს უფროსი (უფროსის მოადგილე), საღგურის უფროსი, მიმღებ-ჩამბარებელი, ვაგონის მსინჯველი ან საღგურის მიმღებ-ჩამბარებელი და კონტეინერის დაზიანებული პირი, თანამღებობისა და გვარ-სახელის მითითებით. აქტი მოწმდება დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისგაციის, სავგონო ღებოს ან საღგურის ბეჭდით.

3. თუ გვირთგამგზავნი, გვირთმიმღები ან კონტეინერის დამზიანებული სხვა პირი უარს აცხადებს ან თავს არიღებს კონტეინერის დაზიანების აქტის ხელმოწერაში, ამ წესების შესაბამისად ღება საერთო ფორმის აქტი.

მუხლი 456

1. კონტინერის დაზიანების აქტი ღვება თითოეულ კონტინერზე ცალ-ცალკე რკინიგზის კონტინერის დაზიანების შემთხვევაში, კონტინერის დაზიანების აქტი ღვება სამ ეგზემპლარად. კონტინერის დაზიანების აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის ანგარიშს, რომელიც ეგზავნება დაზიანებაში ბრალეულ პირს, მეორე ეგზემპლარი, აქტის შედგენის ადგილის მიხედვით, ინახება დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისგანციაში, სავაგონო დეპოსა ან სადგურში, ხოლო მესამე, უწესივრო კონტინერის რემონტის შეტყობინებით (ფორმა ვუ -23კ), გადაეცემა რემონტის ჩამტარებელ დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოთა დისგანციის ან სავაგონო დეპოს. გვირთვამგზავნის, გვირთმომღების ან სხვა უფლებამოსილი პირის კონტინერის დაზიანებისას, დამატებით ღვება კონტინერის დაზიანების აქტის მეოთხე ეგზემპლარი, რომელიც აღნიშნულ პირებს მათივე მოთხოვნით გადაეცემა.

2. კონტინერის დაზიანების აქტში აღინიშნება კონტინერის დაზიანების მიზეზები და ნუსხა, სამუშაოს მოცულობა და საჭირო რემონტის სახეობა, აგრეთვე დაზიანებული ნაწილებისა და კონტინერის აღდგენის ღირებულება.

მუხლი 457

1. თუ ჩასხმის პუნქტში ან სარეც-გასაორთქლ სადგურში გამოვლინდა ისეთი ცისტერნები ან ხვიმირიანი ნახევარვაგონები, რომელშიც გვირთის ნარჩენი აღემატება დადგენილ ნორმას, მაშინ, ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმით, ღვება ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტი.

2. ცისტერნის (ბუნკერიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტი არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

3. ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტი ღვება ოთხ ეგზემპლარად თითოეულ ნარჩენებიან ცისტერნაზე ან ხვიმირიან ნახევარვაგონზე, რომელთაგან სამი ეგზემპლარი, გადასაგზავნ ზედნადებთან ერთად, გადაეცემა რკინიგზის საგვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურს, სადაც წარმოებდა გვირთის გადმოსხმა, მეოთხე კი, რჩება ჩასხმის პუნქტში ან სარეც-გასაორთქლ სადგურში და წარმოადგენს ამოღებული გვირთის ნარჩენების მაგერიალური აღრიცხვის საფუძველს. ამ შემთხვევაში აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის იმ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც წარმოებს საფასურის გადახდა, მეორე გადაეცემა გვირთმომღებს, რომელმაც დაუშვა ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმა, მესამე კი შესანახად რჩება გვირთის გადმომსხმელ სადგურს.

4. ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტს ხელს აწერს სადგურის მიმღებ-ჩამბარებელი და ცისტერნის დამთვალეიერებელი. აქტის მეორე მხარეს აღინიშნება ცისტერნის ან ხვიმირიანი ნახევარვაგონის გადმოსხმის დრო, რომელიც მოიცავს დროის მხოლოდ იმ მონაკვეთს, რაც მოხმარდა გვირთის ნარჩენების მოცილებას, ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) გაორთქელისა და რეცხვის დროის აღურიცხავად. ეს აღნიშვნა მოწმდება ჩასხმის პუნქტის სარეც-გასაორთქლი სადგურის უფროსისა და ბრიგადირის ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით ან შტემპელით.

მუხლი 458

1. ექსპერტიზის აქტი, ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმით, ღვება გვირთის დანაკლისის, გაუუჭების ან დაზიანების მიზეზისა და ექსპერტიზის ჩატარების დღისათვის არსებული ზარალის ოდენობის დასადგენად.

2. ექსპერტიზის აქტს ხელს აწერენ ექსპერტი და, რკინიგზის ან გვირგვინების მოთხოვნით, ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილე სხვა სპეციალისტი, აგრეთვე სადგურის უფროსი და გვირგვინების წარმომადგენელი, თუ იგი მონაწილეობდა მისი მისამართით მიტანილი გვირგვინის ექსპერტიზაში.

3. ჩატარებული ექსპერტიზის შესახებ კეთდება აღნიშვნა კომერციული აქტის "67" გრაფაში.

თავი XXIX. რკინიგზისადმი პრეტენზიების წაყენებისა და განხილვის წესი

მუხლი 459

1. პრეტენზია გვირგვინის გადაზიდვასთან დაკავშირებით რკინიგზას წაყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პრეტენზიის წაყენების უფლება, შესაბამისი მტკიცებულების თანდართვით, აქვს გვირგვინების, გვირგვინგაზამბავს ან მათი მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს.

მუხლი 460

1. პრეტენზია გვირგვინის დაკარგვის, დანაკლისის, დამიანების (გაფუჭების) გამო წაყენებული უნდა იქნეს თითოეულ გზაგადასასვლელზე ცალ-ცალკე.

2. თუ ერთი გვირგვინგაზამბავის მიერ, ერთი გზაგადასასვლელის სადგურიდან ერთი დანიშნულების სადგურის მიმართულებით და ერთი გვირგვინგაზამბავის მისამართით დაგვირგვინულია ერთგვაროვანი გვირგვინი, დასაშვებია ერთი პრეტენზიის წარდგენა იმ გზაგადასასვლელზე, რომელზეც შედგა ერთი კომერციული აქტი.

3. დასაშვებია ერთი პრეტენზიის წარდგენა სამარშრუტო ან ჯგუფური გზაგადასასვლელის გადაზიდვულ გვირგვინზე, კომერციულ აქტში აღნიშნული ვაგონების რაოდენობის მიხედვით.

4. აკრძალულია ერთი პრეტენზიის წარდგენა გზაგადასასვლელზე გვირგვინის პირდაპირი შერეული გადაზიდვისას, თუ ეს გვირგვინი გადაზიდვა გვირგვინგადასვლის სხვადასხვა პუნქტის გავლით.

მუხლი 461

1. პრეტენზიაში უნდა აღინიშნოს:

ა) მისი წაყენების საფუძველი;

ბ) საპრეტენზიო თანხა, ყოველი ცალკეული მოთხოვნისა და ლოკუმენტის მიხედვით;

გ) პრეტენზიის წარმდგენის მუსტი იურიდიული მისამართი, ხოლო, თუ ის ფიზიკური პირია, ასევე პიროვნების დამადასტურებელი საბუთის მონაცემები;

დ) მხარეთა საბანკო რეკვიზიტები;

ე) პრეტენზიაზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი.

2. პრეტენზიას ხელს აწერს გვირგვინგაზამბავნი, გვირგვინების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. თუ პრეტენზია წაყენებულია გვირგვინის გადაზიდვასთან დაკავშირებით ელექტრონული ბეჭედად, ამ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრული მონაცემების გარდა, პრეტენზიაში აღინიშნება:

ა) თუ პრეტენზიას უნდა დაერთოს გვირგვინის გადასაზიდვად მიღების ქვითარი,

ტვირთვამგზავნს კი, ტვირთის გადასაზიდად მიღების დასტურად, გადაეცა ტვირთის გადასაზიდად მიღების ელექტრონული ქვითარი- გზავნილის ნომერი, მიღების დამადასტურებელი ელექტრონული შეცვობინების კოდი (მიღების ნულოვანი კოდით), ელექტრონული შეცვობინების მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) თუ ტვირთმიმღებს გადაეცა ელექტრონული ბედნადები – გზავნილის ნომერი, მიღების დამადასტურებელი ელექტრონული შეცვობინების კოდი (მიღების ნულოვანი კოდი), ელექტრონული ბედნადების განკრედიგების ელექტრონული შეცვობინება, ელექტრონული შეცვობინების რეგისტრაციის ნომერი და მისი მიღების თარიღი.

მუხლი 462

1. პრეგენზიას თან უნდა დაერთოს პრეგენზიის დამადასტურებელი შემდეგი საბუთი:

ა) ტვირთის დაკარგვისას – ტვირთის გადასაზიდად მიღების ქვითარი, მისი მიუტანლობის თაობაზე დანიშნულების სადგურის აღნიშვნით, ხოლო ტვირთის გადასაზიდად მიღების ქვითრის უქონლობისას – ტვირთის ღირებულების გადახდის შესახებ ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ დადასტურებული საბუთი და რკინიგზის ცენობა ამ ტვირთის გაგზავნის თაობაზე, დანიშნულების სადგურში მისი მიუტანლობის აღნიშვნით;

ბ) ტვირთის დანაკლისის ან დაზიანებისას (გაფუჭებისას) – რკინიგზის მიერ გაცემული ბედნადები, კომერციული აქტი ან კომერციული აქტის შედგენაზე რკინიგზის უარის გასაჩივრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ტვირთის მიგანის ვადის გადაცილებისას – გადაზიდვის დედანი დოკუმენტები;

დ) ტვირთის გაცემის დაყოვნებისას – ბედნადები და საერთო ფორმის აქტი.

2. პრეგენზიას, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საბუთების გარდა, თან დაერთვის საპრეგენზიო მოთხოვნის დამადასტურებელი შემდეგი ძირითადი დოკუმენტი:

ა) ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების (გაფუჭების) შემთხვევაში – გაგზავნილი ტვირთის რაოდენობისა და ნამდვილობის დამადასტურებელი საბუთი;

ბ) დატვირთვა-გადმოტვირთვისას ვაგონების მიწოდების დაყოვნების, დატვირთვა-გადმოტვირთვის აღვილებიდან მათი გამოყვანის ან მისასვლელი ლიანდაგიდან მიღების დაყოვნების შემთხვევაში – ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისი, მიმღებ_ ჩამბარებლის სამახსოვრო ვაგონების მიწოდება-გამოყვანაზე, ამონაწერი ხელშეკრულებიდან და საკვანძო შეთანხმებიდან, საერთო ფორმის აქტი, რომელიც შედგენილია ერთ-ერთი მხარის უარის თქმის გამო ორმხრივი დოკუმენტის ხელმოწერაზე;

გ) საგრანსპორტო პოლიციის მიერ ტვირთის თანხლებისა და დაცვისათვის მიღებული საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში - ბედნადები;

დ) დასასუფთავებლად ცისტერნებისა და ხვიმირიანი ნახევარვაგონების სარეცხ-გასაორთქლ სადგურზე ყოფნის დროისათვის საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში – ცისტერნების (ხვიმირიანი ნახევარვაგონების) უკმარგადმოსხმის გუ-7ა ფორმის აქტი და მის მიხედვით განაღებული ანგარიში;

ე) გადაზიდვის საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში – ბედნადები ან ტვირთის გადასაზიდად მიღების ქვითარი, ხოლო არშემდგარი გადაზიდვისას – ტვირთის გადასაზიდად მიღების ქვითარი, გაგზავნის სადგურის აღნიშვნით მისი დაბრუნების თაობაზე;

ვ) რკინიგზის ვაგონებით სარგებლობის, მიწოდება-გამოყვანისა და სამანევრო სამუშაოს შესრულების საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში – ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისი, გადასახდელის გადახდის საბუთი, აგრეთვე საერთო ფორმის აქტი, რომელიც შედგენილია ერთ-ერთი მხარის უარის გამო ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის ხელმოწერაზე;

ზ) რკინიგზის კონტეინერებით სარგებლობისათვის საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში – განმცხადებლის მიერ წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ.ა) არასაერთო სარგებლობის საკონტეინერო მოედნებზე – გვირგვინების ან გვირგვინების სარგებლობაში კონტეინერების არასაერთო სარგებლობის ადგილებში ყოფნის დროს აღრიცხვის უწყისი, კონტეინერების სარგებლობისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე საერთო ფორმის აქტი, რომელიც შედგენილია ერთ-ერთი მხარის უარის გამო ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის ხელმოწერაზე;

ზ.ბ) გვირგვინების, გვირგვინების ან ექსპედიტორის მიერ რკინიგზის კონტეინერების გაგანისას საერთო სარგებლობის ადგილებიდან – კეუ-16 ფორმის განწესი, გვირგვინების და გვირგვინების სარგებლობაში კონტეინერების საერთო სარგებლობის ადგილებში ყოფნის დროს აღრიცხვის უწყისი, აგრეთვე კონტეინერების სარგებლობისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

ზ.გ) გვირგვინის გადაზიდვის განაცხადის შესრულებლობის ან მის შესასრულებლად ვაგონების (კონტეინერების) მიწოდებლობისას – გვირგვინის გადაზიდვის განაცხადის შესრულების სააღრიცხვო ბარათი და მის მიხედვით გადასახდელის გადასახადის დამადასტურებელი საბუთი, აგრეთვე მოგადი ფორმის აქტი, რომელიც შედგენილია ერთ-ერთი მხარის უარის გამო სააღრიცხვო ბარათის ხელმოწერაზე;

ზ.დ) დასაგვირგვინად დაუსუფთავებელი ვაგონების (კონტეინერების) მიწოდებისათვის საფასურის გადახდისას ან ზიანის ანაზღაურებისას – საერთო ფორმის აქტი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ვაგონების (კონტეინერების) გაწმენდის ხარჯებს;

ზ.ე) რკინიგზის მიერ გვირგვინების, გვირგვინების ან სხვა უფლებამოსილი პირის ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური დაკავებისას – შედგენილი ან საგვირგვინო ქვითარი, საერთო ფორმის აქტი, განცხადება გვირგვინის ძეხვის შესახებ და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური დაკავების ფაქტს, საფასურის გაანგარიშება, ხოლო თუ რკინიგზის სადგური უარს აცხადებს საერთო ფორმის აქტის შედგენაზე – უარის გასაჩივრების საბუთი;

ზ.ვ) რკინიგზის მიერ გვირგვინების, გვირგვინების ან სხვა უფლებამოსილი პირის ვაგონების (კონტეინერების) დამიანებისათვის საფასურის გადახდისას და მარალის ანაზღაურებისას – საერთო ფორმის აქტი და ვაგონების (კონტეინერების) დამიანების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე მარალის გაანგარიშება;

ზ.თ) რკინიგზის მიერ გვირგვინების, გვირგვინების ან სხვა უფლებამოსილი პირის ვაგონების (კონტეინერების) დაკარგვისას – გვირგვინის გადასამიდად მიღების ქვითარი, მისი მიუგანლობის თაობაზე დანიშნულების სადგურის აღნიშვნით, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ვაგონის (კონტეინერის) კუთვნილებას და მის ნარჩენ ღირებულებას, აგრეთვე გექნიკური პასპორტი, საერთო მოხმარების სარკინიგზო ლიანდაგზე მისი კურსირების ნებართვა, ვაგონებზე (კონტეინერებზე)

არსებული ტრაფარეტისა და განმასხვავებელი შეღებვის მითითებით;

თ) ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა არაუფლებამოსლი პირის მიერ რკინიგზის ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური გამოყენებისათვის საფასურის უკან დაბრუნებისას – საერთო ფორმის აქტი, და საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

ი) თუ ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები მოქმედებენ წარმოდგენილის მეშვეობით – დავალების ხელშეკრულება ან რწმუნებულება.

მუხლი 463

1. თუ ტვირთი გადაიზიდება ელექტრონული ბეღნალებით, პრეგენზიას თან დაერთვის:

ა) ელექტრონული ბეღნალების ქალაქის ასლი – თუ დანიშნულების სადგურმა ტვირთმიმღებს გადასცა ტვირთის გაცემის წესის შესაბამისად დამოწმებული გუ-27 უ-ვც ფორმის ელექტრონული ბეღნალების ქალაქის ასლი;

ბ) დანიშნულების სადგურის მიერ ან სვლის გზაზე შედგენილი ელექტრონული კომერციული აქტის ქალაქის ასლი – თუ შედგენილია ელექტრონული კომერციული აქტი ან ტვირთის გადასაზიდად მიღების მანქანაზე ნაყეჭი ქვითარი და გაგზავნის სადგური ტვირთგამგზავნს გადასცემს გუ-29 უ-ვც ფორმის ელექტრონული ბეღნალების ქალაქის ასლს.

2. თუ ტვირთგამგზავნს გადაეცემა ტვირთის გადასაზიდად მიღების ელექტრონული ქვითარი ან ტვირთმიმღებს - ბეღნალები, პრეგენზიას დაერთვის მათი ქალაქის ასლი და ამ წესებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტი.

მუხლი 464

1. პრეგენზია რკინიგზას წაეყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2. თუ ტვირთი გადაიზიდება სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილებით ერთი ბეღნალებით, ხოლო დანიშნულების სადგურში იგი გაიცა ძირითადი ბეღნალებით და დამატებითი საგზაო უწყისით, პრეგენზიის წაყენების ვადა იანგარიშება იმ მომენტიდან, როდესაც გაიცა ტვირთის ბოლო ნაწილი დამატებითი საგზაო უწყისის მიხედვით.

მუხლი 465

1. პრეგენზიის მიღებისას ტვირთის დაკარგვისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელშიც აღნიშნულია ტვირთის გადასაზიდად მიღების ელექტრონული ქვითარის რეკვიზიტები, რკინიგზის უფლებამოსილმა მუშაკმა უნდა გამოითხოვოს რკინიგზის საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრიდან ტვირთის მიღების ქვითარი, იმის აღნიშვნით, რომ მოთხოვნის მომენტი ტვირთი დანიშნულებისამებრ არ იყო მიგანილი და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ტვირთის გადასაზიდად ჩაბარების ელექტრონული ქვითარი ამოიბეჭდება გუ-29 უ-ვც ფორმის ქალაქის ასლის სახით, მოწმდება რკინიგზის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და დაერთვის პრეგენზიას.

2. თუ პრეგენზიაში განმცხადებელმა არასწორად აღნიშნა ტვირთის გადასაზიდად ჩაბარების ელექტრონული ქვითარის რეკვიზიტები ან ტვირთის ადგილსამყოფელი ცნობილი გახდა, მაშინ პრეგენზია, თანდართული დოკუმენტებითურთ და რკინიგზის დასაბუთებულ პასუხებთან ერთად, უბრუნდება განმცხადებელს.

3. თუ პრეგენზიაში აღნიშნულია ელექტრონული ბეღნალების რეკვიზიტები,

რკინიგზის უფლებამოსილმა მუშაკმა უნდა გამოითხოვოს რკინიგზის საინფორმაციო-გამომთვლელი ცენტრიდან გვირთმიმლებისათვის გადაცემული ელექტრონული მედნადები, რომელიც მიღების შემდეგ ამოიბეჭდება გუ-27 უ-ვც ფორმის ქაღალდის ასლის სახით, მოწმდება რკინიგზის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და დაერთვის პრეგენზიას.

4. თუ პრეგენზიაში განმცხადებელმა აღნიშნა ელექტრონული მედნადების არასწორი რეკვიზიტები, მაშინ პრეგენზია, თანდართული დოკუმენტებითურთ და რკინიგზის დასაბუთებულ პასუხთან ერთად, უბრუნდება განმცხადებელს.

მუხლი 466

1. გვირთმიმლების, გვირთგამგზავნის ან სხვა უფლებამოსილი პირის ვაგონების (კონტეინერების) დაკარგვასთან დაკავშირებული პრეგენზიის განხილვისას, რკინიგზა უბრუნველყოფს დაკარგვის შემთხვევის სამსახურეობრივ მოკვლევასა და აცხადებს ამ ვაგონების (კონტეინერების) ძებნას.

2. რკინიგზის მიერ გვირთგამგზავნის, გვირთმიმლების ან სხვა უფლებამოსილი პირის დაკარგული ვაგონების (კონტეინერების) სანაცვლოდ რკინიგზა ვალდებულია, მათი მოთხოვნისთანავე, გადასცეს მათ სხვა შესაბამისი ვაგონები (კონტეინერები) ღროებით უსასყიდლო სარგებლობაში, ხოლო, თუ დაკარგული ვაგონები (კონტეინერები) ვერ დაუბრუნა სამი თვის ვადაში, ღროებით გადაცემული ვაგონები (კონტეინერები) გადასცეს მათ საკუთრებაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. თუ პრეგენზიის განხილვისას დადგინდა, რომ გვირთის მისამართი შეცვლილია ან იგი გადაეცა სხვა გვირთმიმლების, გვირთგამგზავნის ან პირველადი გვირთმიმლების განცხადებით, პრეგენზია უბრუნდება განმცხადებელს, გვირთის ფაქტური მიმღების, გადაცემის ადგილისა და დროის მითითებით. ამ შემთხვევაში, რკინიგზას შეუძლია მიუთითოს ის პირი, რომლის განცხადებითაც შეიცვალა გვირთის მისამართი ან იგი გადაეცა სხვა გვირთმიმლებს.

მუხლი 467

1. ფასგამოუცხადებელი გვირთის დაკარგვისათვის მარალი ანამლაურდება დაკარგული ან ნაკლული გვირთის ღირებულების ოდენობით, გვირთის დაზიანებისათვის (გაფუჭებისათვის) – იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცრიდა მისი ღირებულება, ხოლო დაზიანებული გვირთის ალდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში- მისი ღირებულების ოდენობით.

2. გვირთის ღირებულება განისაზღვრება გამყიდველის ანგარიშში ნაჩვენები ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასიდან გამომდინარე, ან, თუ ამ დოკუმენტში ფასი არ არის ნაჩვენები, იმ ფასის გათვალისწინებით, რა ფასიც ჩვეულებრივ გადაიხდება ანალოგიური საქონლისათვის, ან ღგინდება ექსპერტის მიერ.

3. მარალის ანამლაურებასთან ერთად, რკინიგზა დაკარგული, ნაკლული ან დაზიანებული (გაფუჭებული) გვირთის რაოდენობის პროპორციულად, აბრუნებს ამ გვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების საფასურს, თუ მოცემული საფასური არ შედის ამ გვირთის ღირებულებაში.

მუხლი 468

1. თუ გვირთი გადასამიდად ჩაბარდა ფასის გამოცხადებით, მაშინ მარალი

ტვირთის დაკარგვისათვის ანაზღაურდება გამოცხადებული ფასის ოდენობით, ხოლო დაზიანების (გაფუჭების) შემთხვევაში – ტვირთის დაზიანებული ნაწილის შესაბამისი გამოცხადებული ფასის წილის ოდენობით, ფასის გამოცხადებისათვის გადახდილი დამატებითი საფასურის იმ ნაწილის დაბრუნებით, რომელიც შეესაბამება ტვირთის დაკარგულ, ნაკლულ ან დაზიანებულ (გაფუჭებულ) ოდენობას, თუ ეს საფასური არ შედის ამ ტვირთის ღირებულებაში.

2. თუ დანიშნულების ადგილზე მიუგანელი ტვირთი რეალიზებულია დადგენილი წესით, პრეტენზია ანაზღაურდება ტვირთის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ოდენობით, რკინიგზის მიერ გაწეული ხარჯების გამოკლებით.

მუხლი 469

1. თუ პრეტენზია წაყენებულია ამ წესებისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევით, რკინიგზა ვალდებულია, პრეტენზიის მიღებიდან 10 დღის ვადაში ამის თაობაზე წერილობით აცნობოს განმცხადებელს.

2. თუ პრეტენზია წაყენებულია დადგენილი წესის შესაბამისად, რკინიგზა ვალდებულია, არსებითა განიხილოს იგი და განხილვის შედეგები წერილობით აცნობოს განმცხადებელს პრეტენზიის მიღების დღიდან ორი თვის ვადაში.

3. პრეტენზიის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებისას პასუხში რკინიგზამ უნდა მიუთითოს ის სამართლებრივი აქტი და კონკრეტული ნორმა, რომელსაც იგი დაეყრდნო ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას. ამ შემთხვევაში, პრეტენზიაზე თანდართული დოკუმენტები უბრუნდება განმცხადებელს. რკინიგზის პასუხს პრეტენზიაზე ხელს აწერს რკინიგზის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

თავი 2-ის დანართი

ფორმა გუ -12

200 წ.

ტვირთის გადაზიდვის წესებისა

(მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

(რეკვიზიტები)

... წ. _____ დან წ. _____ მდე პერიოდისათვის
ვაგონების, კონტეინერების მიწოდება

(ტვირთის ნომენკლატურული ჯგუფის სახელწოდება)

კოდი	ტვირთგამგზავნის კოდი	გადაზიდვის კოდი
------	-------------------------	-----------------

9																				
10																				
11																				
12																				
13																				
14																				
15																				
16																				
17																				
18																				
19																				
20																				
21																				
22																				
23																				
24																				
25																				
26																				
27																				
28																				
29																				

ნაწილი II

პასუხისმგებლობა მიღებულია განაცხადის შეუსრულებლობისათვის დარიცხვები

ტვირთვამგზავნზე

რკინიგზაზე

ვაგონებში (კონტ)		ვაგონებში (კონტ)	აღნიშვნები ტვირთვამგზავნის მიერ ჯარიმის, მოსაკრებლების გადახდის შესახებ
ტონობით		ტონობით	
ჯარიმის თანხა		ჯარიმის თანხა (ლარი)	
დანიშნულების გზებზე ვაგონებში (კონტ) მოსაკრებლის თანხა სულ: ტვირთვამგზავნის მიზეზის		საღლო ტვირთვამგზავნის რკინიგზის სასარგებლოდ	(საღგურის დასახელება) საღგურის უფროსი (ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

თავი 4-ის დანართი

**ტვირთი, რომლის ჩატვირთვისას ვაგონების, კონტეინერების მომზადება
ხორციელდება რკინიგზაზე საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის წესებით
გათვალისწინებული პირობების დაცვით**

ბამბა სელისა, სამელიცინო
ნაგურალური, ცელულოზის,
აბრეშუმის, მაგყლისა

ძონძეული
ქეჩა და ქეჩის ნაწარმი
ბოჭკო საფეიქრო ნაწარმისათვის
ტკეჩი საბათქაშო
ნაწარმი ლელქაშის, ლერწმის, ნამჯის,
ბალახის, ლერწმის, ქერქის,
ლაფნისა
ნაწარმი ქაღალდის და მუყაოსი
ნაწარმი ხალიჩისა
ნაწარმი ბეწვეულისა
ნაწარმი საფეიქრო, საგალანგერიო
ნაწარმი ტრიკოტაჟისა
ნაწარმი სამკერვალო და საფეიქრო
მრეწველობისა, ბრეზენგის და მიშამბის ნაწარმის გარდა
ნაწარმი შეკერილი
კრაველი გამოყვანილი
ხალიჩები ყოველგვარი
ქერქი ხისა ყოველგვარი
ლერწი, ძენწის წნელი
კვარი ასანთის წუმწუმის, კოლოფების, შგორებისა და მათი ნაკეთობებისათვის
მაკულატურა
ავეჯი ყოველგვარი
ბეწვეული
ფქვილი ხისა
ნჭხერხი ხისა
ნარჩენები სელის, ტრიკოტაჟის,
ბამბის, ცელულოიდის, ცელულოზისა
ფრთა, ბუმბული და მათი ნაწარმი
პლანერები
ნართი ყოველგვარი
ბეწვეული ძვირფასი
მური თეთრი (შ₂)
თვითმფრინავები, შვეულმფრენები და გრასპორტირების სხვა საავიაციო საშუალებები
ბურბუშელა ხისა ყოველგვარი
ნედლეული სამკურნალწამლო მცენარეული
თამბაქო ფურცლებად
ქსოვილები ყოველგვარი, ბრეზენგის
დარეზიანებულების გარდა
გორფი და გორფპროდუქცია
ტრიკოტაჟი
აბედი
ფოტოფირი ნიგროცელოლუმის საფუძველზე
ფიჩხი
ცელულოზა
ნაქურჩალი

შპონი
ნაფოტი(ყავარი)

თავი 5-ის დანართი

ადგილი განსაკუთრებული
აღნიშვნისა და შტემპელისათვის

ნიმუში გუ-27
ზედნაღები

ვაგონის გვარობა	ვაგონის ნომერი	ვაგონის ტიპი	ლერძების რაოდენობა	მონაცემები საკისარების შესახებ	არაგაბა რ.სახეობა	გადაცემის კოდი ცისტ-ტიპი	N	
								სინქარე (საგვირ თო დიდი)
ვაგონის ძარის მოცულობა მ ³ დატვირთვის ტექნიკური ნორმა								
გამგზავნის სადგური და რკინიგზა			კოდი	დანიშნულების კოდი სადგური და რკინიგზა				
გამგზავნი (სრული დასახელება)			კოდი	მიმღები კოდი (სრული დასახელება)				
გამგზავნის საფოსტო მისამართი				მიმღების საფოსტო მისამართი				
გადამხდელი				გადამხდელი				
გამგზავნის ნიშნები	ადგილ ების რაოდენობა	შუუ თვა	ტვირთის დასახელება და კოდი	ტვირთის მასა კგ-ით რომელიც განსაზღვრავს		საგვირთო აღნიშვნები		
				გამგზავნი	რკინიგზა	ჯგუფი, პოზიცია		
						სქემა		
						ტვირთის კლასი		
						განს. ტარიფი		
						გზაგადასასრული სახე		
						მოწოდებულია ვაგონი		
						გადასახდელთა გაანგარიშება კმ-თვის	ლ ა რი	თე თრი
სულ ადგილები (სიგვიერად)			მთლიან მასა ნეტო			გამგზავნისას		
						გადამიღ ვის საფასური		

	ტა რა	გა სი ჯ კ ე რ ი დ				
სულ მასა(სიტყვიერად)	მასა ბრუტო			გამყოლი		
				რკ.ღაცვა		
გადასახდელი გადახდევინებულია გამგზავნის სადგურში ----- (სიტყვიერად) ----- სასაქონლო მოლარე -----				მოსაკრე ბელი ფასის გამოცხა დებისათვი ს		
